დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2024 წლის 15 - 21 აპრილი
N 17 1535
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



# ფოტოგრაფ აბდალლაძის გმირობა

2-3

სალომე ზურაბიშვილის პირადმა ფოტოგრაფმა პროტესტის ნიშნად სამსახური დატოვა!

„ლაზარეს შეწყალებით სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს მტრებს ნიშანი მისცა, რომ ყველას შეუძლია, დაუსჯელობის იმედით ქვეყანას „მოლოტოვის კოქტეილი" ესროლოს!"



## საქართველოს მტრების დაკვეთას ასრულებს!

10

გენერალ ლაზარიანს საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობა დაავალეს, ხოლო ლაზარიანის ხროვას ქართველობის მოსპობა ევალება!

# რეზიდენტ ზურაბიშვილის ვერაგობა

4

# ლაზარიანის ხროვა

***ლაზარე გრიგორიადისად წოდებული არსება საქართველოში მცხოვრები გაურკვეველი წარმოშობის ტერორისტია, რომელმაც 2023 წლის 7-9 მარტის აქციების დროს ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილით“ ქართველი პოლიციელების ცოცხლად დაწვა სცადა, ხოლო პოლიციის მანქანა გადაბუგა.***



რუსი გენერალი ივანე ლაზარევი (ლაზარიანი)



„მოლოტოვის კოქტეილების“ მსროლელი ლაზარე გრიგორიადისი



ლაზარე-ტერორისტს 2024 წლის 12 აპრილს, დილით, დაახლოებით 10:00 საათზე, ქართულმა სასამართლომ და მოსამართლე **ზვიად შარაძემ,** რომელიც ცხონებული **გურამ შარაძის ძმისშვილია,** 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. საუბედუროდ, იმავე 12 აპრილს, საღამოს, დაახლოებით 21:00 საათზე, **„ტელეჰუტელებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საქართველოს რეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, რომელიც ბედის ირონიით საქართველოს პრეზიდენტის სავარძელშია ჩაბრძანებული, განაცხადა, რომ გრიგორიადისს აუცილებლად შეიწყალებს!**

იმ ფონზე, როცა გაერთიანებული ნაცსექტა, ლგბტ და „ენჯეო“ აგენტურა თბილისში „გამჭვირვალობის შესახებ კანონის“ საწინააღმდეგოდ აქციებს გეგმავს, პოლიციელების ცოცხლად დაწვის მცდელობაში ბრალდებული **ლაზარე-ტერორისტის** შეწყალება **სახელმწიფოსთვის სახეში შეფურთხების ტოლფასია. ეს იმას ნიშნავს, რომ სალომე ზურაბიშვილმა, ფაქტობრივად, ძალოვან უწყებებს განაჩენი გამოუტანა და პოლიციელებისა და სპეცრაზმელების ცეცხლში დაწვას მწვანე შუქი აუნთო.**

ეს ყველაფერი ბუნებრივია, იმასაც ნიშნავს, რომ, ვისაც ქართველი პოლიციელების ცოცხლად დაწვა სურს, შესაძლოა, ცეცხლში პირველი სწორედ ის ჩაიფერფლოს და ამოიფუტკნოს! **ასე რომ, გარეწარო, მოღალატე და ტერორისტებზე ხელის დამფარებელო, სალომე ზურაბიშვილო, ვინ ვის დაწვავს, ეს კიდევ საკითხავია!**

საქართველოს ისტორიას ახსოვს **სომხური წარმოშობის წყეული რუსი გენერალი ივანე ლაზარევი,** სინამდვილეში გვარად **ლაზარიანი,** რომელიც 1799 წლის 26 ნოემბერს თბილისში რუსის ჯარს ზარ-ზეიმითა და „ურა-ურას“ ძახილით შემოუძღვა. იმპერატორ **პავლე პირველისგან** გენერალ ლაზარიანს დავალებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოსთვის ტერაქტის მოწყობა და ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის **გიორგი მეთორმეტის** მოწამვლა!

დაახლოებით ერთ წელიწადში **ივანე ლაზარიანმა** იმპერატორის დავალება შეასრულა და **გიორგი მეთორმეტე** მართლაც მოწამლა. **პავლე პირველმა,** რომელსაც **1800 წლის 18 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობა საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდა, 18 დეკემბერს უკვე გამოსცა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ.** პეტერბურგში ფიქრობდნენ, რომ **გიორგი მეთორმეტე** ამ მანიფესტის გამოქვეყნების დღეს უკვე ცოცხალი აღარ იქნებოდა, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ, **მეფემ, რომელსაც ლაზარიანმა ტერაქტი მოუწყო, კიდევ ათი დღე იცოცხლა და მხოლოდ 1800 წლის 28 დეკემბერს მიიცვალა.**

ლაზარიანმა ამის შემდეგაც მოუწყო ქართველობას ტერაქტი. კერძოდ, გათავხედებული რუსი გენერალი **1803 წლის 18 აპრილს** ამჯერად **გიორგი მეთორმეტის** ქვრივს **დედოფალ მარიამს** მიეჭრა საძინებელში და მაჯაზე ხელი წაატანა — გინდა თუ არა, შვილებიანად პეტერბურგში უნდა წამოხვიდეთ, სასწრაფოდ მოემზადეთო! სწორედ მაშინ იწივლა ქართულმა ხანჯალმა და ტერორისტი **ივანე ლაზარიანი** მკერდგანგმირული დაეცა საქართველოს უკანასკნელი დედოფლის ფერხთით.

საქართველოსა და ქართველობას სულში ჩააფურთხეს, როცა ამ ამბიდან ოთხი დღის შემდეგ, **1803 წლის 22 აპრილს, ივანე ლაზარიანი** დიდებით შეასვენეს სიონის საკათედრო ტაძარში და დამარხეს. დღეს მისი საფლავი დაკარგულია და არავინ უწყის, ზუსტად სად არის ჩაფლული ტერორისტის ლეში.

## გენერალ ლაზარიანს საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობა დაავალეს, ხოლო ლაზარიანის ხროვას ქართველობის მოსპობა ევალება!

**გარეწარი და საქართველოს რეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი იმდენს იზამს, ტერორისტ ლაზარეს ცხოვრებას სწორედ ტერორისტ ლაზარიანივით დაასრულებინებს!**

მოკლედ, საქართველოს **ლაზარიანის ხროვა** უტევს!

ყველა, ვინც „ტანით გრძნობს“, რომ „კანონი გამჭვირვალობის შესახებ“ „რუსულია“; ვინც საქართველოს გადასაბუგად და „მოლოტოვის კოქტეილების“ დასამზადებლად უცხოეთიდან გრანტებს აგზავნის და მერე ამ ყველაფერს მალავს; **ვინც ჩვენს ოქროს ბიჭებს, ქართველ ფეხბურთელებს, მესიჯს მესიჯზე უგზავნის** — გინდათ თუ არა, პოლიტიკური განცხადებები გააკეთეთო! **ვინც თეატრის სცენიდან ყვირის** — „არა რუსულ კანონს!“ ხოლო **პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან გვმოძღვრავს** — საქართველოს ლგბტ პრობლემა არ უდგას და ეს ყველაფერი ყურით მოთრეულიაო! — სუყველა წარმოადგენს **ლაზარიანის ხროვას,** რომელიც მზად არის, ქვეყანა დაღუპოს!

## საქართველოს რეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი იმდენს იზამს, ტერორისტ ლაზარეს ცხოვრებას სწორედ ტერორისტ ლაზარიანივით დაასრულებინებს!

საუბედუროდ, საქართველოში თავიდანვე ყველაფერი ისე უკუღმართად წარიმართა, რომ ელიტა და ინტელიგენცია, რომლებსაც ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლაში მედროშისა და ბაირახტარის ფუნქცია უნდა ეკისრათ, მტრის სამსა-

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



სრული უფლება გვაქვს, **არასამთავრობო ორგანიზაციებს გამჭვირვალობისთვის მინიმალური სტანდარტი მოვთხოვოთ.** ყველამ კეთილი უნდა ინებოს და **„გამჭვირვალობის კანონთან“** დაკავშირებით წარმოადგინოს არგუმენტები, **ჩვენი ღირსების საქმეა,** რომ არგუმენტების გარეშე გადაწყვეტილება არ შეიცვალოს.

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



ამ ქალმა როგორ უნდა შეძლოს ამ საქმიანობის გაგრძელება წარმოუდგენელია ჩემთვის, **ეს არის ძალიან დიდი სირცხვილი და ჩემს თვალში ეს არის დანაშაული ჩადენილი პოლიციის წინააღმდეგ!** ის არის თანამონაწილე, **სალომე ზურაბიშვილმა „მოლოტოვის კოქტეილი“ ესროლა პოლიციელს ამ შეწყალებით!**

„ინტერპრესნიუსი“

**კახა კალაძე**
*„ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი*



**არავის მივცემთ უფლებას,** რომ მითითებები მოგვცეს, თუ რა გადაწყვეტილებები უნდა იყოს მიღებული. **არ მოგწონთ ეს კანონი?!** — მოდით ხელისუფლებაში.

„ინტერპრესნიუსი“

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



**პოლიციაზე და საკუთარ მამაზე ძალადობაში მსჯავრდადებული** შეიწყალა **სალომე ზურაბიშვილმა,** რაც მისი ნაცური გადაწყვეტილებაა.

„ინტერპრესნიუსი“

## მოღალატე და ტერორისტებზე ხელის დამფარებელო, სალომე ზურაბიშვილო, ვინ ვის დაწვავს, ეს კიდევ საკითხავია!



*სალომე ზურაბიშვილის ფოტოგრაფმა, ცნობილმა რეპორტიორმა, მეგობარმა და თანამოაზრემ გიორგი აბდალაძემ, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს ცრუბრალდებით ტანჯეს ციხეში, ვერ აიტანა პრეზიდენტის მიერ ტერორისტ ლაზარე გრიგორიადისის შეწყალება და პროტესტის ნიშნად სამსახური დატოვა. ვუქებთ გიორგი აბდალაძეს ამ საქციელს და მიგვაჩნია, რომ ყველა ღირსეულმა ადამიანმა, ამ მართლაცდა ბოროტი და ზნედაცემული მოღალატის სასახლე დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს! ამ მხრივ ჩვენი თანამოსაუბრეც აცხადებს, რომ მის გადაწყვეტილებას პრეზიდენტის ადმინისტრაციაში უახლოეს მომავალში ბევრი მიბაძავს:*



## პრეზიდენტ ზურაბიშვილის პირადმა ფოტოგრაფმა პროტესტის ნიშნად სამსახური დატოვა!





### გიორგი აბდალაძე:

# ლაზარეს შეწყალებით სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს მტრებს ნიშანი მისცა, რომ ყველას შეუძლია, დაუსჯელობის იმედით ქვეყანას „მოლოტოვის კოქტეილი“ ესროლოს!

— პრეზიდენტმა მიიღო ყოვლად გაუმართლებელი გადაწყვეტილება და შეურაცხყოფა მიაყენა იმ ადამიანებს, რომლებიც სამშობლოს ემსახურებიან. ინგა გრიგოლიასთან ინტერვიუს დროს, როცა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ **ლაზარე გრიგორიადისს** შეიწყალებს, ოთახში ვიყავი და პრეზიდენტს სურათებს ვუღებდი. უმალ დავტოვე მისი კაბინეტი, ავედი ჩემს ოთახში და პრესსამსახურის უფროსს ვაცნობე, რომ სამსახურიდან მივდიოდი! პირადად პრეზიდენტისთვის არაფერი მითქვამს, რადგან, როგორც გითხარით, ინტერვიუს აძლევდა. სამწუხაროდ, ზურაბიშვილმა ეს გადაწყვეტილება ისე მიიღო, არცერთ დაზარალებულ პოლიციელთან არ მისულა და მათი აზრი არ მოუსმენია.

**— საერთოდ, სალომე ზურაბიშვილთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?**

— რა ვიცი, ნორმალური. მე პროფესიონალი რეპორტიორი ვარ და ჩემს საქმეს ვასრულებდი. თქვენ კარგად იცით, რა ჯოჯოხეთი მაქვს გამოვლილი და არავის პატიმრობა არ მიხარია, მაგრამ სალომე ზურაბიშვილის ამ უკანასკნელი გადაწყვეტილების შემდეგ მასთან ველარ ვიმუშავებდი!

**ლაზარე გრიგორიადისი ციხიდან რომ გამოვა, მინდა, ერთი მარტივი შეკითხვა დაუსვან ჟურნალისტებმა — აწამეს თუ არა ციხეში? გამოიყვანეს თუ არა მის თვალწინ პატიმრები გასაუპატიურებლად? აწამეს თუ არა ელექტროშოკერით? საჭმელში უფურთხებდნენ თუ არა? აგინებდნენ?** ეს ყველაფერი სააკაშვილის ციხეში ვნახე. როგორც გავიგე, თურმე, ლაზარე გრიგორიადისი პოლიტიკაში აპირებს მოსვლას. ჰოდა, უპასუხოს ამ შეკითხვებს!

რაც ჩამოვთვალე, ეს სააკაშვილის ციხეში იყო ჩვეულებრივი ამბავი. ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს, მაგრამ მე ერთი რამ ვიცი — **ჩემს შვილ-**

## „როცა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ ლაზარე გრიგორიადისს შეიწყალებს, ოთახში ვიყავი და პრეზიდენტს სურათებს ვუღებდი. იქვე მივიღე გადაწყვეტილება და პრესსამსახურის უფროსს ვაცნობე, რომ სამსახურიდან მივდიოდი!“

გაგრძელება მე–4 გვერდზე

ხურში ჩადგნენ და ადმირალ **ედუარდ ბალტინის** ტანკზე ამხედრდნენ. **ცხადია, უდიდესი მსახიობებისა და რეჟისორების — რეზო ჩხეიძის, გიგა ლორთქიფანიძის, რეზო ესაძის, ოთარ მეღვინეთუხუცესისა და რამაზ ჩხიკვაძის შედარება ვინმე ბეშიტაიშვილთან, ნანკასთან, ჭოლასთან და „დოისთან“ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, მაგრამ, საუბედუროდ, მაშინაც და დღესაც პოლიტიკური პროცესი იდენტურია.** მაშინდელისგან განსხვავებით, ქართველთა შორის სისხლისღვრას დღეს მხოლოდ ის აჩერებს, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები ახლა ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე მაშინ.

თუ ზვიად გამსახურდიას დროს ერის რჩეული ელიტა ბალტინის ტანკზე აბობღდა, რათა სამშობლო დაექცია, ახლა ის უკანალათამაშებულები და ნარკომანები, რომლებიც საქართველოს სახელით ლაპარაკობენ, **ელტონ ჭყონიასა და მამუკა ხაზარაძის ლგბტ „ტინკი-ვინკის“ შემოახტნენ და ასე ებრძვიან ქვეყანას!**

**ლაზარიანის ხროვა** საშიში სექტაა, რომელსაც იმაზე უფრო შავბნელი დავალება აქვს შესასრულებელი, ვიდრე **გენერალ ლაზარიანს.** ლაზარიანს საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობა დაავალეს, ხოლო ლაზარიანის ხროვას ქართველობის მოსპობა ევალება!

საუბედუროდ, **გენერალმა ლაზარიანმა** იმპერატორ პავლე პირველის დავალება შეასრულა და საქართველოს ტერაქტი მოუწყო!

იმედია, **ლაზარიანის ხროვა** ბინძურ დავალებას ვერ შეასრულებს და საქართველო ქაოსს, სისხლისღვრასა და უბედურებას გადარჩება!

*დიტო ჩუბინიძე*

### კვირგვინოსნები

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



**შეწყალების ეს გადაწყვეტილება** მივიღე დილით, 10 საათზე. არ დაველოდე არავის მოწონებას, ვერავინ ვერ ჩაითვლის ქულებს. არც მუქარებს დაველოდე, იმიტომ, რომ **მე ჩემი სინდისის წინაშე ჩავთვალე, რომ არ შეიძლება, რომ ეს ახალგაზრდა 9 წლით დაისაჯოს.**

„აქცენტი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ყველა დონორს და უცხოელ აქტორს, **თუკი არაფერი აქვთ დასამალი ქართველი ხალხისთვის,** ხუთი წუთი სჭირდება, რომ NED-ის და EED-ის პროექტები გასაჯარონ.

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ჩიქოვანი**
*თავდაცვის მინისტრი*



**მზად ვართ ვისაუბროთ დეტალურად, გახსნილად,** გვაქვს მზაობა კონსულტაციებისთვის, იმისათვის, რომ ყველას დავანახოთ, **კანონი, რომელიც არის ინიცირებული, ეს არის გამჭვირვალობის კანონი.**

„ინტერპრესნიუსი“

**მეუფე იაკობი**
*ბოდბის მიტროპოლიტი*



**ეს კანონი არც გაშორებს ევროკავშირს და არც გააახლოებს,** ეს პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. **მიგვიღებთ — მიგვიღებთ, არ მიგვიღებთ — არ მიგვიღებთ.** საქართველო ერთის თუ მეორის შემთხვევაში მაინც გააგრძელებს ცხოვრებას.

„აიპრესი“

# პრეზიდენტ ზურაბიშვილის პირადმა ფოტოგრაფმა პროტესტის ნიშნად სამსახური დატოვა!



## გიორგი აბდალაძე: სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილს, სავარაუდოდ, არჩევნების წინ შეიწყალებს!



*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

**თან და სამშობლოსთან მართალი უნდა ვიყო!** სოციალურ ქსელებში ბევრი მაგინებს და ნაცხროვის წარმომადგენლები უმადურსაც მიწოდებენ. ასეთების გასაგონად ვიტყვი — **სწორედ ნაცხროვის საშინელი რეჟიმის გამო დაიღუპა ჩვენი მეგობარი ზურა ქურციკიძე, რომელმაც ვეღარ გაუძლო ამდენ ზეწოლას.** დღეს რომ გამოდიან ვითომ ყველას და ყველაფრის დამცველებად, მაშინ არცერთ მათგანს პროტესტი არ გამოუთქვამს!

**— როგორც პროფესიონალი ფოტოგრაფი, დარწმუნებული ვარ, სალომე ზურაბიშვილის ტიპაჟს იცნობ. როგორ ფიქრობ, სააკაშვილსაც შეიწყალებს?**

— **ვფიქრობ, სალომე ზურაბიშვილის შემდეგი ნაბიჯი აუცილებლად იქნება სააკაშვილის შეწყალება, მაგრამ ეს ახლა არ მოხდება.** ზურაბიშვილი სააკაშვილს, სავარაუდოდ, არჩევნების წინ შეიწყალებს! თუმცა, აქ არის ერთი ფაქტორი — სააკაშვილის წინააღმდეგ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და ზურაბიშვილი რაღაც-რაღაცებს დაელოდება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **ლაზარეს შეწყალება არის, მინიმუმ, იმ ხალხის შეურაცხყოფა, ვინც საქართველოში მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვას ემსახურება! დარწმუნებული ვარ, სალომე ზურაბიშვილმა ამ გადაწყვეტილებით მთელი საქართველო და, განსაკუთრებით, პოლიციელები გაანაწყენა!**

**— ერთი ამბავია ატეხილი კანონპროექტზე „გამჭვირვალობის შესახებ“, რომელსაც ნაცხროვა და მისი პატრონები „რუსულ კანონად“ ნათლავენ. თქვენ რას იტყვით?**

— ეს კანონპროექტი არ წამიკითხავს, მაგრამ ერთი რამ კარგად ვიცი — **ნაცხროვა ხან „ჯაშუშობას“ გვაბრალებდა და ხან — „რუსეთუმეობას“, არადა, სინამდვილეში ჯაშუშები და რუსეთის აგენტები თავად არიან, რომლებმაც ქართული მიწები და მთელი სტრატეგიული ობიექტები სწორედ რუსეთს გადაულოცეს!** დღეს ნაცებს ერთადერთი სურვილი აქვთ — როგორმე ძალაუფლება ჩაიგდონ ხელში და მერე რევანში აიღონ იმ ადამიანებზე, რომლებმაც ამ წლების განმავლობაში ქვეყანაში მშვიდობა შეინარჩუნეს!

**— ბოლოს და ბოლოს, რისთვის იბრძვის სალომე ზურაბიშვილი?**

— ფაქტია, რომ ის „ვა-ბანკზე“ მიდის და ცალ კარში თამაშობს! არავითარი სურვილი არა აქვს, დიალოგი გამართოს იმ ადამიანებთან, რომლებმაც ხელისუფლებაში მოიყვანეს. ან კი რა უნდა უთხრას სალომე ზურაბიშვილმა ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც მას წინასაარჩევნოდ 1 მილიონი ჩაურიცხა და არჩევნების შემდეგ უთხრა — შენ ჩემი ვალი არ გაქვსო?! **თუ ბიძინა „რუსეთუმე“ და „ოლიგარქი“ იყო, მაშინ იმ 1 მილიონს ხელი რატომ მოჰკიდე? რაღაც მორალი ხომ არსებობს?**

30 წელიწადია, სულ ერთსა და იმავე პოლიტიკოსებს ვუყურებ. ბარამიძეებმა და მისთანებმა უკვე ბრეჟნევს გადაასწრეს. იმიტომაც ვერ განვითარდა ეს ქვეყანა, რადგან ბარამიძეებს საქართველო სულ წრეზე დაჰყავდათ. ეს ადამიანები დღესაც ინარჩუნებენ გავლენებს, მაგრამ მიმაჩნია, რომ 2024 წლის ოქტომბერში საქართველოს მოსახლეობა აუცილებლად გამოუტანს განაჩენს იმ ხროვას, რომელსაც ქვეყნის არევა სურს!





**„როცა სალომე ზურაბიშვილმა ქალბატონ ია მეტრეველსა და სულხან მოლაშვილის მამას უთხრა — „აქ რას მომივარდითო!“ — ეს იყო ჩემთვის შოკი. ქალბატონ იასა და ბატონ თამაზ მოლაშვილს ამის გამო ბოდიშს ვუხდი!“**

**ლაზარეს შეწყალებით სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს მტრებს ნიშანი მისცა, რომ სახელმწიფო უძლურია და ყველას შეუძლია, დაუსჯელობის იმედით ქვეყანას „მოლოტოვის კოქტეილი“ ესროლოს!** როცა სალომე ზურაბიშვილმა ქალბატონ **ია მეტრეველსა და სულხან მოლაშვილის** მამას უთხრა — **„აქ რას მომივარდითო!“** — ეს იყო ჩემთვის შოკი. ქალბატონ იასა და ბატონ თამაზ მოლაშვილს ამის გამო ბოდიშს ვუხდი!

**— რაც სამსახურიდან წამოხვედი, ვინმე პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან დაგიკავშირდა?**

— კაციშვილს ჩემთვის არ დაურეკავს. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ერთი ადამიანიც არ აღმოჩნდა, ვისაც გავახსენდი. არა უშავს, მეგობრები გაჭირვებაში იცნობა. ბევრი რამ მაქვს გავლილი და ამასაც გავივლი.

**— რას აპირებ?**

— ჯერ საკუთარი ფოტოაპარატიც კი არ მაქვს! ამიტომ ჯერ ფოტოაპარატი უნდა შევიძინო და მერე ვნახოთ. მე პროფესიონალი ფოტოგრაფი ვარ, უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ უნახავს ჩემს კამერას, ძალიან ბევრი კადრი მაქვს გადაღებული და სადაც თავს კომფორტულად ვიგრძნობ და სინდისთან არ მომიწევს კომპრომისი, იქ ვიქნები!

**— შენ გარდა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სურვილი არავის გაუჩნდა, რომ პროტესტის ნიშნად სამსახური დაეტოვებინა?**

**– მიმაჩნია, რომ ცოტა ხანში პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ძალიან ბევრი რამ შეიცვლება. ვიცი ჩემი ყოფილი თანამშრომლების განწყობა და ველოდები, რომ იქიდან ბევრი წამოვა!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## ქრონიკა

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია Federation of Georgian Journalists
FGJOURNALISTS@GMAIL.COM
ქ.თბილისი. აკაკი წერეთლის №116. მე-4 სართული

# საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია ახალ სიცოცხლეს იწყებს!

*თანამედროვე მოდური ტენდენციების აყოლა რომ გვინდოდეს და უცხოურ სიტყვათა რახარუხი გვხიბლავდეს, ვიტყოდით, რომ 2024 წლის 12 აპრილს გამართულ ყრილობაზე საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის რებრენდინგი განხორციელდა და ამიერიდან **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციად** იწოდება.*

სინამდვილეში, მოხდა ის, რომ საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითმა კავშირმა, ყრილობის დელეგატთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, დაიბრუნა სახელი, რომელიც 2003 წლამდე ერქვა — **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია!**

რაც მთავარია, **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია** ძველი სახელის დაბრუნებით ახალ სიცოცხლეს იწყებს, რადგან მრავალწლიან მისავათებას თავი დააღწია, ფინანსურ დავალიანებათა მძიმე უღელიც გადაიგდო და გადარჩენილმა „ჰოპლაც“ დაიძახა. ეს კი მას შემდეგ მოხდა, რაც გასული წლის 8 აპრილს, მაშინ ჯერ კიდევ საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარედ ჟურნალისტი და მედიამენეჯერი, საინფორმაციო სააგენტო „რეპორტიორის“ გენერალური დირექტორი **გიორგი მამაცაშვილი** აირჩიეს.

აწ უკვე **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის** თავმჯდომარემ ბოლო ერთი წლის განმავლობაში რა დონე იხმარა და როგორ მოახერხა მძიმე მემკვიდრეობისათვის თავის დაღწევა, ორგანიზაციის მრავალათასიანი დავალიანების გასტუმრება და აუქციონზე გასაყიდად გამზადებული ოფისის — ვაკეში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე შენობის ჟურნალისტებისათვის შენარჩუნება, ამის თაობაზე მან თავად ჩააბარა დეტალური ანგარიში ამა წლის 12 აპრილს გამართული ყრილობის დელეგატებს.

როგორც ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას ცნობილმა და სახელოვანმა ჟურნალისტებმა — **არჩილ გოგელიამ, პაატა ნაცვლიშვილმა, აკაკი სიხარულიძემ, ნანა დევდარიანმა, გრიგოლ ჩიგოგიძემ, ბონდო მძინარაშვილმა, თამთა ბერიაშვილი, მაია კახიძემ და მარინა თექთუმანიძემ** აღნიშნეს, **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის** განახლება და გაძლიერება ქართული ჟურნალისტიკის განვითარებისაკენ გადადგმული ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ჰოდა, იწყებს ახალ სიცოცხლეს **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია,** რომელმაც 12 აპრილს გამართულ ყრილობაზე საკუთარი წესდების ახალი რედაქციაც დაამტკიცა და გამგეობისა და პრეზიდიუმის ახალ წევრებადაც აირჩია რამდენიმე სახელოვანი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე.

2024 წლის 12 აპრილის ყრილობაზე დამტკიცებულ გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრთა სრულ სიას აქვე გთავაზობთ და არც იმის თქმის შეგვეშინდება, რომ **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის** ახალ სიცოცხლესთან ერთად ქართულ ჟურნალისტიკაში ახალი ეტაპი იწყება.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის გამგეობა: ***გიორგი მამაცაშვილი, ლაშა ნადარეიშვილი, აკაკი სიხარულიძე, ნანა დევდარიანი, პაატა ნაცვლიშვილი, ჯაბა ხუბუა, ბონდო მძინარაშვილი, არჩილ გოგელია, მარინე გიგინეიშვილი, მარინა თექთუმანიძე, ნინო გოძიაშვილი, ვან ბაიბურთი, გიგლა გობეჩია, სპარტაკ ქობულია, გუბაზ მეგრელიძე, თამთა ბერიაშვილი, ირმა ინაშვილი, ლალი მოროშკინა, ნიკოლოზ ყანდიაშვილი, ანტონ ლასხიშვილი, ვახტანგ ხუნდაძე, ვადიმ ანასტასიადი, რობინზონ ოდიკაძე, შახვალად აივაზოვი, დათო ქაქუთია, ნანა ლომაია, ჯემალ სეფიაშვილი, მიხეილ აბაიშვილი, მარინე კახიძე, თეიმურაზ ჟღენტი, თამარ ჩაჩანიძე, ლიანა ჭიღლაძე, გულიადა ჭკადუა, ლამარა გიორგაშვილი, მამია ვაშაკიძე, მარინე დამენია, მარიამ ზედელაშვილი, მერაბ ბალაშვილი, დავით წერეთელი, ქეთევან სესიაშვილი, ია მიროტაძე, ნაზიკო მეშველიანი, ლეონიდე დოლიძე, თენგიზ გაჩეჩილაძე, გრიგოლ ჩიგოგიძე, ვახტანგ ნადირაძე, ბადრი ვადაჭკორია, ივანე ჯაფარიძე, თამაზ ჭეიშვილი, დემიკო ლოლაძე, ალექსანდრე კოტორაშვილი, მერაბ ხაჩიძე, ზაურ ნაჭყებია.***

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმი: ***გიორგი მამაცაშვილი, ლაშა ნადარეიშვილი, ნანა დევდარიანი, აკაკი სიხარულიძე, ბონდო მძინარაშვილი, არჩილ გოგელია, ნანა ლომაია, ვახტანგ ხუნდაძე, ჯაბა ხუბუა.***

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

# შეაყარე კედელს ფეტვი!





რუსუდან ფეტვიაშვილმა ბრძანა: **„შეშფოთებული ვარ. სიმართლე რომ ითქვას, მე არ ვიცი, კონკრეტულად რაზე უნდა შევშფოთდე, მაგრამ ქვეცნობიერად ვგრძნობ, ინტუიტიურად, რომ ეს არის შემაშფოთებელი“.**

☺

გამოგიტყდებით — **ალღოიანი ქალია რუსუდანი, მან არასდროს იცის, რაზე უნდა შეშფოთდეს, მაგრამ ინტუიტიურად გრძნობს, რომ აუცილებლად უნდა შეშფოთდეს.**

დიახ, **ინტუიტიურად!**

2011 წლის 26 მაისსაც ასეთი **ინტუიტიური** შეგრძნებები ჰქონდა, ოღონდ უკუღმა. სასტიკი დარბევისა და სისხლისღვრის შემდეგ შეუშფოთებლად მიკუსკუსდა პარლამენტის წინ გამართულ ე.წ. აღლუმზე და მიიღო ის, რაც სააკაშვილმა გამოუწერა — **ღირსების ორდენი!**

გაიგონეთ?

2011 წლის 26 მაისს ამ ქალმა **ინტუიტიურად** მიიღო **„ბრწყინვალების ორდენი“** და თანაც ისე მიიღო, რომ შუბლის ძარღვიც კი არ შესტოკებია, აღარაფერს ვამბობ **ინტუიტიურ შეგრძნებებზე.**

☺

რაღა დაგიმალოთ და... მე ამ კუთხით ისტორიული პიროვნება გახლავართ — რუსთაველზე ვიყავი დარბევის დროსაც და რუსთაველზე ვიყავი აღლუმის დროსაც. სხვა გზა არ მქონდა, ვაშუქებდი ორივე მოვლენას.

მეორე დღეს... როცა ე.წ. აღლუმი დაიწყო, საკუთარი თვალით ვნახე ეს მარაზმი.

ვნახე, როგორ გადარეცხეს სისხლიანი ასფალტი სპეცმანქანებით, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გადარეცხეს, კვალი მაინც ვერ წაშალეს.

☺

**რასაკვირველია, რუსუდანი მაშინ არ შეშფოთებულა... თავისმა ინტუიტიურობამ უკარნახა, რომ არ უნდა შეშფოთებულიყო... თქვენ წარმოიდგინეთ, არც ფეხებთან დაღვრილი სისხლი შეუნიშნავს, ის მაშინ მხოლოდ მაღლა იყურებოდა, ცაში დაფრინავდა... „ბრწყინვალების ორდენი“ გამოუწერა ბელადმა — აბა, როგორ?!**

☺

ახლა კი... ახლა, თურმე, შფოთავს... არ იცის, რაზე შფოთავს, მაგრამ მაინც შფოთავს... **ინტუიტიურობა** კარნახობს, რომ მის ევროპიულ მომავალს საფრთხე ემუქრება. მოკლედ, შეაყარე კედელს **ცერცვი...** ბოდიში, **ფეტვი!**




# გამარჯახნავებულები

**შვილო, როდის გაიმარჯვე, რომ ისევ გაიმარჯვო?**

**აბა, როდის?**

**„მოლოტოვის კოქტეილებს“ რომ ისროდი, მაშინ?**

**პოლიციელებს ცეცხლს რომ უკიდებდი, მაშინ?**

**სახელმწიფოს კუთვნილ მანქანებს რომ ამტვრევდი და წვავდი, მაშინ?**

**ან იქნებ პოლიციელებსა და სპეცრაზმელებს ქვებს რომ ესროდი, მაშინ?**

☺

და... შენ, დაზომბებული რომ დგახარ და უმისამართოდ იყურები, ამას გამარჯვებას ეძახი?

**ვისზე და რაზე გაიმარჯვე?**

არა, შენ ძალიან ადრეულ ასაკში გაფუჭდი და დამარცხდი, „ენჯეო-ბობოლები“ გიყენებენ, ისინი მდიდრდებიან, შენ კი დგახარ გარინდებული და არაფერზე ფიქრობ, რადგან ასე დაგაპროგრამეს, თავში ნამჯა ჩაგიდეს და რასაც ჩაგძახებენ, იმას ამოიძახებ — **„ალა ლუშულ კანონს“!**

იმდენი უნარიც არ გაქვს, კანონი წაიკითხო და დასკვნა თავადვე გააკეთო — ჩაგძახეს, **„ლუშულიაო“** და მორჩა, ასე უნდა ჩაიხვიო, ვალდებულება გაქვს, დღის ბოლოს 50 ლარს გადმოგიგდებენ. არა, ბიჭო, **კაპიტანი ბიბაური** შენთვის დოლარებს გაიმეტებს, მეტი საქმე არა აქვს!

☺

ჰა, ჰა, ჰა... ისევ გავიმარჯვებთო, როდის იყო, მოღალატეები იმარჯვებდნენ?

შეიძლება ე.წ. პატრონებმა გითხრან, რომ გაიმარჯვეთ, მაგრამ არ დაიჯერო, გატყუებენ. **აგერ, შენი ბელადიც ამტკიცებდა 2008-ში, რუსეთი დავამარცხეთ, ომი მოვუგეთ, გავიმარჯვეთო, მაგრამ ხომ ნახე, როგორ გადახნა გორში მინდორ-ველები ცხვირით?**

# ფართე ქალი ფართო გაგებით!



თქვენი არ ვიცი და... მე პირადად **„ლუშული კანონის“** შესახებ ასეთი ლაკონიური, შინაარსიანი, მოქნილი და გასაგები განმარტება არსად მომისმენია.

**ნინო ქათამაძე** (დალაბულალას უბადლო შემსრულებელი): **„ადამიანი რო ჩამოვა ამერიკის შეერთებული შტატებიდან და თავის ნაშრომს დადებს ანგარიშზე და გამოვა მიტინგზე, გამოთქვამს თავის ჯანსაღ აზრს რაღაც მოვლენებზე, რა თქმა უნდა, ეს კანონი ეტყვის, შენ არასწორად დადე თანხაო“.**

☺

ესე იგი... რაღა დაგიმალოთ და... მაგალითად, რუსეთში იმღერა ადამიანმა... იმღერა რა, იდალაბულალავა, რომელიღაც პასიოლოკში გაყიდა ბილეთები, მოაგროვა რუბლები, ტოპრაკით ჩამოიტანა საქართველოში, აქ დახვდა „რუსული კანონი“ და ეუბნება — **შენ არასწორად ჩამოიტანეო.** ეს იმ დროს, თუ ამ ადამიანმა რომელიმე ანტისამთავრობო აქციაზე გამოთქვა თავისი ჯანსაღი აზრი.

აი, მეგობრებო, ხედავთ, სად არის ძაღლის კუდი დამარხული?

**თუ ადამიანი გაჩუმდება და წყალში პირს ჩაიგუბებს, „რუსული კანონი“ არას ერჩის, მაგრამ, თუ თავის ჯანსაღ აზრს გამოთქვამს, ეგრევე დაეტაკება ავჩარკა ძაღლივით.**

☺

დღემდე ვფიქრობდი, რატომ იყო ეს კანონი **რუსული,** ვერ ვხვდებოდი და აჰა, ამ **ფართო გაგების ფართე ქალმა** მიმახვედრა.

მეტიც!

თქვენ არც კი იცით, რომ **თუ „ქართულმა ოცნებამ“ ეს კანონი მიიღო,** საქართველოში დაიწყება აპოკალიფსი — აღმა იქცევა დაღმად და დაღმართი იქცევა აღმართად, კახეთისკენ მიმავალი გზა წავა კობახჩოსკენ და სამეგრელოში მიმავალი გზა წავა არდანბურდანისკენ.

მეტიც — მთელ საქართველოში ლამპიონებს აანთებენ დღისით და ჩააქრობენ ღამით... აი, როგორც ვაქირში იციან ხოლმე.

**ჰო, კიდევ:**

ვაზი გამოისხამს ცუცურაკს, ვაშლი გამოისხამს კონჩოლს, ციტრუსი გამოისხამს სკლინტს, კაკალი გამოისხამს ბალაყარს.

თუ ამაზე ვინმე ხმას ამოიღებს, უმალ მიადგება **„რუსული კანონი“** და ეგრევე მიაგამჭვირვალებს!

☺

მოკლედ, მე **ამ ფართო გაგების ფართე ქალმა** თვალები ამიხილა და ნურც თქვენ გეპატარავებათ თვალში!




# ტანით უგრძვნია!

**ავლიპა პაპას** გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე ველაპარაკე. ძალიან ნაწყენი იყო — ახალგაზრდები კალაპოტიდან ამოცვივდნენ, აღარაფერი ესმით, აღარაფრის გაგონება აღარ უნდათ და, საერთოდ, ვარაუდზე დადიანო.

მაშინ ვიფიქრე, დაბერდა და აჭარბებს-მეთქი.

ახლა ვფიქრობ — მართლა გენიოსი ყოფილა, რა ზუსტად იწინასწარმეტყველა, რომ **მალე დადგებოდა დრო, როცა ახალგაზრდები ყველაფერს გულით კი არა, ტანით იგრძნობდნენ.**

☺

ისე კი, არ გამოვრიცხავ, ესენი უცხოპლანეტელებიც იყვნენ... აბა, მოვლენები და კანონები **ტანით როგორ უნდა იგრძნო?**

# არაჩვეულებრივი გამოფუნა

***წინამდებარე წერილის სათაური „არაჩვეულებრივი გამოფუნა“ ალუზიური შეხმიანება გენიალურ ქართულ მხატვრულ ფილმთან, რომელსაც „არაჩვეულებრივი გამოფენა“ ჰქვია და იმის შესახებ მოგვითხრობს, რომ ნიჭიერი მოქანდაკე აგული ერისთავი ცხოვრების ორომტრიალმა სასაფლაოზე დასადგმელი ბიუსტების ხელოსნად გადააქცია.***




რაც შეეხება „არაჩვეულებრივ გამო**ფუნას**“, რაშიც პოლიტიკური **ფუნების,** ანუ პოლიტიკური ნეხვებისა და ექსკრემენტების გამოფენა იგულისხმება, ეს ფილმი ან რაიმე სხვა ჟანრის მხატვრული გამონაგონი კი არა, თანამედროვე საქართველოს სავალალო რეალობაა.

შესაბამისად, თუ **„არაჩვეულებრივი გამოფენის“** მთავარ გმირად ნიჭიერი მოქანდაკეა გამოყვანილი, **„არაჩვეულებრივი გამოფუნის“** მთავარ პერსონაჟებად უნიჭო პოლიტიკანები და მათზე მიტმასნილი სუბიექტები გვევლინებიან, რომლებიც ერთობლიობაში პოლიტიკური **ფუნის** უშველებელ გროვას ქმნიან და ქვეყანას აყროლებენ.

სწორედ ასეთი **პოლიტიკური ფუნების არაჩვეულებრივი გამოფუნა** ვიხილეთ 2024 წლის 9 აპრილს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, სადაც კოლექტიური ნაცმოძრაობისა და ნეოლიბერალური სექტის წარმომადგენლებმა უცხოური გავლენის „გამჭვირვალობის შესახებ კანონის“ საწინააღმდეგო აქცია გამართეს.

აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ **არაჩვეულებრივი გამოფუნის** ექსპონატებად არ განვიხილავთ იმ მოქალაქეებს, რომლებიც ქუჩაში გულწრფელმა აღშფოთებამ გამოიყვანა, რადგან მართლა სჯერათ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციათა უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის დაკანონება რუსული საქმეა.... თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, ამა წლის 9 აპრილს პარლამენტის შენობის წინ თავმოყრილ მცირერიცხოვან მომიტინგეთა შორის ასეთები მრავლად ყოფილიყვნენ.

სამაგიეროდ, 2024 წლის 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე **„რუსულ კანონს“** აპროტესტებდნენ და საქართველოს **„პროდასავლურ არჩევანს“** იცავდნენ ისეთი **პოლიტიკური ფუნები,** რომლებმაც მთელი თავიანთი ახალგაზრდობა საბჭოთა იმპერიის მსახურებას, საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლასა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა დევნა-რბევას მიუძღვნეს. კონკრეტულად, ასეთი გახლავთ **პარტია „ლელოს“ ლიდერი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის ყოფილი მდივანი მამუკა ხაზარაძე,** რომელმაც, არაერთი ცნობილი ადამიანის მტკიცებით, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამდე ორიოდე თვით ადრე, **1989 წლის 18 თებერვალს, „გეპეის“ პირველ კორპუსთან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქცია თავის ზონდერკომკავშირელებთან ერთად დაარბია და მერაბ კოსტავაზე ხელი აღმართა.**

აღსანიშნავია, რომ

**1989 წლის 18 თებერვლის მიტინგის დარბევა, რაშიც ე.წ. მერვე პოლკის რუს სალდაფონებს კომკავშირის კომიტეტის მდივანი ხაზარაძე და მისი 10-10 კაცად დაყოფილი ზონდერჯგუფები ეხმარებოდნენ, 9 აპრილის ტრაგედიის „გენერალურ რეპეტიციად“ არის მიჩნეული, მაგრამ 9 აპრილის ტრაგედიის 35 წლისთავზე იგივე ხაზარაძე თავს უფლებას აძლევს, მგზნებარე ანტირუსისა და პროდასავლელის მანტიაში გახვეული დადგეს იმ ადგილას, სადაც მისმა პოლიტიკურმა და სულიერმა წინაპრებმა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართველ პატრიოტთა სისხლის გუბეები დააყენეს.**

სწორედ ამიტომ არის **მამუკა ხაზარაძე პოლიტიკური ფუნა** და სწორედ ამიტომ იყო **არაჩვეულებრივი გამოფუნა** ის, რაც 2024 წლის 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე ვიხილეთ.

სადაც **მამუკა ხაზარაძეა,** მისი **„ტუალეტის მჯღაბნელთა“** კოჰორტის წარმომადგენლებიც ყოველთვის იქვე არიან და გამონაკლისი არც **არაჩვეულებრივი გამოფუნა** გამოდგა, რომლის ერთ-ერთ ექსპონატად **„საბას“ პრემიის ლაურეატი რატი ამაღლობელი** მოგვევლინა. ბუნებრივიც არის, რომ **რატი,** რომელმაც საქვეყნოდ განაცხადა — **ყველა ლექსის წერა ტუალეტში მაქვს დაწყებულიო**, არაჩვეულებრივ გამო**ფუნას** არ დააკლდა, რადგან **ლაშა ბუღაძისა და სხვა „უბორნიის მწერლების“** მსგავსად ისედაც სულ ფუნასთან აქვს საქმე.

**არაჩვეულებრივი გამოფუნის** ექსპონატთა შორის გახლდათ დავითგარეჯის საქმეზე ბრალდებული **ივერი მელაშვილი**, რომელიც ქართული სახელმწიფოსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული, მაგრამ 20 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ თავისუფლებაზე იმყოფება.

მოგეხსენებათ, სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიის ყოფილ ექს-

**ელდარ შენგელაიას ფილმის პერსონაჟმა აგული ერისთავმა არაჩვეულებრივი გამოფენა ჩვეულებრივ სასაფლაოზე მოაწყო, ხოლო ქართველი პოლიტიკური ფუნების უკანასკნელი არაჩვეულებრივი გამოფუნა მათსავე პოლიტიკურ სასაფლაოზე მოეწყობა!**

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



პირობა თუ იქნება, რომ **ევროკავშირში მხოლოდ მაშინ მიგვიღებენ, თუ საზოგადოებას სიმართლე არ ეცოდინება,** შეიძლება, ამ პარტნიორულ და მეგობრულ ურთიერთობას დავარქვათ **„მეგობრობა ძალადობით“.**

„პირველი არხი“

**რამაზ იოსელიანი**
*მსახიობი*



მე რომ ვიყავი სამხატვრო ხელმძღვანელი, მოდიოდნენ ყოველ კვირას და მეუბნებოდნენ — **წარმოგვიდგინეთ საბუთები, სად რა დახარჯე. ვალდებული ვიყავი, 10 დღეში ჩამებარებინა მათთვის ჩემი ხარჯები** და მათ რომ კითხოთ, მოგცემენ ხარჯებს?! **საიდან აქვთ ფული, ან რაში იხარჯება. ჩემთვის კანონია და მაგათთვის კანონი არ არის?!**

„რუსთავი-2“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



**დეზინფორმაციაზე მეტად რუსული არაფერი არ არის,** შესაბამისად, ჩვენ გვყავს **რუსული რადიკალური ოპოზიცია,** რომელიც დეზინფორმაციას ირჩევს და არა — გამჭვირვალობას.

„პირველი არხი“

**მაკა ბოჭორიშვილი**
*პარლამენტის ევროკავშირთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*



რაც არ უნდა დააშინოთ საზოგადოება აბსურდით, **კანდიდატის სტატუსის წართმევით ან უვიზო მიმოსვლის შეჩერებით,** გამჭვირვალობას ვერასდროს აქცევთ რუსულ ფენომენად.

„პირველი არხი“

**გიორგი ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



საქართველო არ არის **რაღაც ხელწამოსაკრავი ქვეყანა,** რომელიც შეიძლება, ასე დაამციროთ და უთხრა — შენი საქმე არ არის, **რასაც გეტყვიან, ის უნდა გააკეთოო?!**

„TV იმედი“

# თქვენ წინაშე არიან გამჭვირვალობის კანონის წინააღმდეგ მოწყობილი არაჩვეულებრივი გამოფუნის ექსპონატები: მამუკა ხაზარაძე, რატი ამაღლობელი, ვაჟა ექიმი და ივერი მელაშვილი!

პერტებს — **ივერი მელაშვილსა და ნატალია ილიჩოვას** საქართველოს გენერალური პროკურატურა იმ დოკუმენტების განზრახ გადამალვას ედავება, რომლებიც ადასტურებენ, რომ ქართულ და აზერბაიჯანულ მხარეებს შორის სადავოდ ქცეული დავითგარეჯის ტერიტორიის ნაწილი ისტორიულად საქართველოს კუთვნილებაა... უფრო მარტივად თუ ვიტყვით, პროკურატურა ამტკიცებს, რომ **ილიჩოვა და მელაშვილი** ყველაფერს აკეთებდნენ, რათა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი უცხო სახელმწიფოს საკუთრებაში გადასულიყო, რაც სამშობლოს ღალატის ტოლფასი დანაშაულია.

მართალია, სასამართლოს განაჩენი ჯერ არ გამოუტანია და ოფიციალურად არ დაუდასტურებია, რომ **მელაშვილმა და ილიჩოვამ** საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ წინასწარი პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებისთანავე **ივერი მელაშვილმა** დავითგარეჯის ნაწილი საქართველოს წაჰგლიჯა და აზერბაიჯანს გადაულოცა, როცა „ჰუტავიზიად" წოდებული „ტვ პირველის" ეთერში განაცხადა:

> *„როდესაც ხაზს უსვამ და წყვეტ, გინდა თუ არა, ეს ჩემია, როგორ არის შენი, როდესაც არ არის შენი, არ გაქვს ამის საფუძველი. ვიღაც ბერი იქნება თუ ერის წარმომადგენელი, მივა იქ და კელიებთან პოზირებას დაიწყებს, ამის გამო ეუბნები, რომ ჩემია, არ არის სწორი, არ არის შენი და არ დაგითმობს არასოდეს".*

აი, ამიტომაც არის **ივერი მელაშვილი** პოლიტიკური ფუნა და ამიტომ იყო **არაჩვეულებრივი გამოფუნა** ის, რაც 2024 წლის 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე ვიხილეთ.

**არაჩვეულებრივი გამოფუნის** ექსპონატებს შორის ასევე თვალს მოკრავდით **ვაჟა გაფრინდაშვილს,** იგივე **ვაჟა ექიმს,** რომელმაც ნაცლიბერალურ პროპაგანდას მისი გმირად შერაცხვის მთელი კამპანია ერთი ხელის მოსმით ჩაუყარა წყალში, როცა ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის **ანატოლი ბიბილოვის** სახელზე შეწყალების თხოვნა დაწერა.

**ვაჟა ექიმი,** რომელიც ცხინვალის იზოლატორიდან გათავისუფლების შემდეგ კოლექტიური ნაცსექტის ერთ-ერთ სახედ იქცა და მის არცერთ მიტინგს არ აკლდება, თავის მართლებას ცდილობს — სეპარატისტული რეჟიმის ლიდერს შეწყალების თხოვნით კი მივმართე, მაგრამ ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდება არ მიღიარებიაო... არადა, ნაცსექტის ვერშემდგარმა გმირმა ამაზე უარესი რამ ჩაიდინა — ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმის ლიდერის სახელზე შეწყალების თხოვნის დაწერით მისი ლეგიტიმაცია აღიარა.












ცხადია, **ვაჟა გაფრინდაშვილს** ვერავინ დაძრახავს იმის გამო, რომ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე იზრუნა, მაგრამ დასაძრახი და დასაცინია ნაცლიბერალური სექტა, რომელიც მის გმირად შეფუთვას ცდილობს, რათა ყველა მიტინგზე უტარო დროშასავით აფრიალოს, აქაოდა — შეხედეთ, ჩვენ გვერდით როგორი პატრიოტები დგანანო!

არადა, **ვაჟა ექიმი საქართველოს პატრიოტი რომ იყოს, ქართველი ხალხის სისხლით გაუმაძღარი ნაცჯალათების გვერდით არ დადგებოდა და არაჩვეულებრივი გამოფუნის ექსპონატად არ გა**დაიქცეოდა!

ისიც უნდა ითქვას, რომ

**2024 წლის 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე მოწყობილი არაჩვეულებრივი გამოფუნის ექსპონატები – მამუკა ხაზარაძე, რატი ამაღლობელი, ვაჟა ექიმი და ივერი მელაშვილი „გამჭვირვალობის შესახებ კანონის" მიღებას სულ ტყუილად ეწინააღმდეგებიან, რადგან მათ შესახებ ყველაფერი ისედაც გამჭვირვალე და ნათელია!**

2024 წლის 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე გამართულ **არაჩვეულებრივ გამოფუნაზე** კიდევ არაერთი **პოლიტიკური ფუნა** შეინიშნებოდა, თუმცა, თითოეულ ექსპონატზე ცალ-ცალკე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს და არც არის საჭირო, რადგან ყველანი ისედაც ერთნი არიან და ერთმანეთს ისე ჰგვანან, როგორც ურმის თვალით შუაზე გაჭრილი ფუნის ნაწილები.

ელდარ შენგელაიას ფილმის პერსონაჟმა **აგული ერისთავმა არაჩვეულებრივი გამოფენა ჩვეულებრივ სასაფლაოზე მოაწყო, ხოლო ქართველი პოლიტიკური ფუნების უკანასკნელი არაჩვეულებრივი გამოფუნა მათსავე პოლიტიკურ სასაფლაოზე მოეწყობა!**

**პოლიტიკურ სასაფლაოზე ქართველი პოლიტიკური ფუნების ბოლო არაჩვეულებრივი გამოფუნა 2024 წლის 27 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნების მეორე დღესვე, უნდა შედგეს!**

*ჯაბა ხუბუა*

## კვირგვინოსნები

**ოლაფ შოლცი**
*გერმანიის კანცლერი*



გერმანია საქართველოს **სანდო პარტნიორად რჩება.** ჩვენ საქართველოს გზას **ევროკავშირის მიმართულებით** მომავალშიც მხარს დავუჭერთ.

„ინტერპრესნიუსი"

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის" გენერალური მდივანი*



გერმანიის კანცლერმა პირდაპირ თქვა, რომ **ეს კანონი არ არის ევროპული** — „ქართული ოცნება" უფრო ახლოს არის **„გუთენ ტრაკენის"** სტანდარტთან, ვიდრე ევროპასთან.

„ინტერპრესნიუსი"

**გიორგი მარგველაშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



ოპოზიციას აქვს **ზედმეტი დამოკიდებულება პარტნიორებზე,** არ უნდა მივყვეთ, რასაც გვეტყვიან საელჩოებში, **პროტესტის ტალღა უნდა აგორდეს, მოხდეს რადიკალიზაცია.**

„TV ფორმულა"

**კონსტანტინე გამსახურდია**
*ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი*



არ უნდა მიეცეს ისეთ პროცესებს განვითარების საშუალება, რომლებიც ქვეყანას მიიყვანენ **დაპირისპირებამდე და სამოქალაქო ომის მსგავს მოვლენებამდე.**

„TV იმედი"

**ზურაბ ჯაფარიძე**
*„გირჩი — მეტი თავისუფლების" ლიდერი*



„ქართული ოცნება" **ჯერ — ქუჩაში და შემდეგ არჩევნებზე** უნდა დასრულდეს, სხვა გზა არ არის.

„პირველი არხი"

**დავით კაჭარავა**
*პარტია „ხალხის ძალის" წევრი*



ქვეყანაში **შავი ფული დიდი რაოდენობით შემოდის** და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს ხმარდება, **რაც უნდა გამოაშკარავდეს.**

„აიპრესი"

*საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული და „ასავალ-დასავალის“ წინამდებარე გვერდზე დაბეჭდილი ფოტო 2024 წლის 9 აპრილს თბილისში, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის საწინააღმდეგო აქციაზეა გადაღებული.*




**სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ საქართველოს კანონი ნაციონალური მოძრაობის პარტიულ დროშაზე არ ვრცელდება, მაგრამ სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ საქართველოს კანონი არც საქართველოს სახელმწიფო დროშაზე ვრცელდება, რადგან იგი ნაციონალური მოძრაობის პარტიული დროშაა!**




# ეს არის დროშის

ფოტოზე ვხედავთ ტრანსპარანტს მიხეილ სააკაშვილის გამოსახულებითა და წარწერით — **„თავისუფლება მიშას“,** რაც იმაზე მიუთითებს, რომ 9 აპრილს გამართულ აქციაში **„რუსული კანონით“ აღშფოთებული „პროდასავლელი მოქალაქეების“ სახელით** ჩვეულებრივი ნაცსექტანტები მონაწილეობდნენ, რომელთათვისაც „საქართველოს ევროპული მომავალი“ მათი ბელადის თავისუფლებაზე გადის.

არადა, ყოვლად შეუძლებელია, საქართველოს ევროპულ მომავალსა და პროდასავლურ ღირებულებებს იცავდნენ იქ, სადაც ყველაზე ანტიდასავლური და ანტიდემოკრატიული რეჟიმის თავკაცის — მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი სისტემის შემქმნელი სააკაშვილის ფოტოებს აფრიალებენ.

როგორ უნდა მოქცეულიყვნენ 2024 წლის 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე შეკრებილი მცირერიცხოვანი დემონსტრანტები, თუ მათ მართლა საქართველოს ევროპული მომავალი აღელვებთ? **უპირველეს ყოვლისა, ნაცაქტივისტებისათვის უნდა მოეწოდებინათ — თქვენი დამნაშავე ბელადის მხარდამჭერი პლაკატები და ლოზუნგები აქაურობას მოაშორეთო, ხოლო, თუ ამას ვერ მიაღწევდნენ, თავად გასცლოდნენ აქციას და მკაფიოდ განეცხადებინათ — ვერ დავდგებით იქ, სადაც ქართველი ხალხის სისხლში გასვრილი სააკაშვილის ფოტოებს აფრიალებენო!**

თუმცა, 2024 წლის 9 აპრილს „პროდასავლელ“ დემონსტრანტებს შორის ერთი კაციც არ აღმოჩნდა, ვინც აქციაზე სააკაშვილის ფოტოების ფრიალს გააპროტესტებდა და სისხლის სამართლის დამნაშავე ნაცბელადის გათავისუფლების მოთხოვნას გაემიჯნებოდა!

ვფიქრობთ, ამით ყველაფერი ნათქვამია და ცხადზე უცხადესია, რომ ადამიანებს, რომლებიც საქართველოს ევროპულ მომავალსა და სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლებას ერთმანეთს უკავშირებენ, საქართველოც ფეხებზე ჰკიდიათ და მისი ევროპული მომავალიც!

ასეთი ადამიანებისაგან არც ის არის გასაკვირი, რასაც **წინამდებარე გვერდზე დაბეჭდილ ფოტოზე** სააკაშვილის პლაკატთან და ევროკავშირის დროშასთან ერთად ვხედავთ: **ნაცდემონსტრანტების მიერ გაშლილ დროშაზე მხოლოდ ერთი ჯვარია გამოსახული, ხოლო დანარჩენი ოთხი ჯვრის მაგივრად ოთხი გული ხატია,** ანუ ნაცები საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკას ჭინჭივით ხმარობენ და რაც მოეპრიანებათ, ყველაფერს ზედ ჯღაბნიან.

თუმცა, ამ შემთხვევაში „სახელმწიფო სიმბოლიკა“ უადგილო ნათქვამია, რადგან **საქართველოს ნამდვილი სახელმწიფო დროშა არ გააჩნია და ქვეყნის თავზე კვლავ სააკაშვილის პარტიული ბაირაღი ფრიალებს!**

შესაბამისად, ნაცებს სრული უფლება აქვთ, **თავიანთ პარტიულ დროშას** როგორც უნდათ, ისე მოექცნენ!

რაც გინდა თქვი, ნაცების ბრალი ნაღდად არ არის, რომ მათი პარტიული დროშა დღემდე საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოდ ითვლება!

## ნაცების დანაშაული როდია, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოდ დატოვა მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის პარტიული დროშა, რომლის ქვეშაც სააკაშვილმა სისხლის მდინარეები დააყენა, გვამების ჯომოლუნგმა დადგა და საქართველოს ტერიტორიების ოცი პროცენტი დაკარგა!

ჰოდა, **ნაცებს თავისუფლად შეუძლიათ, თავიანთ პარტიულ დროშაზე მარტო გულები კი არა, სააკაშვილის ყოფილი ცოლებისა და მოქმე-**

## სახელმწიფო სიმბოლოდ აღიარებული ნაცბანდის პარტიული დროშა საქართველოს არამხოლოდ პოლიტიკურ და მორალურ, არამედ სამართლებრივ აბსურდშიც აგდებს!

### კვირგვინოსნები

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



**„ერთიანმა ბოლშევიკურმა მოძრაობამ“** ხელი მოაწერა მოღალატეობრივ რეზოლუციას. **სიმართლესთან ბრძოლაში ისინი ჩვენ არაერთხელ სასტიკად დავამარცხეთ.** დიახ, ისინი ვერ გვჯობნიან, მათ არჩევნებშიც, პოლიტიკურადაც და სამართლებრივ ბრძოლაშიც **ვამარცხებდით, ვამარცხებთ და მომავალშიც დავამარცხებთ.**

„იმედინიუსი“

**გიორგი გამსახურდია**
*ჟვიად გამსახურდიას შვილი*



**გელა ბეჟუაშვილს** განუცხადებია, რომ სირცხვილის გრძნობას განიცდის **სააკაშვილის** საკითხზე საზოგადოების და ხელისუფლების არასათანადო აქტიურობის გამო. **ბატონო გელა, თქვენ ხშირად გეჩურჩულებოდათ პუტინი ყურში,** გვახსოვს ეგ კადრები, მაგრამ **ახლა რა ჩაგჩურჩულათ, ეგ არის საინტერესო.**

„იმედინიუსი“

**დავით ქიქინაძე**
*„ტრიბუნის“ დამფუძნებელი*



ქართველებისგან დაიცალა ქვეყანა. **საქართველო ქართველების გარეშე** — ჩვენი ქვეყნის მტრების ამ მრავალსაუკუნოვანი ოცნების რეალობად ქცევას **ხელს უწყობს ოპოზიცია და მათი მოღალატეობრივი წარსული.** როგორც პარტია **„ლელოს“** დამფუძნებლებს **ქართველი ხალხის გატყავებაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვით,** ასევე ნაცმოძრაობასაც. **ზოგიერთი ოპოზიციონერი შეიძლება უფრო მეტს თქვლეფს,** ვიდრე ხელისუფლების არც თუ მაღალი რანგის წარმომადგენელი.

„ალია“

**გიორგი ჩაკვეტაძე**
*განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე*



პლაკატებზე — **„სამშობლო არ იყიდება!“** ნაცებმა ევროკავშირის პლაკატები გადააკრეს, ოღონდ **ევროკავშირი და სამშობლოს არგაყიდვა რატომ გამორიცხავს ერთმანეთს,** ვერაფრით ვხვდები.

„იმედინიუსი“

დი საყვარლების ან სულაც გიული ალასანიასა და გიორგი ჩალაძის ცეცხლოვანი ფოტოები გამოსახონ!**

მათ ამის გაკეთებას არც ჭკუა დაუშლის და ვერც კანონი აუკრძალავს!

კი, არსებობს საქართველოს კანონი **„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“,** რომლის მეორე თავის მერვე მუხლში გარკვევით წერია: *„დაუშვებელია დადგენილი წესით ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმებული და საჯარო დაწესებულე-*

## ნაცებს თავისუფლად შეუძლიათ, თავიანთ პარტიულ დროშაზე მარტო გულები კი არა, სააკაშვილის ყოფილი ცოლებისა და მოქმედი საყვარლების ან სულაც გიული ალასანიასა და გიორგი ჩალაძის ცეცხლოვანი ფოტოები გამოსახონ!






**დროშასთან მიმართებაში სრულიად უმოქმედოა, რადგან**

**ნაცს, რომელიც თავის პარტიულ დროშაზე ჯვრების მაგივრად გულებს დახატავს ან სააკაშვილის, გიული ალასანიასა და გიორგი ჩალაძის სიფათებს გამოსახავს, ვერაფრით დაუმტკიცებ, რომ სახელმწიფო სიმბოლო ხელყო!**

მოკლედ, სახელმწიფო სიმბოლოდ აღიარებული ნაცბანდის პარტიული დროშა საქართველოს არამხოლოდ პოლიტიკურ და მორალურ, არამედ სამართლებრივ აბსურდშიც აგდებს, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას კი რატომღაც ცოცხალი თავით არ სურს, ქვეყანა ამ აბსურდიდან გამოიყვანოს!

არადა, **არ შეიძლება, საქართველო სააკაშვილის ჯალათური რეჟიმის მიერ დაყენებული სისხლის მდინარეებიდან ამოყვინთვას სააკაშვილის პარტიული დროშის ფრიალით ცდილობდეს!**

**შეუძლებელია, საქართველო სააკაშვილის მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის უმძიმესი მემკვიდრეობისაგან ნაცმოძრაობის პარტიული დროშით გათავისუფლდეს!**

# ფუჭად კარგვა!

*ბის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს ნიმუშისა და მისი ნებისმიერი პარამეტრის ცვლილება, აგრეთვე დაზიანებული, სახეცვლილი (შესაბამისი ნიმუშისაგან განსხვავებული) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს გამოსახვა, აღმართვა, გამოფენა“.*

არსებობს ასევე საქართველოს მთავრობის დადგენილება **„საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესის დამტკიცების შესახებ“,** რომელშიც ვკითხულობთ: *„დაუშვებელია სახელმწიფო სიმბოლოს (დროშის) მოხატვა, შემკობა ნებისმიერი გამოსახულებით“.*

ესე იგი, ნაცებმა ხუთჯვრიანი დროშა სახეცვლილი ფორმით — ერთი ჯვრისა და ოთხი გულის გამოსახულებით რომ გამოფინეს, ეს კანონით აკრძალული ქმედება გახლავთ, მაგრამ ნაცებს სახელმწიფო ვერც კანონდარღვევას დაუმტკიცებს და ვერც პასუხს მოსთხოვს, რადგან მათ რკინის არგუმენტი გააჩნიათ — იტყვიან, რომ სახეცვლილი ფორმით სახელმწიფო სიმბოლო კი არა, თავიანთი პარტიული დროშა გამოფინეს!

აბა, სცადეთ და კარგად გააზრეთ ვითარების მთელი აბსურდულობა: **სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ საქართველოს კანონი ნაციონალური მოძრაობის პარტიულ დროშაზე არ ვრცელდება, მაგრამ სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ საქართველოს კანონი არც საქართველოს სახელმწიფო დროშაზე ვრცელდება, რადგან იგი ნაციონალური მოძრაობის პარტიული დროშაა!**

მოდით, კიდევ ერთხელ გავშიფროთ: **რადგან საქართველოს სახელმწიფო დროშა ნაციონალური მოძრაობის პარტიული დროშაა, მასთან მიმართებაში ნებადართულია იმ ქმედებების ჩადენა, რომლებსაც სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ საქართველოს კანონი კრძალავს!**

მაშასადამე,

**სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო**

## ყოვლად შეუძლებელია, საქართველოს ევროპულ მომავალსა და პროდასავლურ ღირებულებებს იცავდნენ იქ, სადაც ყველაზე ანტიდასავლური და ანტიდემოკრატიული რეჟიმის თავკაცის — სააკაშვილის ფოტოებს აფრიალებენ!

ეს, უბრალოდ, **დროის** ფუჭად კარგვაა!

ეს მარტო დროის კი არა, **დროშის** ფუჭად კარგვაც არის!

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**ნანა კაკაბაძე**
*უფლებადამცველი*



მოკლედ, **„დიდ პოლიტიკოს“ ბვარამიას** მოუწევს ჩამოყალიბდეს: სტრასბურგის მოსამართლეებიც **არაკომპეტენტურები და კორუმპირებულები** არიან, თუ ქართული სასამართლოს მოსამართლეები აღმოჩნდნენ **კომპეტენტურები, არაკორუმპირებულები და არაანგაჟირებულები.**

„ალია“

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ევროპული საქართველოს“ წევრი*



**ბვარამიასთან** თანამშრომლობას მთავაზობთ? **ეგ კაცი არის ამ ქვეყნის ეროვნული ინტერესების მოღალატე და სამაგალითოდ უნდა გაფარჩაკდეს,** რომ სხვა ორჯერ დაფიქრდეს, სანამ იმას იკადრებს, რაც ამ **უტვინო ქაჯმა** იკადრა.

„რეზონანსი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



თუ „ოცნება“ არის **დღევანდელი დღე და არა ხვალინდელი,** ნაცმოძრაობა არის **გუშინდელი დღე!** ამიტომაა, რომ ნაცმოძრაობის ფონზე „ოცნებას“ უპირატესობა აქვს. **მელია-ბვარამიას** რა მიზანი აქვს და რა უნდათ, ჯერ კიდევ ვერ გამიგია.

„ახალი თაობა“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ამერიკაში უკვე გაჩნდა **„სტარბაქსის“** საფირმო ყავის ჭიქებზე შემდეგი წარწერა: გიწვევთ სამუშაოდ. იცით, რომ **„სტარბაქსი“ გთავაზობთ სქესის შეცვლის ოპერაციებისა და ბევრი სხვა რამის ფინანსურ დაფარვას?**

„იმედინიუსი“



# „ეს ქალი კარგა ხანია, საქართველოს მტრების დაკვეთას ასრულებს!“



## გოგა ხაინდრავა:

# ზურაბიშვილისადმი ჩემი ღია წერილი საზოგადოების წინაშე ერთგვარი მონანიებაა იმის გამო, რომ ამ არარაობის გაპრეზიდენტებას შევუწყვე ხელი!

***„მადამ (ქალბატონო)*** *სალომე! ჩვენ, პროტოქართველებს, გვსურს, რომ თქვენ, ევროქართველმა, გვიპასუხოთ ერთ მარტივ კითხვაზე:* ***ვის ინტერესებს ემსახურებით?*** *საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ თქვენ აპირებთ, გამოიყენოთ პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლება და „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონს ვეტო დაადოთ... იცოდეთ, რომ აუცილებლად მოგიწევთ პასუხის გაცემა, რატომ არის საქართველოს საზოგადოებისთვის აკრძალული იმის ცოდნა, რაც ფრანგული საზოგადოებისთვის და ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობისთვის სასარგებლო და აუცილებელია?! რატომ უნდა იყოს ქართველი ხალხი მოკლებული უფლებას, იცოდეს, ვინ რა მიზნებით და რა რაოდენობით ხარჯავს ფულს საქართველოში და რამდენად ემსახურება ეს თანხები ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს?! იქნებ, იოტისოდენა თავმოყვარეობა შეინარჩუნოთ და არგუმენტებით განმარტოთ, რატომ უწოდებთ „კანონს რუსულს“?* ***— ეს არის ფრაგმენტი ღია წერილიდან, რომელიც გოგა ხაინდრავამ საქართველოს პრეზიდენტად წოდებულ სალომე ზურაბიშვილს „მოლოტოვის კოქტეილების“ მსროლელი ლაზარე გრიგორიადისის შეწყალებამდე რამდენიმე დღით ადრე მისწერა. კინორეჟისორი და ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, რომელიც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ზურაბიშვილს აქტიურად უჭერდა მხარს და გამარჯვების შემდეგ ყვავილების დიდი თაიგულიც მიართვა, ჩვენთან საუბარში აცხადებს:***

— **სალომე ზურაბიშვილის** უბრალო მხარდამჭერი კი არა, მისი საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი წინამძღოლი ვიყავი და თუ ვინმემ გახადა იგი საქართველოს პრეზიდენტად, ერთ-ერთი მე ვარ, რის გამოც დღეს საზოგადოების წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ. **ამიტომაც მივწერე ღია წერილი ამ სამარცხვინო ქალს, რომელიც ცდილობს, საქართველოს მონობის ყულფში გააყოფინოს თავი და ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების მომავალი მოწამლოს.** შეიძლება ითქვას, სალომე ზურაბიშვილისადმი ჩემი ღია წერილი საზოგადოების წინაშე ერთგვარი მონანიებაა იმის გამო, რომ ამ არარაობის გაპრეზიდენტებას შევუწყვე ხელი.

რაც შეეხება ზურაბიშვილის მიერ **მამისმკვლელი და ცეცხლისმფრქვეველი ლაზარეს** შეწყალებას, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან **ეს ქალი კარგა ხანია, საქართველოს მტრების დაკვეთას ასრულებს.** სააკაშვილსაც შეიწყალებდა, მაგრამ იცის, რომ აზრი არა აქვს, რადგან მას არაერთი მძიმე ბრალი აქვს წაყენებული და მეორე დღესვე ციხეში შეაბრუნებენ.

**— „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის წინააღმდეგ ლამის მთელი დასავლური სამყარო აღდგა და პირდაპირ აცხადებენ, რომ მისი მიღება საქართველოს ევროინტეგრაციის შანსს მოუსპობს!**

— საქართველოში უცხოური გავლენის გამჭვირვალობის წინააღმდეგ მთელი დასავლური სამყარო კი არა, ამერიკისა და ევროპის ჩინოვნიკური ნაწილი ილაშქრებს, რომელიც მთლიანად დალპა და გაიხრწნა. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ **სამარცხვინო ამერიკული და ევროპული ბიუროკრატიის სახით საქართველოს სუვერენიტეტს საბჭოთა შეერთებული შტატები და საბჭოთა ევროკავშირი ებრძვიან!**

საუკუნეების მანძილზე მსოფლიოში ბევრი გაერთიანება, კავშირი თუ კოალიცია არსებობდა, რომლებიც დაიშალნენ და უკვალოდ გაქრნენ, საქართველო კი დარჩა, სახელმწიფოებრიობა შეინარჩუნა, გაძლიერდა და ახლა რეალურ სუვერენიტეტსაც იბრუნებს. დარწმუნებული ვარ, ევროკავშირიც დაიშლება, რადგან შეუძლებელია, მომავალი ჰქონდეს პოლიტიკურად და მორალურად გახრწნილ, კორუფციასა და მექრთამეობაში ჩაძირულ ევრობიუროკრატიას, რომელიც **ლომჯარიას** დარეკილზე ერთ რიგად მწკრივდება და სამარცხვინო ტყუილების ფრქვევას იწყებს.

**— ნუთუ ევროკავშირისა და აშშ-ის ელჩებიც ცრუობენ, როცა ამბობენ, რომ კანონი, რომლის მიღებასაც საქართველოს ხელისუფლება აპირებს, არც ევროპულია, არც — ამერიკულის მსგავსი და დასავლურ ღირებულებებს ეწინააღმდეგება?**

— ევროკავშირის ელჩი სამარცხვინო კაცია და ამერიკის ელჩი სამარცხვინო ქალია, რადგან ორივე გამიზნულად ცრუობს. **რეალურად, გამჭვირვალობის კანონი დასავლურ ღირებულებებს კი არა, ჰერჩინსკისა და დანიბანის მსგავს გახრწნილ ბიუროკრატთა ღირებულებებს ეწინააღმდეგება, რომლებიც სიცრუესა და ფარისევლობაზეა აგებული.** რაც შეეხება ნამდვილ ევროპულ ღირებულებებს, ისინი ეფუძნება ქრისტიანობას, რომელიც ტყუილს ვერ იტანს და ქადაგებს — „არა იცრუო“.

კიდევ ერთხელ ვამბობ — გახრწნილ ევროპულ და ამერიკულ ბიუროკრატიას მომავალი არა აქვს, საქართველოს მომავალს კი არაფერი ემუქრება, რადგან ჩვენი სამშობლო ძალიან დიდი ხანია, ისეთი სუვერენული, დამოუკიდებელი და უნარიანი არ ყოფილა, როგორიც დღეს არის. **ქართველ საზოგადოებას უკვე შესწევს ძალა, საკუთარი ეროვნული ინტერესები დაიცვას და არავის მონა და მსახური არ იყოს, ვიგინდარა მამუკა ხაზარაძისაგან განსხვავებით,**

## კვირგვინოსნები

**თამარ ჩიბურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



რადიკალი ენჯეოები გვეუბნებიან — **რამდენ თანხასაც გვინდა, იმდენს შემოვიტანთ ქვეყანაში, რაშიც გვინდა იმაში დავხარჯავთ,** იდეოლოგიით დაგიხოცავთ შვილებს, წაგიბილწავთ ეკლესიებს და **ამაზე არ გაბედოთ კითხვების დასმა.**

„იმედინიუსი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**გიგაურებს, მშვენიერაძეებს, ცალ ფეხზე მოხტუნავეთა სექტის წარმომადგენლებს** თვეში ანაზღაურება აქვთ 15-17 ათასი ლარი, ანუ პარლამენტარზე 4-5-ჯერ მეტი. **ჩვენ დავიცავთ და მივიღებთ გამჭვირვალობის კანონს.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ლევან ლორთქიფანიძე**
*პოლიტოლოგი*



„ოცნება“, სავარაუდოდ, **კანონს გაიტანს** და არა მგონია, ამას **მასობრივი გამოსვლები** მოჰყვეს.

„კვირის პალიტრა“

**გურამ მაჭარაშვილი**
*პარლამენტარი*



როგორც ბავშვს არ შეიძლება ასანთი ანდო ან უთო დატოვო ჩართული, ასევე **არ შეიძლება ზურაბიშვილის გაშვება უცხოეთში** — სად აფეთქდება და ქვეყანას სად დააზიანებს, არავინ იცის.

„ინტერპრესნიუსი“

**რომლისთვისაც სამშობლო არ არსებობს.**

ხაზარაძე, თავის დროზე, როდიონოვის მხარეს იდგა და საქართველოს დამოუკიდებლობის ჩახშობას ცდილობდა, რაშიც კომკავშირულ გასამრჯელოს იღებდა, მერე სააკაშვილის მხარეს იყო და მისგან ბრწყინვალების ორდენი მიიღო, დღეს კი ისევ საქართველოს მტრების მხარეს დგას და მათგან ელოდება სარგებელს.

**— სხვათაშორის, გამჭვირვალობის კანონის მოწინააღმდეგეები სწორედ იმაზე აპელირებენ, რომ ეს კანონი საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებსა და მეგობრებს მტრულ ძალებად წარმოაჩენს...**

— ის ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლასა და ქართველი პოლიციელების ცოცხლად დაწვას აფინანსებენ, საქართველოს მეგობრები კი არა, მტრები არიან!

საქართველოს პარტნიორები კი არა, მტრები არიან ის ძალები, რომლებიც ცდილობენ, ქვეყანა არიონ და ხელისუფლებაში თავიანთი მონები მოიყვანონ!

შეუძლებელია, საქართველოსა და ქართველი ხალხის მეგობარი იყოს ის, ვინც, მაგალითად, წინა საპარლამენტო არჩევნებში არასამთავრობო ორგანიზაცია „ისფედის“ მიერ ხმების პარალელური დათვლის შედეგების გაყალბება დააფინანსა, რათა რევოლუცია მომხდარიყო და ხელისუფლება დაემხოთ!

**გამჭვირვალობის კანონი სწორედ იმისკენ არის მიმართული, რომ ვიცოდეთ, ვინ არიან ისინი, ვინც ფულით ცდილობს საქართველოს აყირავებას.** ვიცით, რომ რუსული იმპერიის იარაღი ტანკი და ავტომატია, ე.წ. ლიბერალური დემოკრატიის იმპერიალისტები კი ფულითა და ტყუილით არიან შეიარაღებული და საკითხავია — რომელი უფრო სახიფათოა ჩვენთვის?

**— როგორ ფიქრობთ, გახდება თუ არა იძულებული საქართველოს ხელისუფლება, ამჯერადაც უკან დაიხიოს და გამჭვირვალობის კანონის მიღებაზე კვლავ უარი თქვას?**

**— დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება უკან აღარ დაიხევს, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებს გაითვალისწინებს და უცხოური გამჭვირვალობის შესახებ კანონს მიიღებს.**




ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩები საქართველოში – პაველ ჰერჩინსკი და რობინ დანიგანი

# „ევრო-კავშირის ელჩი სამარცხვინო კატია და ამერიკის ელჩი სამარცხვინო ქალია, რადგან ორივე გამიზნულად ცრუობს!“

ისიც ვიცით, რომ საზოგადოების რაღაც ნაწილი ფსევდოლიბერალური პროპაგანდით არის მოწამლული და „მეხუთე კოლონა“ კვლავ შეეცდება, მის ბრმა იარაღად გამოყენებას, მაგრამ ვერაფერსაც ვერ იზამენ.

ევროკავშირის დროშის ვარსკვლავების წრეში ჩახატული მამისმჭრელი და ცეცხლისმფრქვეველი ლაზარე! — ეს არის და ეს დარჩება იმ ბნელი ძალების სიმბოლოდ, რომლებიც საქართველოს არევას ცდილობენ, თუმცა, კრახისათვის არიან განწირული. **საბჭოთა კავშირი დამთავრდა და ახლა ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირისა თუ სხვა რამ გაერთიანების სახით, საქართველოში საბჭოთა კავშირი ველარ დაბრუნდება!**

*ესაუბრა*

***გიორგი ძაძამია***



***სლოგანი — არა რუსულ კანონს, თითიდან რომ არის გამოწოვილი, ამის შესახებ სრული დამაჯერებლობით გვესაუბრება სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი ლევან მამალაძე და იმედს იტოვებს, რომ ქართველი ხალხი ამ პრიმიტიულ ხაფანგში მეორედ აღარ გაებმება:***



ლევან მამალაძე:

# ვეკითხები მათ, ვინც ამ კანონს რუსულს ეძახის – როგორ შეიძლება, გამჭვირვალობა იყოს არაევროპული?!

— კანონი გამჭვირვალობის შესახებ არათუ ახლა, გასული წლის მარტშიც უნდა მიღებულიყო! ეს არის ქვეყნის უსაფრთხოებისაკენ მიმართული ღონისძიება, რათა საზოგადოებამ იცოდეს, რომელი ქვეყანა რა მიმართულებას აფინანსებს და არის თუ არა ეს საქმიანობა ჩვენი ქვეყნისათვის საფრთხის შემცველი. კანონპროექტის დამტკიცებას ხელისუფლების მხრიდან სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოები სჭირდებოდა და ამ კუთხით ოპონენტებმა იმარჯვეს. მათ დააჯერეს საზოგადოება, რომ, თუ სტუდენტს მოუნდება ევროპასა და შტატებში სასწავლებლად წასვლა, ვეღარ წავა. ინვალიდს ან ვინც სოფლის მეურნეობაში შეღავათებით სარგებლობს, დაფინანსება შეუწყდება და ა.შ. **ხალხს წესიერად არავინ აუხსნა, რომ ამ კანონის მიღება არათუ საზიანოა, არამედ აუცილებელია ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის! სადამდეც მიგვიყვანა ხელისუფლების ამ შეცდომამ, კი ვხედავთ.**

აქვე გეტყვით, რომ კანონპროექტი, რომელიც ხელმეორედ შემოიტანეს, არის ძალიან სუსტი. მხოლოდ დეკლარაციის შევსებას ითვალისწინებს — რა თანხები შემოდის და სად იხარჯება. სხვა მექანიზმი იქ არ დევს და ამის მიღებაც არ სურთ. არადა, **როგორ შეიძლება, შეერთებული შტატების ჩარევა არჩევნებზე ზებავლენის მოსახდენად დადებითად შეფასდეს და რუსეთის უარყოფითად? ჩვენთვის ორივე უარყოფითია.**

აქვე ვეკითხები მათ, ვინც ამ კანონს რუსულს ეძახის — **როგორ შეიძლება გამჭვირვალობა იყოს არაევროპული?!** და საერთოდ, ორჯერ მოხდა ჩვენთან გადატრიალება, როდესაც ზვიად გამსახურდია განდევნეს და შევარდნაძის ხელისუფლება ჩამოშალეს. **რა გგონიათ, მართლა ქართველმა ხალხმა მოახდინა ეს? ორივე შემთხვევაში იყო უცხო ქვეყნების ჩარევა, მათი ფინანსები. ცხვირწინ გვაქვს ეს მაგალითები. ხომ არ უნდა გავისულელოთ თავი?!**

**— და მაინც, შეგახსენებთ ამერიკის ელჩის სიტყვებს — როცა გაქვთ კანონპროექტი, რომლის გამოც დასავლელმა პარტნიორებმა შეშფოთება გამოხატეს, თქვენი ოკუპანტი კი მიესალმა, საკუთარ თავს უნდა ჰკითხოთ, არის თუ არა ეს კარგი ქვეყნისთვის? — რას უპასუხებდით მას?**

— ჰკითხეთ იმ პატივსაცემ ადამიანებს, რა იციან ამ კანონის შესახებ? რომელიმეს თუ აქვს წაკითხული? იმეორებენ იმას, რაც მედიის დაკვეთაა. ევროპარლამენტის ყველაზე დიდი ფრაქციის წარმომადგენელმა რომ დააყენა საკითხი — უცხოეთიდან მიღებული დაფინანსება გამჭვირვალე უნდა გახდეს, ესეც ევროპის საწინააღმდეგო იყო? ეს არის ჩვეულებრივი პიარტექნოლოგია. უცხოეთიდან შემოსული თანხები მათაც ხმარდება. ამიტომაც გამოდიან დღეს სიტყვით. **ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც თავის დროზე ჩვენი მოქალაქეების გამაუბედურებელ მიხეილ სააკაშვილს დემოკრატიის შუქურად ასაღებდნენ.** იგივე პიარტექნოლოგია მუშაობდა მაშინაც — მოძალადე უნდა ექოთ. ახლა ტყუილი უნდა გაავრცელონ ავტორიტეტული პირების მეშვეობით, რომ უბრალო მოქალაქეებს აფიქრებინონ ის, რაც მათ სჭირდებათ და აწყობთ!

ვფიქრობ, ხელისუფლებამ შემთხვევით არ შემოიტანა მეორედ კანონპროექტი.

**არის ინფორმაცია, რომ კიევის ცენტრში, სადაც რევოლუციურ პროექტებზე მუშაობენ, საარჩევნოდ საქართველოში დაგეგმილი აქვთ ვითარების გამწვავება. ეს ნაბიჯი სწორედ ამ სიტუაციის პრევენციისთვის გადაიდგა!**

*ესაუბრა*

***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**იაგო ხვიჩია**

*„გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი*



ვერ ვხვდები, **ქალ დეპუტატებს მამაკაცებთან კონკურენციაში რატომ სჭირდებათ პრივილეგიები.** „ქართულ ოცნებასთან“ ვივაჭრეთ და მათ კვოტირების გაუქმებაში მხარდაჭერა **ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატის მხარდაჭერაში გაგვიცვალეს.**

„კვირის პალიტრა“

**ანა ნაცვლიშვილი**

*„ლელოს“ წევრი, პარლამენტარი*



**„გირჩი“** უკვე გაფორმდა **„ქართული ოცნების“** ოფიციალურ **დანამატად.**

„კვირის პალიტრა“

**შალვა ნათელაშვილი**

*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*



მინდა, ვკითხო ქოცდეპუტატთა ყველასათვის გასაგებ ნაწილს — **ხალხო, არ გრცხვენიათ? სად გაიზარდეთ?** რა მაგალითს აძლევთ თქვენს შვილებსა და მომავალ თაობას, თუნდაც ქალბატონებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. **აღარ მინდა ამ ტელევიზორის ჩართვაც თქვენი გადამკიდე.**

„ალია“

**პაატა ზაქარეიშვილი**

*კონფლიქტოლოგი*



ოპოზიციის პრობლემა არის ის, რომ **მუდმივად „ქართული ოცნების“ მოედანზე ჭიდაობს,** არადა, თავიანთ ხალიჩაზე უნდა გადაიყვანონ.

„რეზონანსი“



# ქრისტინა ტალახაძე საქართველოს ტალახს ესვრის!

***ნათქვამია, გვარ-სახელს ადამიანი ქმნისო! ასე, მაგალითად, სახელოვანმა ლაშა ტალახაძემ — ჩვენმა საამაყო ლომკაცმა, სამშობლოს სულ ოქროს მედლები და დაფნის გვირგვინები უძღვნა, როცა ორჯერ ოლიმპიური ჩემპიონი, შვიდჯერ მსოფლიოს ჩემპიონი და შვიდჯერ ევროპის ჩემპიონი გახდა. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ მისი მსოფლიო რეკორდები ატაცსა და აკვრაში მზისქვეშეთში კაცთა შორის დღემდე ვერავინ დაძლია.***

წინამდებარე ფოტოზე გამოსახული ქალიც **ტალახაძეა** — სახელად **ქრისტინა,** რომელიც გაქანებული **ნაცსექტანტია.** ქრისტინა ტალახაძე ლაშა ტალახაძისგან განსხვავებით, სამშობლოს ოქროს მედლებსა და დაფნის გვირგვინებს კი არა, ტალახს ესვრის. აი, მაგალითად, წინა კვირას **ქრისტინა** მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნის" წინ, ავტობუსის გაჩერებაზე, „აგენტების კანონის" შესახებ საინფორმაციო პლაკატებს ხევდა...

იმავეს სჩადიოდა საგარეჯოს საკრებულოს დეპუტატი **თაკო ყორღანაშვილიც,** რომლის წინაპარმაც **ძალთაპირმა კახაბერ ყორღანაშვილმა** 1659 წელს ფარცხისის ბრძოლაში საქართველოს გული გახია, როცა ყიზილბაშებს შემოუძღვა და მერე მტერს ცხენიდან ჩამოვარდნილ **სვიმონ მეფეზე** პირდაპირ მიუთითა — **ეგ არის სვიმონ მეფე, შეიპყარითო!** საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ ქართლის სარდალმა **საჩინო ბარათაშვილმა** მანგლისის გზაზე **კახაბერ ყორღანაშვილი** შეიპყრო, ქვეყნისა და მეფის მოღალატეს თავისივე ცხენის მოსართავებით ხელ-ფეხი შეუკრა, შემდეგ გელიყარის კლდესთან მიათრია და ეს მართლაცდა ცოცხალი მძორი უფსკრულში გადაუძახა.

თბილისის ქუჩებში საინფორმაციო პლაკატებს ასევე გაშმაგებით ხევდა ერთი სახეშეშლილი და წერა-კითხვის მცირედ მცოდნე „ჟურნალისტი", რომლის გვარ-სახელსაც ამჯერად არ დავასახელებთ, თუმცა, ვიტყვით, რომ როგორ უკუღმართადაც საქართველოში უკანასკნელი 35 წლის განმავლობაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს აფასებს, სწორედ ისე მისდის საქმეც!

მოკლედ, ფოტოზე გამოსახულმა **ქრისტინა ტალახაძემ** წინა კვირას თავი საქვეყნოდ მოიჭრა და უკადრისი საქციელი ჩაიდინა, როცა პლაკატები ჩამოხია. **პლაკატებზე განმარტებული იყო, თუ რატომ უნდა მიიღოს საქართველომ კანონი „აგენტების შესახებ" და რა საფრთხეს შეიცავს ქვეყნისთვის უზარმაზარი უცხოური ფულის უკონტროლოდ შემოდინება.**

თავიდან ყვითელ მოსასხამში ჩაცმული **ქრისტინა** ავტობუსის გაჩერებაზე წყნარად იდგა და არავითარ ყურადღებას არ იპყრობდა, მაგრამ მოულოდნელად ამძუვნებული კატასავით ზეწამოიჭრა და მოსაცდელის კედელზე გაკრულ პლაკატებს თავისი კლანჭებით დაებღღვნა.

**მგზავრები ქალბატონ ქრისტინას დაბნეული მიშტერებოდნენ, რადგან გიჟი ეგონათ, მაგრამ ყვითელ მოსასხამში გახვეულმა ქალმა პოლიტიკური განცხადებების გაკეთება რომ დაიწყო და თან ისიც წამოიკნავლა — „არა რუსულ კანონსო!" — ხალხში ჩოჩქოლი ატყდა და ქრისტინა ტალახაძის მისამართით აგრესიამ იმატა.**

— ვინა ხარ და რა უფლებით ხევ მაგ პლაკატებს? რა გინდა, რა უბედურებას აკეთებ? — შეუტია ხალხმა ნაცსექტანტს!

**— ვინ ვარ და ქრისტინა ტალახაძე! დიახ, ეს პლაკატები უნდა დავხიო, რუსეთი რომ თავზე არ დაგვაჯდეს!**

— რუსეთი კი არა, ალბათ, ერთი ოცდაათი კაცი მაინც გაზის თავზე, შე გათახსირებულო! — ჩაილაპარაკა ერთმა ყავარჯნიანმა ქალბატონმა, რომელიც, ეტყობოდა, მსგავსი დიაგნოზების დასმაში გაწაფული იყო.

— **გეტყობა შენ, ვის და რაზე აზიხარ!** — სიტყვა შეაშველა ყავარჯნიანს ერთმა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც ქალბატონი ქრისტინას მიმართ აშკარად ბიწიერი სურვილები მოსძალებოდა და მზად იყო, პლაკატების ჩამომხევი ისე ჩაებურჯგნა, როგორც ლევანია ჯანგავაძე უპირებდა ჩაბურჯგნას პასიკოს!

**— პატრონი არ ჰყავს ქვეყანას, თორემ ჩამოსაკიდებლები ხართ, ჩამოსაკიდებლები!** — იმუქრებოდა ერთი ხანში შესული კაცი, რომელსაც მზისგან დამწვარ და დაძარღვულ მარჯვენაზე კრემლის ვარსკვლავი აშკარად საბჭოთა არმიაში ყოფნის დროს ჰქონდა დახატული...

მოკლედ, **სამარცხვინო ქრისტინა ტალახაძემ** ხალხის მძაფრი რეაქცია რომ დაინახა, პლაკატების ჩამოხევას თავი გაანება და გაიქცა.

დარჩა ნერვებმოშლილი, მაგრამ მაინც გამარჯვებული ხალხი, რომელიც ავტობუსს ელოდებოდა.

**ავტობუსს აღარ დაველოდე, კარგი ამინდი იყო და კოლმეურნეობის მოედნისკენ ფეხით ჩავუყევი. მოედანზე რომ ჩავედი, იქაც იგივე საგიჟეთი დამხვდა — ვიღაც ორ ქალს, რომლებსაც გაჩერებაზე პლაკატები ჩამოეხიათ, მგზავრები აგინებდნენ!**

ამჯერად ვიკადრე მარშრუტკაში ასვლა, რადგან მაგვიანდებოდა და ჩემთვის გავიფიქრე — **თუ ვინმემ ეს გორდიას კვანძი ერთი დაკვრით არ გაჭრა, ჩვენ კიდევ დიდხანს მოგვიწევს ამ საგიჟეთში ცხოვრება-მეთქი!**

დიახ, ასე გავიფიქრე, ახლაც ასე ვფიქრობ და, მგონი, არ ვცდები...

**ეს საშინელი გორდიას კვანძი მართლაც უნდა გაიჭრას!**

***დიტო ჩუბინიძე***

## თუ ვინმემ ეს გორდიას კვანძი ერთი დაკვრით არ გაჭრა, ჩვენ კიდევ დიდხანს მოგვიწევს ამ საგიჟეთში ცხოვრება!



***ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე აცხადებს, რომ ამ ბოლო დროს თბილისში, ბოჭორმის ქუჩაზე, მომხდარი აფეთქებით სპეცსამსახურები უნდა დაინტერესდნენ და გაირკვეს — ზაზა გოგავას ერჩოდნენ, იური ლომიძეს თუ ეს ყველაფერი კოდორის სპეცოპერაციის გამო შურისძიებას ან 2007 წლის 7 ნოემბერს ფსიქოტრონული და აკუსტიკური იარაღის გამოყენებას უკავშირდება:***



# მაყვალა ბერიანიძე: „სტრატეგიული პარტნიორი" ამერიკა სტრატეგიულ მტრად გვექცა!

— ჩვენს უკანასკნელ ინტერვიუს, სადაც გენშტაბის ყოფილი უფროსი, დიდი ნაცი **ზაზა გოგავა** ვახსენე, გარკვეული მინიშნებები და ზეწოლა მოჰყვა. თურმე, როგორ გავბედე და ზაზა გოგავაზე სიტყვა როგორ დავძარი, რომელმაც 2007 წლის 7 ნოემბერს მშვიდობიანი მომიტინგეების დასარბევად ჯარი გამოიყვანა!

**— მაინც საიდან წამოვიდა ეს მინიშნება და ზეწოლა?**

— ცხადია, ეს ყველაფერი მომდინარეობს იქიდან, სადაც **ზაზა გოგავა** ერთ-ერთ გურუდ უზით და ჭკუას ეკითხებიან. ბუნებრივია, ნაცმოძრაობას ვგულისხმობ! **წინა ინტერვიუში ვთქვი — პროკურატურავ, ნუ გძინავსმეთქი! 7 ნოემბრის საქმეზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს გამოძიება და პროკურატურა ვალდებულია, დაჰკითხოს ზაზა გოგავა.**

2007 წლის 7 ნოემბრის პროცესი ცირკად გადააქციეს და ყველაფერზე ლაპარაკობენ, რათა მთავარი დამალონ! პასუხი უნდა გაეცეს მთავარ შეკითხვას — **ვინ უბრძანა ზაზა გოგავას ჯარის გამოყვანა და მშვიდობიან მოსახლეობაზე ფსიქოტრონული და აკუსტიკური იარაღის გამოცდა?** კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **ეს უბინძურესი იარაღი ამერიკელებმა ჯერ ავღანეთში გამოსცადეს მშვიდობიან მოსახლეობაზე, ხოლო შემდეგ — ქართველებზე.** აქედან გამომდინარე, „ვივამედში" წამოკოტრიალებულმა მიხეილ სააკაშვილმა ზაზა გოგავასთან ერთად უპასუხოს კითხვას — **ვინ დაავალათ ამ იარაღის გამოცდა საქართველოში და ვინ გამოიყვანა არმია ხალხის წინააღმდეგ?**

აი, ეს შეკითხვები რომ გადაეფარათ, ადგნენ და ნაცებმა ააგორეს ახალი ბინძური პიარ-აქცია — თითქოს რუსებმა საქართველოში აკუსტიკური იარაღი გამოიყენეს და ამერიკელ დიპლომატებს თავები აატკივეს! ამ ყველაფრის საპასუხოდ ამერიკელმა სპეცსამსახურებმა ცხადია, გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ეს იყო ტყუილი. მაგრამ სანამ ამერიკელები ამას იტყოდნენ, მანამდე ნაცებმა და მათმა პარტიულმა ტელევიზიებმა ჩვენი სპეცსამსახურები აჯანჯღარეს და ლანძღეს. ცხადია, ეს ემსახურებოდა ერთადერთ რამეს — რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვას და კრემლთან ახალ კონფრონტაციას. განსაკუთრებით აქტიურობდა „ქართული ოცნების" ყოფილი დეპუტატი **თამარ კორძაია,** რომელმაც ჩვენს სპეცსამსახურებს მიმართა — **ბოლოს და ბოლოს, გვითხარით, რაში ეთანხმებით ამერიკელებს და რაში — არაო!** ვამბობდი და ვამბობ, — ეს ქალი არის პროვოკატორი, მოწადინებულია, საქართველო კიდევ




## „მიმაჩნია, რომ ბოჭორმის ქუჩაზე, კერძო სასროლეთზე, მომხდარი აფეთქება, რასაც სამი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ზაზა გოგავასთან და ჩვენს ბოლო ინტერვიუსთან კავშირშია!"

ერთ კონფლიქტში გახვიოს და მიხედეთ ამ ქალს! რაც შეეხება **ზაზა გოგავას,** მასზე საუბარი ჯერ არ დამისრულებია და თუ სიმართლე გაინტერესებთ, გოგავას შესახებ ახლა ვიწყებ! საერთოდ, შეთქმულების თეორიისა არ მჯერა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ბოჭორმის ქუჩაზე, კერძო სასროლეთზე, მომხდარი აფეთქება, რასაც სამი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, **ზაზა გოგავასთან** და ჩვენს ბოლო ინტერვიუსთან კავშირშია!

**— რას გულისხმობთ?**

— როგორც სააკაშვილის გენერალმა **გოგი თათუხაშვილმა** განაცხადა, ბოჭორმის ქუჩაზე მომხდარ აფეთქებას შეეწირა „კოდორის სპეცოპერაციის გმირი“, ვინმე **იური ლომიძე.**

**— რას ნიშნავს „კოდორის სპეცოპერაციის გმირი“, სააკაშვილმა და ოქრუაშვილმა კოდორის ხეობის სოფლები რომ დაბომბეს, ლომიძე იმ ამბებში მონაწილეობდა?**

— არ ვიცი, ამ ფრაზამ მეც ძალიან მომჭრა ყური და ეს ამბავი გამოსაძიებელია, მაგრამ დააკვირდით, რას ლაპარაკობს **თათუხაშვილი,** რომელიც, თუ არ ვცდები, საზღვარგარეთ ცხოვრობს — **ეს სასროლეთი ამ ერთი წლის წინათ გენერალ ზაზა გოგავას ეკუთვნოდა. კარი გაიღო თუ არა, ნაღმი მაშინვე აფეთქდა, მომხდარი ტერაქტი იყოო!**

თუ ასეა, მაშინ ამ საქმეში უშიშროებაც უნდა ჩაერთოს და გაირკვეს, რატომ მოხდა **ზაზა გოგავას** კუთვნილ სასროლეთზე ტერაქტი და ხომ არ უკავშირდება ეს ყველაფერი იმას, რომ ჩვენს ინტერვიუში დასმული შეკითხვების შემდეგ გენერალ **ზაზა გოგავას** ხელი სტაცონ და ათქმევინონ, ვინ უბრძანა მას და სააკაშვილს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ფსიქოტრონული და აკუსტიკური იარაღის გამოყენება, რომელიც მანამდე ამერიკელებმა ავღანეთში გამოიყენეს? ნებისმიერ შემთხვევაში თბილისში, ბოჭორმის ქუჩაზე, მომხდარი აფეთქებით სპეცსამსახურები უნდა დაინტერესდნენ და გაირკვეს — **ზაზა გოგავას ერჩოდნენ, იური ლომიძეს თუ ეს ყველაფერი კოდორის სპეცოპერაციის გამო შურისძიებას ან 2007 წლის 7 ნოემბერს ფსიქოტრონული და აკუსტიკური იარაღის გამოყენებას უკავშირდება?** ეს უნდა დადგინდეს, თორემ ეგრე შესაძლოა, გააღო პარლამენტში კარი და ვიღაც აფეთქდეს, გამოაღო სამზარეულოს კარი და რაღაც უბედურება მოხდეს.

**— გაერთიანებულმა სანაცეთმა და მთელმა ლგბტ და ენჯეოაგენტურამ 9 აპრილს ე.წ. თავისუფლების მარში მოაწყვეს და ე.წ. რუსული კანონი გააპროტესტეს. რას იტყვით?**

— როგორც ყველა 2012-იანელი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ კოჰაბიტაციის გამო გვერდზე გაწია, გულნატკენი ვარ, მაგრამ ამ ხელისუფლების მტერი არ გახლავართ! ღმერთმა დაგვიფაროს, საქართველოში განმეორდეს ის, რაც 2003-2012 წლებში ტრიალებდა. უბედურება პირადად ჩემს ოჯახს შეეხო. არ ვარ შურისმაძიებელი, მაგრამ ამ უსახურმა და არაფრის მაქნისმა კადრებმა ხელისუფლება გადაიყვანეს თავის მართლების რეჟიმში. ხელისუფლებისაც ვერაფერი გავიგე —

**თქვე დალოცვილებო, ცილის-მწამებლებთან და სამშობლოს მოღალატეებთან რომ გაქვთ საქმე, ვეღარ უნდა**



## „ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით – თუ შეერთებულ შტატებს დასჭირდა, საქართველოში სამოქალაქო ომის პროვოცირებაზეც არ დაიხევს უკან!“

**მიხვდეთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსში ცილისწამებისა და სამშობლოს ღალატის მუხლები უნდა აღადგინოთ?**

თუ ეს მუხლები ნაცებმა ამოიღეს, თქვენ თორმეტი წელია, რას აკეთებთ? რაც უნდათ, იმას რომ ლაპარაკობენ, ადამიანებს ათასგვარ სისაძაგლეს რომ აბრალებენ და სამშობლოს ყოველ ნაბიჯზე ღალატობენ, ეს კანონმა არ უნდა დაარეგულიროს?

ბიძინა ივანიშვილი სულ ახალი მოსული იყო ხელისუფლებაში, როცა 2013 წლის მაისში ქართულ პრესაში გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ საზღვარგარეთ სტუდენტების „სასწავლებლად გაგზავნას“ უშუალოდ ამერიკული ცერეუ კურირებდა. კერძოდ, საგანგებოდ არჩევდნენ და დღესაც არჩევენ ნიჭიერ, ლიბერალური იდეებით გატაცებულ ახალგაზრდებს. შერჩევის დროს აუცილებელი პირობა იყო ახალგაზრდების ათეისტობა, საკუთარი ქვეყნისა და მშობელი ერის ტრადიციებისადმი უპატივცემულო და აგდებული დამოკიდებულება.

**უცხოეთში გაგზავნილ ახალგაზრდებზე მიმდინარეობს ტოტალური თვალთვალი ამერიკული სპეცსამსახურების მიერ. სწორედ ასე მომზადებული ახალგაზრდები ჩანერგეს უნივერსიტეტებში, საპატრიარქოში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, სპეცსამსახურებში, სასამართლოში, პროკურატურაში, ხოლო ენჯეო სექტორი მთლიანად თავიანთ აგენტურას დაუქვემდებარეს!**

**— ამ ახალგაზრდებს თავს ვინ უყრიდა და დღეს ვინ არჩევს?**



**„აგენტების კანონის“ ხელახლა ინიცირებით, წინასაარჩევნოდ საქართველოში ამერიკიდან დიდძალი შავი ფულის შემოტანა დროებით დაიბლოკა. ამიტომაა, რომ აგენტები და მათი პატრონები გიჟებს ჰგვანან!“**

— ახლა კურატორები ბევრად მეტი არიან, მაგრამ მაშინ, საწყის ეტაპზე ამ მხრივ გამოკვეთილი იყო ოთხი პიროვნება — **გიგა ბოკერია, ლევან რამიშვილი, დავით პაიჭაძე და ზურაბ ჭიაბერაშვილი.** სწორედ მაშინ, 2013 წლის მაისში, ქართულ პრესაში პირველად დაისვა ასეთი შეკითხვა — **„სად არის გარანტია, რომ დღეს „სტრატეგიული პარტნიორი“ ამერიკის შეერთებული შტატები ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ სტრატეგიულ მტრად არ გვექცევა, მითუფრო მსოფლიო გეოპოლიტიკური ინტერესების ელვისებური ცვლილებების ფონზე?“**

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს დრო მოვიდა?**

— დიახ, **მიმაჩნია, რომ ნელ-ნელა „სტრატეგიული პარტნიორი“ ამერიკა სტრატეგიულ მტრად გვექცა!** ჩემი ინფორმაციით, შეერთებული შტატების პოზიციები საქართველოში ემყარება დაახლოებით იმ 10 ათას აგენტს, რომელიც საქართველოში გადაიბირეს და მოამზადეს. ეს არის ლიბერალური იდეებისთვის თავგადაკლული ხალხი, რომლის მწყემსვაც დავალებული აქვთ **გიგა ბოკერიას, ლევან რამიშვილს, ბათუ ქუთელიას, პეტრე ცისკარიშვილს, გიორგი ვაშაძეს, გიორგი ბარამიძეს, აკაკი მინაშვილს, გიორგი კანდელაკს, თეა თუთბერიძეს, გიორგი მელაძეს, თინათინ ბოკუჩავას, ეკა გიგაურს, ნინო ლომჯარიას, ნინო კალანდაძეს, სერგი კაპანაძეს, ირაკლი ქავთარაძეს, შოთა უტიაშვილს, კახა ლომაიას, ხატია დეკანოიძეს, თამარ ჩერგოლეიშვილს, თამარ კინწურაშვილს, დავით სიხარულიძეს, თემურ იაკობაშვილს, ზურაბ ჭიაბერაშვილს, გიგი თევზაძეს, სერგო რატიანს, ზურაბ-გირჩი ჯაფარიძეს, მარიამ საჯაიას და ნიკა გვარამიას.**

ამ ბოლო დროს ამ სიას შეემატა **მამუკა ხაზარაძეც.**

**შეერთებული შტატებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ნაცმოძრაობა მოვა თუ არა ხელისუფლების სათავეში. მთავარია, აი, ეს ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს მისი აგენტურის ხელმძღვანელ ბირთვს, ჰყავდეს სრულ მორჩილებაში და წინა ფლანგზე, რასაც ის მსუყე გრანტების მეშვეობით ახერხებს!**

2024 წლის 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე „თავისუფლების მარში“ კი არა, ამერიკის აგენტურის მარში ჩატარდა. ეს იყო აგენტურის გენერალური დათვალიერება მნიშვნელოვანი გამოწვევებისა და დაპირისპირების წინ.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენი ე.წ. „სტრატეგიული პარტნიორი“ სამოქალაქო დაპირისპირებაზეც წავა?**

— ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით — **თუ შეერთებულ შტატებს დასჭირდა, საქართველოში სამოქალაქო ომის პროვოცირებაზე წავა!**

**— ეს რომ არ მოხდეს, ხელისუფლებამ რა უნდა ქნას?**

— ხელისუფლება დაუყოვნებლივ ქმედებაზე უნდა გადავიდეს — აიღოს ამერიკული „ფარა“, რუსეთში, საფრანგეთში, ისრაელში მიღებული შესაბამისი კანონები, ასევე ის კანონი, რომელსაც ევროკავშირი ღებულობს, სასწრაფოდ თარგმნოს და დაურიგოს მოსახლეობას!

ხელისუფლება ცდება, როცა პოლემიკაში შედის იმ პირებთან, რომლებიც გაიძახიან — კანონი რუსულია და მორჩა, შინაარსობრივ განხილვაში არ შემოვალთ! ვინც ასე ფიქრობს და აზროვნებს, ის გიჟია და იმის ნათქვამს ნუღარ გაუკეთებთ კომენტარს. ირაკლი კობახიძე არის უჭკვიანესი ბიჭი. გამოვიდა და ხალხს მარტივად და გასაგებად უთხრა, რომ **ამ წლების განმავლობაში ხუთ არასამთავრობო ორგანიზაციას შემოსული აქვს 70 მილიონი დოლარი,** რომელსაც ვერ ასაბუთებენ. პრემიერმა მოითხოვა — სად წაიღეთ 70 მილიონი, რაში დახარჯეთ, ხალხს უთხარითო! აი, ასე მარტივად გაჭედა ესენი, რომლებიც ახლა შავ დღეში არიან და იმ 70 მილიონზე ენა აქვთ ჩავარდნილი. სააკაშვილის დროს ვინმე გაბედავდა, ეთქვა, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს არ გავასაჯაროებთო?! გამორიცხულია!

გაიხსენეთ, სააკაშვილმა რა თქვა — 16 მილიონი **ბია ჯოხთაბერიძეს** მოვაცუნცულებინეთ, ხოლო 22 მილიონი — **ედუარდ შევარდნაძესო!** სად წავიდა ეს ფული? სად წავიდა ის ასეულობით მილიონი დოლარი, რომელსაც სააკაშვილი ხალხს გირაოთი ართმევდა და მთელი ქვეყანა გაატყავა? სწორედ ამ ფულებით ებრძვიან დღეს საქართველოს და ხელისუფლებამ ამაზე ხალხს პასუხი არ უნდა გასცეს? სპეცსამსახურების გასაგონად ვკითხულობ: ვის ურეკავდა იმ საღამოს **ნინო ლომჯარია** — არიქა, თუ ხელს არ გაანძრევთ და არ დაგვეხმარებით, ქუჩაში ერთ კაცსაც ვერ გამოვიყვანთო? არ მითხრან ახლა — პირადი სივრცეაო! არავითარი პირადი სივრცე არ არსებობს, როცა სახელმწიფო ინტერესებს, უსაფრთხოებასა და მომავალს ეხება საქმე! ხომ ხედავთ, როგორც კი **ნინო ლომჯარიამ** პატრონებს დაურეკა — **„ფიცხელ, გვიშველეთ, ვიღუპებით!“** — 2024 წლის 9 აპრილს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა **მეთიუ მილერმა** საქართველოს ხელისუფლებას მუქარა გამოუგზავნა — ნახავთ, რასაც ვიზამთო! შეგჭამეს, ბატონო, ამ მეთიუებმა... ხომ გახსოვთ, **მეთიუ ბრაიზა** რას გვიშვრებოდა. ახლა მეთიუ მილერი რას გვიშვრება, რომელსაც კაცმა არ იცის, რა კავშირი აქვს უცხოური გრანტებით გალამაზებულ ამ ენჯეოშნიკ გოგონებთან!

**— მაინც რას ფიქრობთ, სად არის ძაღლის თავი დამარხული და რატომ შემოატრიალა ხელისუფლებამ არჩევნებამდე „აგენტების კანონი“?**

— ცხადია, არავითარი საბუთი ხელში არ მიჭირავს, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენმა სპეცსამსახურებმა გაიგეს, რომ საქართველოში წინასაარჩევნოდ დიდძალი შავი ფული შემოჰქონდათ. ამერიკელები ამ ფულს ჩემოდნებით ვერ შემოიტანდნენ, თავიანთი აგენტებისთვის, ენჯეოშნიკებისთვის უნდა ჩაერიცხათ და ამ გზით გაეთეთრებინათ. „აგენტების კანონის“ ხელახლა ინიცირებით, წინასაარჩევნოდ საქართველოში ამერიკიდან დიდძალი შავი ფულის შემოტანა დროებით დაიბლოკა. ამიტომაა, რომ აგენტები და მათი პატრონები გიჟებს ჰგვანან!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

*წინა კვირას ვასო აბაშიძის სახელობის „ახალ თეატრში“, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, სპექტაკლ „მეფე ლირის“ დასრულების შემდეგ მსახიობი დავით ბეშიტაიშვილი სცენაზე ყელმოღერებული წარდგა და ნაცურ-ჯიჰადისტური შემართებით ასეთი პოლიტიკური განცხადება გააკეთა — „საშინელი საშიშროების წინაშე ვართ სუყველა აბსოლუტურად. იმის გამო, რომ ერთმა კაცმა რაღაცა კმაყოფილება ნახოს და მისმა ქვეშევრდომებმა, მოვყევით ყველა ამაში... არა რუსულ კანონს!“*


თეატრისა და კინოს მსახიობი დავით ბეშიტაიშვილი


ბეშიტაიშვილს არავინ სჯის ჩადენილი სისაძაგლის გამო, რისთვისაც სააკაშვილის დროს ხალხს მიცვალებულებზე „ასკოჩავდნენ“ ანდა პრეზერვატივიანი „დუბინკებით“ აუპატიურებდნენ!

დირიჟორი და კომპოზიტორი ჯანსუღ კახიძე

# ღალატი, რომელიც მსახიობ დავით ბეშიტაიშვილსა და მაესტრო ჯანსუღ კახიძეს აერთიანებთ!

**ბეშიტაიშვილის** ამ განცხადებას დარბაზიდან წივილკივილი და შეძახილები მოჰყვა... მოგვიანებით, როცა მსახიობს **„ტელეჭუტელები“** დაუკავშირდნენ და ჰკითხეს — ხელისუფლების წარმომადგენლები გაიძახიან, ყველამ თავის პროფესიას მიხედოს და პოლიტიკას თეატრის სცენაზე ნუ გადავიტანთო! — **დავით ბეშიტაიშვილმა** განაცხადა — **„პროფესიონალი ვარ უკვე მაგათ ყურებაში. თორმეტი წელია, მაგათ ვუყურებ და ცუდის მეტი არაფერი მინახავს!“**

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ **ვასო აბაშიძის სახელობის „ახალი თეატრი“,** რომლის სცენიდანაც **ბეშიტაიშვილმა** პოლიტიკური განცხადებები გააკეთა, ბიძინა ივანიშვილის ფონდი „ქართუს“ გარემონტებულია. როგორც მითხრეს, თეატრი აღჭურვილია ულტრათანამედროვე აპარატურით და აკმაყოფილებს მსოფლიო სტანდარტს. ამ ყველაფერში გადახდილია მილიონები, რაც დასაფასებელია, მაგრამ ნაცსექტანტი დავით ბეშიტაიშვილი ამ სიკეთეს არ აფასებს!

უფრო მეტიც, **სიკეთის დაფასება-შეფასებაში კიდევ უფრო „შეუვალია“ „ახალი თეატრის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და ცნობილი „მიშარასტი“ დავით დოიაშვილი.** როგორც ტელევიზიით გაიჟღერა, **დოიაშვილი და ბეშიტაიშვილი,** თურმე, ყოველი სპექტაკლის წინ მაყურებლებს ბუკლეტებს ურიგებენ, რომელშიც ამ მთავრობის მკვდარი და ცოცხალი შვიდ ბრუნვაშია ამოტრიალებული. ამის მიუხედავად, **დოიაშვილს** არავინ ერჩის, ხოლო, მადლობა უფალს, **ბეშიტაიშვილს** არავინ სჯის ჩადენილი სისაძაგლის გამო, რისთვისაც სააკაშვილის დროს ხალხს მიცვალებულებზე „ასკოჩავდნენ“ ანდა პრეზერვატივიანი „დუბინკებით“ აუპატიურებდნენ!

**დავით ბეშიტაიშვილის** საქციელმა ჩემდაუნებურად ის ქარიშხლიანი და სისხლიანი დრო გამახსენა, როცა შოტლანდიაში, ქალაქ ედინბურგში, გამართულ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე სახელმწიფო ხარჯით გამგზავრებულმა **ჯანსუღ კახიძემ** შუა კონცერტის დროს ორკესტრი გააჩერა, გაკვირვებულ პუბლიკას შემოუტრიალდა და სამარცხვინო და მოღალატეობრივი განცხადება გააკეთა — **ძვირფასო მეგობრებო, გთხოვთ, გადაარჩინოთ ჩემი სამშობლო ზვიად გამსახურდიას ფაშისტური დიქტატურისგან!**

შევარდნაძე რომ ჩამოვიდა და საქართველოში სისხლის ტბები დააყენა, ეს ხალხი მზეზე მიფიცხებული კატებივით აკრუტუნდა, გიტრუნა და ედუარდ ამბროსიოვიჩს ფეხებთან კონტორებივით გაუგორდა... **დღეს რომ ვკითხულობთ — ვინ გაუძღა აფხაზეთი? — აი, სწორედ ასეთმა კონტოებმა და მოღალატეებმა ჩააბარეს ქართული მიწები და წიწკარა ხარივით დაკლეს ჩვენი უბედური სამშობლო!**

ასე რომ, ვურჩევთ **ბეშიტაიშვილს,** ყოველი სიტყვა კარგად აწონ-დაწონოს და სცენიდან ისე ილაპარაკოს!

რაც შეეხება **დავით დოიაშვილს,** არ მინდოდა ამის გახსენება, მაგრამ, ჩემდაუნებურად, მახსენდება **2004 წლის 19 თებერვალი,** როცა ცნობილი სერიული მკვლელი და შინაგან საქმეთა მინისტრი **ზიორბი ბარამიძე** მაშინდელი გენერალური პროკურორის, ავანტიურისტ **ირაკლი ოქრუაშვილის** სანქციით მედია-ჰოლდინგ „ომეგას“ ოფისში აწყვეტილი ბურვაკივით შემოვარდა, ტელეკომპანია „იბერია“ დახურა და გაზეთ „ახალი ეპოქის“ სტამბა დაკეტა, აქაოდა, „ომეგას“ ტოპოგრაფიული საწარმო ყალბ აქციზურ მარკებს ბეჭდავსო!

**მაშინ „ახალი ეპოქის“ თანამშრომლები სტამბასთან მივედით, რათა საპროტესტო აქცია გაგვემართა. სტამბაში შავფორმიანი, ავტომატიანი და ნიღბიანი სპეცრაზმელები იყვნენ შესული და კაციშვილს ტერიტორიაზე არ უშვებდნენ.** აქციაზე მოვიდა **აფერისტი ზაზა ოქუაშვილიც — „ომეგას“ მეპატრონე, რომელსაც ორმეტრიანი ბიჭები — დაცვის წევრები ეხვივნენ გარს... იქვე ბრძანდებოდა მისი ცოლი, პარლამენტის დღევანდელი წევრი, ქართველი კლასიკოსის ოთარ ჩხეიძის ქალიშვილი ნატო ჩხეიძე, რომელიც ხალხს ისე უყურებდა, როგორც ლენინი — ბურჟუაზიას!**

მოულოდნელად, **ოქუაშვილმა** დაცვის თანხლებით სტამბისა და „ომეგას“ ქარხნის ტერიტორიაზე მოინდომა შესვლა, რასაც გამაყრუებელი სროლა და წივილ-კივილი მოჰყვა. სპეცრაზმელების მიერ ავტომატიდან ნასროლი ერთი ტყვია იქვე გაზის უშველებელ მილს მოხვდა, საიდანაც ბუნებრივი აირის ნაკადმა იფეთქა. შეიქმნა საშიშროება, რომ იქაურობა ჰაერში აიწეოდა. აქციაზე მოსულმა სტამბის, რედაქციისა და სიგარეტების ქარხნის თანამშრომლებმა, რომლებსაც ცეცხლწოლიანი ბავშვებიც კი ჰყავდათ წამოყვანილი, საწრაფოდ დავტოვეთ იქაურობა!

**ნატო ჩხეიძე** არეულ და გაქცეულ ხალხს სათავეში ჩაუდგა და დიდმიდან ფეხით მივუყვანაფ კანცელარიის შენობამდე, სადაც საპროტესტო აქცია გამართა! მახსოვს, იმ აქციაზე განსაკუთრებით ეფექტური იყო ცნობილი **თემურ მეტრეველის** გამოსვლა. **ბატონი თემური გაზეთ „ახალი ეპოქის“ მთავარი რედაქტორი და ძალიან კარგი კაცი იყო, რომლის სიკვდილიც მაშინ რედაქციის გარშემო დატრიალებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად დააჩქარა.** მანამდე მიტინგი გაიმართა ფილარმონიასთან, ვერის პარკში, სადაც **დავით დოიაშვილის** მამა, ცნობილი კრიტიკოსი, პროფესორი **თეიმურაზ დოიაშვილი** მიკროფონით ხელში გამოვიდა და **ბიული ალასანიას** შესახებ ცოტა არ იყოს, უწმაწური თუ წმაწურიანი ლექსები წაიკითხა.

ამ ლექსებს ხალხში დიდი ღრიანცელი და სიცილ-ხარხარი მოჰყვა...

გამოხდა ხანი და **თემურ დოიაშვილის ვაჟი დავით დოიაშვილი,** ანუ ე.წ. **„დოი“** სააკაშვილის უკანალის მლოკველთა ჰამქარში გაერთიანდა, ხოლო **ნატო ჩხეიძე,** რომელიც დღეს პირწავარდნილი ნაცია, ღმერთმა გონება ისე აურია, რომ სააკაშვილი მესიად წარმოიდგინა.


თემურ მეტრეველი

> მახსოვს, იმ აქციაზე განსაკუთრებით ეფექტური იყო ცნობილი თემურ მეტრეველის გამოსვლა. ბატონი თემური გაზეთ „ახალი ეპოქის“ მთავარი რედაქტორი და ძალიან კარგი კაცი იყო, რომლის სიკვდილიც მაშინ რედაქციის გარშემო დატრიალებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად დააჩქარა!

ვურჩევთ **დავით ბეშიტაიშვილს,** ყურადღებით წაიკითხოს ეს წერილი და სცენიდან პოლიტიკური განცხადებები ისე გააკეთოს!

რაც შეეხება **დავით დოიაშვილს,** მასაც ვურჩევთ და მოვუწოდებთ, სააკაშვილის უკანალის მლოკველთა ჰამქრიდან გამოვიდეს და **დავით ბეშიტაიშვილიც** გამოიყოლოს!

არ შეიძლება „მეფე ლირს“ თამაშობდე, დგამდე და სააკაშვილის ნაცში ხვრინავდე!

**ამას არც ქართველობა და არც ხელოვნება არ გაპატიებთ!**

*დიტო ჩუბინიძე*

## დავით დოიაშვილს ვურჩევთ და მოვუწოდებთ, სააკაშვილის უკანალის მლოკველთა ჰამქრიდან გამოვიდეს და დავით ბეშიტაიშვილიც გამოიყოლოს!


დავით დოიაშვილი

**№21 (257) ★ 2024 წლის 15 აპრილი ★ გამოდის 2003 წლიდან**

**1943 წლის 28 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით** ირანის დედაქალაქ **თეირანში** გამართულ კონფერენციაზე საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **იოსებ სტალინი,** ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **ფრანკლინ დელანო რუზველტი** და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი **უინსტონ ჩერჩილი მეორე მსოფლიო ომში** ჰიტლერული კოალიციის გასანადგურებლად დასავლეთ ევროპაში **მეორე**

# 2024: თეირანის

**ფრონტის** გახსნაზე შეთანხმდნენ. ასე და ამრიგად, **თეირანის კონფერენციაზე** მიღებულმა გადაწყვეტილებებმა და მიღწეულმა შეთანხმებებმა უდიდესი როლი შეასრულა **მეორე მსოფლიო ომში** ანტიჰიტლერული კოალიციის გამარჯვებასა და ფაშიზმის დამარცხებაში.
დღეს კი, **თეირანის კონფერენციიდან** რვა ათეული წლის შემდეგ, კაცობრიობა **მესამე მსოფლიო ომის** რეალური საშიშროების წინაშე დგას, რადგან **2024 წლის 14 აპრილის ღამეს** მსოფლიოს ერთ-ერთმა მძლავრმა ბირთვულმა სახელმწიფომ — **ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ** დრონების გამოყენებით მასშტაბური საჰაერო იერიში მიიტანა **ისრაელზე,** რომლის მთავარი მოკავშირე და სტრატეგიული პარტნიორი ასევე უდიდესი ბირთვული სახელმწიფო — **ამერიკის შეერთებული შტატები** გახლავთ.
ოფიციალური **თეირანის** წარმომადგენელთა განცხადებით, **ისრაელის მასირებული დაბომბვა პასუხია ამა წლის 1 აპრილს სირიის დედაქალაქ დამასკოში ირანის დიპლომატიურ კომპლექსზე განხორციელებულ საჰაერო თავდასხმაზე, რასაც ირანის ისლამური რევოლუციის გვარდიის მაღალი რანგის მეთაურთა სიცოცხლე ემსხვერპლა.**
ირანის ისლამური სახელმწიფოს მიერ ისრაელზე მიტანილი იერიში კიდევ უფრო მკაფიოსა და თვალსაჩინოს ხდის **მესამე მსოფლიო ომის** კონტურებს, რომლებიც **რუსეთ-უკრაინისა და ისრაელ-ჰამასის ომის ფონზე** კარგა ხანია, გამოიკვეთა.
მოკლედ, თუ **თეირანის კონფერენციამ** მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა **მეორე მსოფლიო ომის** საბოლოო შედეგი, შესაძლოა, **თეირანის ომფერენცია** საბოლოო წვეთი აღმოჩნდეს გეოპოლიტიკურ ფიალაში, საიდანაც **მესამე მსოფლიო ომი** მთელი თავისი სისასტიკით გადმოდინდება!




# ომფერენცია

# 1943: თეირანის




# კონფერენცია

*ცნობილმა ქართველმა მწერალმა, დიპლომატმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა და აკადემიკოსმა **რაულ ჩილაჩავამ** უკანასკნელ ხანს კიდევ ერთი საინტერესო წიგნი გამოსცა. ეს არის ლავრენტი ბერიას ვაჟთან, აწ განსვენებულ სერგო ბერიასთან გამართული შეხვედრებისა და საუბრების ჩანაწერები, სადაც სტალინის, ბერიას, მათი უახლოესი გარემოცვისა და მაშინდელი პოლიტიკური პროცესების შესახებ უმნიშვნელოვანესი ცნობებია დაცული:*






# რაულ ჩილაჩავა:

# სერგო ბერია ზვიად გამსახურდიას ძალიან გულშემატკივრობდა!

— ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ 1986 წელს კიევში, ჩემს ბინაში, რემონტის გასაკეთებლად ახალგაზრდა ბიჭები, ხელოსნები დავიქირავე. რომ გაიგეს, ქართველი მწერლის ბინაში აკეთებდნენ რემონტს, ერთ-ერთმა მითხრა — **მე ლავრენტი ბერიას ვაჟთან ერთ სახლში ვცხოვრობ, ძალიან მაგარი კაცია, გვარად გეგეჭკორი — სერგო ალექსის ძე. დედამისიც მასთან ერთად ცხოვრობს. დანამდვილებით ვიცით, რომ ბერიას შვილია!**

ძალიან გამიკვირდა, რადგან არც ვიცოდი, თუ ბერიას შვილი კიევში ცხოვრობდა. დავინტერესდი ამ საკითხით და მთელი ხუთი წლის განმავლობაში ვფიქრობდი მასთან შეხვედრაზე, მაგრამ პერესტროიკის დროს სტალინსა და ბერიაზე იმდენი სისაძაგლე იწერებოდა და ჟურნალ „ოგონიოკიდან“ ისეთი ღვარძლი და შხამი მოდიოდა, შევძრწუნდი და გავიფიქრე — შესაძლოა, ეს კაცი თავის წარმომავლობას განგებ მალავს და ეთანხმება კიდეც იმ ბრალდებებს, რაც მამამისის შესახებ ყოველი მხრიდან გაისმის-მეთქი!

გავიდა დრო და ქართულ პრესაში ჟურნალისტმა **თემურ ქორიძემ,** რომელიც მათი ნათესავი აღმოჩნდა, გამოაქვეყნა ინტერვიუ ლავრენტი ბერიას ცოლთან, ქალბატონ **ნინა გეგეჭკორთან.** ამის შემდეგ იმედი მომეცა და ჩემს თავს ვუთხარი — რატომაც არა, ვცადოთ, იქნებ ის კაცი ინტერვიუზე უარს არ ამბობს-მეთქი! გავიგე ტელეფონის ნომერი, დავურეკე და რუსულად ვუთხარი — სერგეი ალექსეევიჩ, მე ვარ ქართველი მწერალი, თქვენთან შეხვედრა და ინტერვიუს ჩაწერა მინდა-მეთქი! — კი ბატონო, მობრძანდით, არ გინდათ განსაკუთრებული წარდგენა, მე თქვენ გიცნობთო! — მიპასუხა ბატონმა სერგომ, რომელმაც თავისი მისამართი იქვე მომცა.

ავიღე დიქტოფონი და მივადექი. კარი გამიღო მაღალმა, ბეჭებგანიერმა, ძალიან სიმპათიურმა, მაგრამ ცოტა ჭარბწონიანმა მამაკაცმა. ვიდრე ოფიციალურ საუბარს დავიწყებდით, მაგიდაზე შევნიშნე ქართული ჟურნალ-გაზეთები, ხოლო წიგნების კარადაში — კონსტანტინე გამსახურდიას ტომები ქართულად. ჩემთვის გავიფიქრე — ამან, მგონი, ქართული იცის-მეთქი! საუბრისას ერთი-ორი ქართული სიტყვა „ჩავურტყი“ თუ არა, სერგო ბერიამ მაშინვე ქართულად დაიწყო საუბარი. მორიდებით ვკითხე — ბატონო სერგო, ქართული იცით-მეთქი? — როგორ გეკადრებათ, ქართული ჩემი მშობლიური ენააო! — მიპასუხა.

**— ეს შეხვედრა როდის შედგა?**

— ეს შეხვედრა შედგა 1992 წლის დასაწყისში, საქართველოსთვის საშინელ დროს, თუმცა, არც უკრაინისთვის იყო ის დრო კარგი, რადგან ძველი სისტემა ინგრეოდა, ახალი კი, არავინ იცოდა, როგორი იქნებოდა. მოკლედ, მე და ბატონი სერგო პერიოდულად ვხვდებოდით ერთმანეთს და ჩვენს საუბრებს დიქტოფონზე ვიწერდი. ამ დიალოგებიდან დაახლოებით ორმოცამდე აუდიოკასეტა დამიგროვდა. სწორედ ამ საუბრების საფუძველზე 100-ათასიანი ტირაჟით გამოვეცი წიგნი რუსულ ენაზე **„ლავრენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს!“** შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პირველი წიგნი მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელიც ბერიას შესახებ მეტ-ნაკლებად ობიექტურ სურათს ქმნიდა. მე და ბატონი სერგო უფრო ხშირად მაინც რუსულად ვსაუბრობდით, რადგან ტერმინების გამოთქმა ასე უფრო ერჩივნა, თუმცა, ქართულად აბსოლუტურად გამართულად, ბრწყინვალედ ლაპარაკობდა.

**— წიგნს როგორი გამოხმაურება მოჰყვა?**

— პირდაპირ გეტყვით, რომ წიგნის მთელი ტირაჟი დაიტაცეს! მომდიოდა უამრავი წერილი „ენკავედეს“ ძველი თანამშრომლებისგან, ხნიერი ხალხისგან, რომლებიც ბერიას დიდი პატივისცემით იხსენიებდნენ და მასზე მხოლოდ აღმატებულ ხარისხში ლაპარაკობდნენ. ამ ყველაფერმა მიბიძგა იქითკენ, რომ ბატონ სერგოსთან საუბრები გამეგრძელებინა, რაზეც მისგან თანხმობა მივიღე. აი, ასე შეიქმნა რუსულ ენაზე მეორე წიგნი — **„მოკლეს საკუთარ სახლში“,** რომელიც 2000 წელს, ბატონი სერგოს გარდაცვალებამდე ნახევარი წლით ადრე გამოვიდა. ბატონი სერგოს რწმენაც ეს იყო, რომ მამამისი ლავრენტი ბერია სწორედ საკუთარ სახლში მოკლეს და არავითარი სასამართლო არ ჩატარებულა. რაც შეეხება ქართულ ენაზე გამოსულ წიგნს, ის წინა ორის ნაჯვარია და ორი სათაური აქვს — **„მოკლეს საკუთარ სახლში. ლავრენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს.“** ეს არის თავიდან ბოლომდე ინტერვიუების კრებული, მაგრამ დასათაურებულია თემატიკის მიხედვით.

**— თავად სერგო ბერია როგორი კაცი იყო?**

— ბატონი სერგო ძალიან კეთილშობილი, თბილი და საოცრად განათლებული ადამიანი იყო. რუსულსა და ქართულზე რომ არაფერი ვთქვათ, ბრწყინვალედ იცოდა გერმანული და ინგლისური. სერგოს, მოგეხსენებათ, ბავშვობიდან გერმანელი ძიძა ზრდიდა, მერე გერმანულ სკოლაში სწავლობდა და მისთვის გერმანული ენა მშობლიურივით იყო.

**— საინტერესოა, სერგო ბერიამ მეგრული თუ იცოდა?**

— მეგრული ცოტა იცოდა... რაღაც ფრაზების თქმა შეეძლო მეგრულად, თუმცა, გამართულად ვერ ლაპარაკობდა. ერთხელ **სერგო ბერიამ** მითხრა — სახლში ჩემი მშობლები სულ მეგრულად ლაპარაკობდნენ. ეს მათი შინაგანი მოთხოვნილება იყო, მამაჩემი დედაჩემს სულ მეგრულად ელაპარაკებოდაო!

**— თქვენ ბრძანეთ, რომ სერგო ბერიას პირველად 1992 წლის დასაწყისში შეხვდით! ეს ის დრო იყო, როცა საქართველოში გადატრიალება სულ ახალი მომხდარია და ქვეყანას ბანდიტები მართავენ. როგორი იყო სერგო ბერიას დამოკიდებულება ზვიად გამსახურდიასადმი?**

— ბატონი სერგო ზვიად გამსახურდიასადმი სიმპათიას არ მალავდა და მის მიმართ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გახლდათ გამსჭვალული. შეიძლება ითქვას, რომ სერგო ბერია ზვიად გამსახურდიას ძალიან გულშემატკივრობდა და ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ საქართველოს საქმეებში შევარდნაძის უხეშმა ჩარევამ, სახელმწიფო გადატრიალებამ და თბილისში მისმა ჩამოსვლამ ქვეყანა დაღუპა!

**— ლავრენტი ბერიას მკვლელობაში დარწმუნებული იყო?**

— დიახ, ამაში მას ეჭვი არ ეპარებოდა! მიამბო კიდეც: იმ დღეს საკონსტრუქტორო ბიუროში სხდომა უნდა გვქონოდა, როცა ჩემმა მეგობარმა, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირმა, მფრინავმა **ამეთ-ხანმა** მოულოდნელად დამირეკა და მითხრა — **სერგო, შენს სახლში რაღაც უცნაური ამბები ხდება. სახლი გარშემორტყმულია ბეტეერებით, კედლებს აჩნევია ტყვიების კვალი, მგონი, მამაშენი მოკლეს და უკვე ცოცხალი აღარ არის. სახლიდან საკაცე გამოიტანეს, რომელსაც ბრეზენტი ჰქონდა გადაფარებული. ახლავე წამოდი მანქანით, ჩემთან მოდი და სადმე, უსაფრთხო ადგილას გადაგაფრენო!**

როგორც ბატონმა სერგომ მიამბო, მან **ამეთ-ხანს** არ დაუჯერა, სახლისკენ წავიდა, სადაც ასეთი ამბავი დახვდა... — დარწმუნებული ვარ, მამაჩემი იმ დღეს გააქრეს, რადგან იმის შემდეგ ის არავის უნახავს! — მითხრა ბატონმა სერგომ.

**— ვის ადანაშაულებდა სერგო ბერია ლავრენტი ბერიას მკვლელობაში?**




**მწერალი და დიპლომატი იხსენებს!**

# „როგორც სერგო ბერია იხსენებდა, ბოლო წლებში სტალინის დამოკიდებულება ბერიასადმი შეიცვალა!“



მამა-შვილი ლავრენტი და სერგო ბერიები

— ცხადია, ადანაშაულებდა მაშინდელ პოლიტიკურ „ვერხუშკას“ — **ხრუშჩოვს, ჟუკოვს, მალენკოვს, ბულგანინს, ვოროშილოვს...** ლავრენტი ბერიას მალენკოვის შვილი ჰყავდა მონათლული. **სერგო ბერიამ** გარკვევით მითხრა, რომ **მალენკოვი** იყო პოლიტიკურად ბეცი, მაგრამ კარგი „აპარატჩიკი“ და საქმეების მხლართავი. ალბათ, ამიტომ არ იშორებდა მას სტალინი. ბატონმა სერგომ პირდაპირ გაიხსენა — **სტალინი რომ მოკვდა, დედაჩემმა მამაჩემს უთხრა — ლაუ, შენ ესენი არ გაგახარებენ და წამოდი მაქედან!** — ნინო, რა გულუბრყვილო ხარ?! წამოსვლა რომ მინდოდეს, ვინ გამომიშვებს? მაგათ იციან, ყველაზე დოსიე რომ მაქვს და არ მაცოცხლებენ! ამიტომ ისევ მე უნდა ვიმარჯვო!

**— ანუ ასეთი ლაპარაკი ოჯახში მიდიოდაო?**

— კი, ცხადია, ამაზე ბერია და მისი მეუღლე ოჯახში ლაპარაკობდნენ. ეგ კი არა, სერგო ბერიამ ესეც გაიხსენა: ერთხელ დედაჩემმა მამაჩემს უთხრა — **ლაუ, ხომ იცი, რომ რუსები მეორე ქართველს ტახტზე არ დასვამენ?!** მამაჩემი სულელი კაცი არ იყო და მალენკოვი პირველ კაცად იმიტომ დასვა, რომ ადვილად სამართავი იყო, მაგრამ ამავე დროს — ვირეშმაკა. ცნობისათვის, ლავრენტი ბერიას ცოლი ოჯახში **„ლაუს“** ეძახდა...

**— სტალინისადმი სერგო ბერიას დამოკიდებულება როგორი იყო და რას იხსენებდა?**

— სტალინისადმი სერგო ბერიას დამოკიდებულება ორნაირი იყო, რაც წიგნშიც აღნიშნული მაქვს. ბატონმა სერგომ ჩემთან საუბარში გაიხსენა 1936 წელი, როცა სტალინს პირველად შეხვდა. მაშინ იგი თბილისში დედის სანახავად ჩამოვიდა და ბერიას სახლში მოულოდნელად ეწვია. ბატონმა სერგომ ასეთი რამ მიამბო: *დედაჩემი მაშინ გაგრაში ისვენებდა და მამაჩემმა დაურეკა — სასწრაფოდ ჩამოდიო! მაშინ ძალიან მოკრძალებულ ბინაში ვცხოვრობდით. სტალინი ოთახში რომ შემოვიდა, ხელში ამიყვანა, მომეფერა და ქართულად მითხრა — მეც მყავს შენხელა გოგონა, სვეტლანა ჰქვია, გაგაცნობ და იმეგობრეთო! მერე სტალინი მამას მიუბრუნდა — ლავრენტი შენი თავმდაბლობა დასაფასებელია, მაგრამ რესპუბლიკის ხელმძღვანელს ასეთ ბინაში ცხოვრება არ გეკადრებაო! სტალინმა იქვე გასცა განკარგულება ჩვენთვის სახლის აშენების შესახებ...*

**— ლავრენტი ბერიამ რობერტ ოპენჰაიმერი რომ ჩამოიყვანა და თავის სახლში აცხოვრა, სერგო ბერიამ ამის შესახებ ისაუბრა?**

— კი, რა თქმა უნდა! ბატონმა სერგომ გაიხსენა, რომ 1939 წელს **რობერტ ოპენჰაიმერი** რამდენიმე ღამით მოსკოვში, მათ სახლში დარჩა, თუმცა, ისიც მითხრა, რომ მან ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყო.

**— საინტერესოა, რას ამბობდა სერგო ბერია რეპრესიებზე და ამართლებდა თუ არა მამას?**

— ცხადია, ჩემს წიგნში ამ თემას მთელი თავი ეთმობა. სერგო ბერიას პოზიცია ასეთი იყო — რა თქმა უნდა, მამაჩემი რესპუბლიკის ხელმძღვანელი იყო და პასუხისმგებლობას ვერ ასცდება, მაგრამ მხოლოდ მამაჩემის გადასაწყვეტი არ იყო ეს საკითხი, რადგან საწყის ეტაპზე დასახვრეტთა სიები მოსკოვიდან მოდიოდაო! მე ვკითხე — კი მაგრამ, მოსკოვმა საიდან იცოდა, საქართველოში ვინ იყო დასახვრეტი და ვინ არა-მეთქი? — მაგათ პარალელური უშიშროება ჰყავდათ აქ, ისინი აგზავნიდნენ ცენტრში ცნობებს. სტალინი განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდა საქართველოს, მწერლებსა და ხელოვანებზე თავისი აზრი ჰქონდა და ხშირად გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ღებულობდა! რა თქმა უნდა, მამაჩემი პასუხს აგებს, მაგრამ ხშირად ის ამ ამბების ინიციატორი არ ყოფილაო!

**— თქვენ ზემოთ სტალინისადმი სერგო ბერიას „ორმაგი დამოკიდებულების შესახებ“ ბრძანეთ. რას გულისხმობდით?**

— როგორც სერგო ბერია იხსენებდა, ბოლო წლებში სტალინის დამოკიდებულება ბერიასადმი შეიცვალა. მითხრა — **სტალინი ძალიან დიდ პატივს სცემდა მამას, აფასებდა მის პრაგმატიზმს, ამოუწურავ ენერგიას, მაგრამ რაღაც გაუცხოება მათ ურთიერთობაში ბოლოს მაინც დაიწყო.** მისი აზრით, „მეგრელთა საქმე“ სწორედ ამის გამოძახილი გახლდათ. ამ გაუცხოებას სერგო ბერია ხსნიდა სტალინის შიშით, რადგან ბერიამ დიდი გავლენა მოიპოვა. ისე, სერგო ბერია ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ ლავრენტი უდიდესი მოწიწებითა და პატივისცემით იყო გამსჭვალული სტალინის მიმართ და მასთან ურთიერთობაში ყოველთვის იცავდა დისტანციას. როგორც ბატონმა სერგომ მითხრა, მას ძალიან ბევრი რუსული და უცხოური წიგნი ჰქონდა წაკითხული სტალინისა და ბერიას ურთიერთობის შესახებ და კატეგორიულად უარყოფდა იმას, თითქოს ბერია სტალინს „ხაზეინს“ ეძახდა. როგორც მითხრა, სტალინს 22 წლის ბერია **სერგო ორჯონიკიძემ** 1921 წელს თბილისში ყოფნისას გააცნო. სტალინმა მაშინვე მიაქცია ლავრენტის ყურადღება და 1924 წელს ბერია უკვე „ჩეკას“ მაღალჩინოსანი იყო.

**— სერგო ბერიას საქართველოში დასაფლავების სურვილი არ ჰქონია?**

— ისე მოხდა, რომ ბატონი სერგოს დაკრძალვის ცერემონიალს, ფაქტობრივად, მე ვხელმძღვანელობდი. ქართველ ბიჭებს გვინდოდა მისი საქართველოში, დედის გვერდით დასაფლავება, მაგრამ ბატონი სერგოს შვილმა უარი თქვა — მე საქართველოსთან არავითარი კავშირი არ მაქვს და მამაჩემის საფლავზე ამოდენა მანძილზე ვერ ვივლიო!

## „ერთხელ სერგო ბერიამ მითხრა – მამაჩემი დედაჩემს სულ მეგრულად ელაპარაკებოდაო!“



სერგო ბერია და რაულ ჩილაჩავა

ბატონი სერგო სულ საქართველოზე ფიქრობდა. ორჯერ იყო საქართველოში ჩამოსული და შევარდნაძესაც შეხვდა, რადგან აქ ქარხნის აშენება სურდა. გვარის გამოცვლაზეც ფიქრობდა... მითხრა — მამაჩემის მკვლელობის შემდეგ რომ დამიჭირეს და ციხეში ჩამსვეს, იქ არავითარი საბუთი არ მქონდა. რომ გამოვედი, მომცეს საბუთი, რომელშიც ეწერა — **სერგო ალექსის ძე ბეგეჭკორი.** რამდენჯერაც სპეციალურად დავკარგე პასპორტი, იმდენჯერ დედაჩემის გვარი ჩამიწერეს და მითხრეს — მნიშვნელობა არა აქვს, პასპორტს რამდენჯერაც დაკარგავთ, მაინც ეს გვარი გექნებათო! ბატონი სერგოს საფლავი არ არსებობს, მისი კრემაცია მოხდა და კიევის ბაიკოვოს პანთეონში ერთ-ერთ ნიშაშია მისი ფერფლი.

**— ცხოვრების უმეტესი ნაწილი უკრაინაში გაატარეთ, მთელი უკრაინა გიცნობთ, რა ბედი ელის ამ ქვეყანას?**

**– უკრაინის დღევანდელი ბედი კოლექტიური დასავლეთის სინდისზეა. თუ დასავლეთი უკრაინას დაეხმარება, შესაძლებელია, მდგომარეობის რაღაცნაირად გამოსწორება, მაგრამ არ მჯერა, რომ რუსეთი უკრაინას მიტაცებულ ტერიტორიებს დაუბრუნებს!**

**— ჩვენ დავაშავეთ რამე, რომ უკრაინამ საქართველოდან ელჩი გაიწვია? რა უნდათ ჩვენგან, რას გვემართლებიან?**

— მთელი ორი წლის განმავლობაში, სანამ ზალუჟნი არ დანიშნეს, ინგლისში უკრაინას ელჩი არ ჰყავდა. ვერ გავიგე, ეს რა პოლიტიკაა. რაც საქართველოს მიმართ ხდება, ეს ჩვენ არ დაგვიმსახურებია!

**— ძებნილები, მკვლელები და მწამებლები რომ ჰყავთ უკრაინის ხელისუფლებაში შეფარებული, ეს რა უბედურებაა?**

— უკრაინის ხელისუფლებაში თითქმის ოცი წელი ვიმუშავე. მინისტრის მოადგილე ვიყავი და რამდენჯერმე ვთქვი უარი მინისტრობაზე, რადგან მიმაჩნია, რომ მინისტრი შეიძლება იყოს მხოლოდ ეთნიკური უმრავლესობის წარმომადგენელი. 2015 წელს, როცა უკრაინაში მთელი დესანტი გადმოსხეს საქართველოდან, საკაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელეს, ქართველები მინისტრებად დანიშნეს, ხოლო პოლიცია ხატია დეკანოიძეს ჩააბარეს, ცოტა არ იყოს, შევცბი და ჩემს თავს ვკითხე — დებილი ხომ არ ვიყავი, მინისტრობაზე უარი რომ ვთქვი, მეც შემეძლო მინისტრობა-მეთქი! მიმაჩნია, რომ ქართველების უკრაინაში დაწინაურება არც პოროშენკოსა და არც ზელენსკის ბრალია, ეს საკითხი სხვაგან გადაწყდა!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## ი. სტალინის შესახებ ზოგიერთი, უპირატესად რუსული, ნაშრომი გვარწმუნებს, რომ ის „უვიცი“ იყო. ამასვე წერს, მაგალითად, მისი ყოფილი მდივანი ბაჟანოვი – „სტალინს არასოდეს არაფერი უსწავლია.“ ამასწინათ შევიძინე ჯილასის წიგნი „საუბრები სტალინთან“, რომელშიც მისდამი, ზოგადად, უარყოფითი დამოკიდებულების გარდა ნათქვამია, რომ ერთადერთი, რაშიც სტალინი ერკვეოდა, რუსული ლიტერატურა იყო. რამდენად შეესაბამება ეს ყველაფერი სინამდვილეს?



აბსოლუტურად არ შეესაბამება. **ბაჟანოვზე** ლაპარაკიც არ ღირს. **სტალინის** სამდივნოში ეს უკუღმართი სულ ცოტა ხანს მუშაობდა (კაგანოვიჩის რეკომენდაციით), მერე კი **ბელადმა გააძევა,** რადგან მის სრულ გამოუსადეგრობასა და არაკომპეტენტურობაში დარწმუნდა. **ბაჟანოვი „ფინანსურ გაზეთში“** გადაიყვანეს, შემდეგ შუა აზიაში ერთ-ერთი მივლინებით ისარგებლა და საზღვარგარეთ გაიქცა. იქ კი 30-იანი წლების დასაწყისში გამოსცა პასკვილი **„სტალინის ყოფილი მდივნის ჩანაწერები“,** რომლითაც ახალი ბატონების ნდობის მოპოვება სურდა და რომელშიც არშემდგარი პარტიული კარიერისათვის მთელი ბოღმა და ნაღველი ამოანთხია. მაგრამ, სამწუხაროდ, ეგრეთ წოდებული **„ბიოგრაფები“** და **„ისტორიკოსები“** თავიანთ დასკვნებს სწორედ ამ პასკვილზე და ზოგიერთი სხვა სულგაყიდულის (ორლოვი, კრივიცკი და სხვ.) **„მოგონებებზე“** აგებენ.

რაც შეეხება **მილოვან ჯილასის** წიგნს **„საუბრები სტალინთან“** (ის ქართულადაც ითარგმნა), ეს ცალკე საუბრის თემაა. ეს არის ცოცხალი მოგონებები ადამიანისა, რომელსაც იუგოსლავიაში **ტიტოს** შემდეგ, ფაქტობრივად, მეორე პოსტი ეკავა (1944-1948 წ.წ.), ხოლო სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გამარჯვების შემდეგ ვიცე-პრეზიდენტი გახდა. **ჯილასი სტალინს** სულ სამჯერ შეხვდა (ომის დასასრულს და კონფლიქტამდე ცოტა ხნით ადრე) და მის მემუარებში უხვადაა საინტერესო დეტალები (არამხოლოდ ნეგატიური). აი, მისი ზოგიერთი შეფასება: **„თუ გვინდა, განვსაზღვროთ, რას ნიშნავდა სინამდვილეში სტალინი, ის ლენინის გვერდით უნდა განვიხილოთ, როგორც ყველაზე გრანდიოზული ფიგურა“, „...მან ჩამორჩენილი რუსეთი ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადააქცია, რომელიც სულ უფრო გაბედულად და განუხრელად მიისწრაფვის მსოფლიო გავლენისაკენ“, „თუკი სტალინს წარმატების თვალსაზრისით შევხედავთ, პოლიტიკაში მას ვერცერთი სახელმწიფო პოლიტიკოსი ვერ აჯობებს...“**

ვფიქრობ, საკმარისზე მეტი და საკმაოდ მჭევრმეტყველური მაგალითებია.

**სტალინის** პიროვნებისადმი **ჯილასის** ნეგატიური (საერთო ჯამში) დამოკიდებულება კი აიხსნება, ჯერ ერთი, იუგოსლავიასა და სსრკ-ს შორის **1948 წელს** გაჩაღებული კონფლიქტით (ამაზე უკვე ვწერდით), მეორეც, მემუარების წერის მომენტში კომუნისტური და მუშათა მოძრაობიდან მისი სრული ჩამოცილებით და **„ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების“** აღიარებით. სხვათაშორის, ასევე უარყოფითად აფასებდა **ჯილასი** თავისი ყოფილი მეგობრისა და თანამოაზრის **იოსიფ ბროზ ტიტოს** პიროვნებას.

თავის წიგნში **ჯილასი** აღნიშნავს, რომ **სტალინმა** ის რუსული ლიტერატურის ცოდნით გააოცა. საქმე ის არის, რომ საუბრისას **ბელადი** კლასიკოსების ციტირებას ახდენდა, დაწვრილებით განიხილავდა **ტოლსტოის, დოსტოევსკის, გორკის,** თანამედროვე რუსი ლიტერატორების შემოქმედებას. სხვა თემებზე (გარდა უაღრესად პოლიტიკურისა) სიტყვა არ ჩამოვარდნილა. აი, რით აიხსნება **ჯილასის** სენტენცია **„სტალინის თვალსაწიერის“** შესახებ.



ბაჟანოვი

**ისმის კითხვა, შემოიფარგლებოდა თუ არა გენერალისიმუსის თვალთახედვა მხოლოდ რუსული ლიტერატურით?** გულუბრყვილო შეკითხვაა. თანამოსაგრეთა და იმ ადამიანთა მემუარებიდან, რომლებიც **სტალინს** იცნობდნენ, ვიცით, რომ მას ჰქონდა უფართოესი თვალსაწიერი, რომელიც შეიცავდა როგორც მსოფლიო ლიტერატურას და ეკონომიკას, ისე ისტორიას და მხოლოდ ვიწრო პროფესიონალთათვის განკუთვნილ სპეციალურ დისციპლინებს. **პროფესორი ილიზაროვი ბელადის პირადი ბიბლიოთეკის ნაწილის გამოკვლევის შემდეგ იმდენ სრულიად სხვადასხვაგვარ ლიტერატურას ჩამოთვლის ანტიკური ხანიდან მე-20 საუკუნემდე, რომ თავბრუ დაგეხვევათ.** თანაც, ყველა ამ წიგნში **სტალინის** შენიშვნებია გაკეთებული (ილიზაროვი, „სტალინის საიდუმლო ცხოვრება“).













არსებობს კიდევ ერთი მკაფიო მოწმობა. **საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში 90-იან წლებში უნიკალური დოკუმენტი აღმოჩნდა. ეს გახლავთ პირადად სტალინის მიერ შესრულებული ხელნაწერი „სოციალ-დემოკრატიული უჯრედების პროგრამისა“ ტფილისის საწარმოებში პარტიული აგიტატორის ამპლუაში ჩატარებული მეცადინეობებისთვის.** ამ პროგრამაში ჩამოთვლილია 183(!) ნაშრომი, რომლებიც ხუთ განყოფილებადაა კლასიფიცირებული — **„საზოგადოებათმცოდნეობა“, „ფილოსოფიური მემკვიდრეობა“, „პოლიტიკური ეკონომია“, „ისტორია“, „მრეწველობა“** (ამასთან, ცალ-ცალკე მრეწველობის ისტორია და მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობა). ყველა ნაშრომის ჩამოთვლა შეუძლებელია. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ პროგრამაში შეტანილი არიან ისეთი ავტორები, როგორებიც არიან **მარქსი, ენგელსი, კაუტსკი, ლენინი (ილინი),** ისტორიკოსები **სოლოვიოვი, ფრიჩე** და იმ დროს დამწყები მეცნიერი, მომავალი აკადემიკოსი **ტარლეც** კი.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ეს პროგრამა **იოსებ ჯუღაშვილმა 1899 წელს შეადგინა.** საკითხავია, თუკი **20 წლის სტალინს** ასეთი ფართო თვალსაწიერი ჰქონდა, მომდევნო წლებში როგორი გახდებოდა?



მილოვან ჯილასი



იოსიფ ბროზ ტიტო

## თუ შეიძლება მოგვიყევით მეორე ფრონტის გახსნის შესახებ. საინტერესოა, ეს აქცია მართლაც გადამწყვეტი გახდა გერმანიაზე გამარჯვებაში, როგორც ამას დასავლეთში წარმოგვიდგენენ?



უინსტონ ჩერჩილი
იოსებ სტალინი
ფრანკლინ რუზველტი

ცნობილია, რომ **სტალინი** ჯერ კიდევ ომის დასაწყისში მოითხოვდა ანტიჰიტლერულ კოალიციაში თავისი პარტნიორების — **ჩერჩილისა** და **რუზველტისაგან მეორე ფრონტის გახსნას.** მაგრამ ყოველ ჯერზე დაპირებას იღებდა, რომელიც არ სრულდებოდა. მოკავშირეები (პირველ რიგში, ბრიტანელები) ყველანაირად ცდილობდნენ ამ აქციისათვის არსის გამოცლას. **ჩერჩილი** ხან აცხადებდა, რომ **მეორე ფრონტი** უკვე მოქმედებს **ჩრდილოეთ აფრიკაში ფელდმარშალ რომელის წინააღმდეგ,** ხან მის გახსნას **ბალკანეთში** ჰპირდებოდა, რაზეც **სტალინი** პასუხობდა, რომ **ინგლისელთა** მოქმედება **რომელის** წინააღმდეგ ომის მსვლელობაში არსებით ცვლილებებს არ იწვევს, ხოლო **ბალკანეთში** უკვე არსებობს ფრონტი **იუგოსლავიის** სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სახით და განუხრელად მოითხოვდა ფრონტის დასავლეთ ევროპაში გახსნას. მოკავშირეები იძულებულები გახდნენ, დათანხმებოდნენ. მაგრამ ისინი ყველანაირად ცდილობდნენ ოპერაციის რეალიზაციის გაჭიანურებას. ბოლოს და ბოლოს, **1944 წლის ივნისის დასაწყისში ნორმანდიაში** (ჩრდილოეთ საფრანგეთი) **ინგლის-ამერიკის** ძალთა გადასხმით მეორე ფრონტი გაიხსნა, ანუ იმ მომენტში, როცა წითელმა არმიამ მოკავშირეთა მონაწილეობის გარეშეც, ფაქტობრივად, გაიმარჯვა და ჰიტლერული გერმანიის საზღვრებთან გავიდა. ეს გადაწყვეტილება გასაგები იყო. **აშშ** და **ინგლისი** შეაშფოთა დასავლეთისაკენ **სტალინის** სვლამ და მთელი ევროპის გარდაუვალმა შემდგომმა **„გასაბჭოებამ“.**

**მეორე ფრონტის გახსნის** საკითხისადმი **სტალინის** დამოკიდებულებას ნათლად მოწმობს უკვე ხსენებული **ჯილასის** წიგნის შემდეგი ციტატა: **„გზავნილი ჩერჩილისაგან იყო. ის იუწყებოდა, რომ საფრანგეთში გადასხდომა მეორე დღეს დაიწყება. სტალინმა დეპეშა წამაკითხა და დაცინვა დაიწყო:**

**— დიახ, გადასხდომა შედგება, თუ ნისლი არ იქნა. აქამდე მას გამუდმებით რაღაც უშლიდა, ხან წვიმა, ხან — ნისლი. ვეჭვობ, კიდევ რამე მოხდება...“**

მაგრამ ამჯერად გადასხდომა მართლაც შედგა. თუმცა, ამ აქციას ლოკალური მნიშვნელობა ჰქონდა და პირველ რიგში თავად მოკავშირეებს აძლევდა ხელს, რომლებმაც **გერმანიაში** ოკუპაციის ზონების დასაკუთრება „მოასწრეს“. წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ მთელ **გერმანიას** წითელი არმია დაიკავებდა.

## „ჩერჩილს ხან წვიმა უშლიდა, ხან – ნისლი!“



სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალის ერთადერთმა რესტავრატორმა ანი შეროზიამ, რომელიც ამ ორი წლის წინათ, რეორგანიზაციის მიზეზით, 100-ზე მეტ თანამშრომელთან ერთად სამსახურიდან დაითხოვეს, სასამართლო დავა მოუგო იმავე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.** *„ერთი ადამიანის სიჯიუტის გამო მოხდა ეს ყველაფერი?“* **— სვამს კითხვას ჩვენი დღევანდელი თანამოსაუბრე და დასძენს:**






„ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ კულტურის მინისტრის გარეშე!“

## ანი შეროზია:

# ნუთუ ერთი ადამიანის სიჯიუტისა და ამბიციების გამო გაგვათავისუფლეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან?

— **საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში** — მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახურში თითქმის 7 წელი ვიმუშავე. არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების მიმართულებით გახლდით ერთადერთი რესტავრატორ-კონსერვატორი. დღეს ჩვენი ორგანიზაცია, ფაქტობრივად, დაშლილია, 150 თანამშრომლიდან 80 პროცენტი გათავისუფლებულია. ასეთი გაუგონარი რამ არსად მომხდარა, 9-თვიანი შუალედით, ორი რეორგანიზაციის შედეგად, სააგენტო მთლიანად დაცალეს სპეციალისტებისგან და იურისტები მიიყვანეს.

**— რა მიზეზით გაგათავისუფლეს?**

— ბრძანების მიხედვით, მოხდა თანამშრომელთა შემცირება ბიუჯეტის შემცირების გამო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბიუჯეტიც გაიზარდა და დარჩენილი კადრების პოზიციებიც. ბრძანებაში არსად წერია, რომ ჩემს საქმეს ვერ ვასრულებდი, სასამართლო პროცესებზეც ვერ მოჰყავდათ დასაბუთებული არგუმენტაცია, მხოლოდ ილანძღებოდნენ.

**— რეორგანიზაციის ჩატარება ვისი გადაწყვეტილება იყო?**

— ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ კულტურის მინისტრის გარეშე, ყოველი რეორგანიზაცია ხორციელდებოდა მისი ბრძანების საფუძველზე, რომელიც ჩვენ გვეგზავნებოდა და ვეცნობოდით. პირველი რეორგანიზაციის დროს შევხვდი მინისტრს, ვესაუბრე ჩემს საქმიანობაზე, მაშინ დამტოვეს, მაგრამ 9 თვის შემდეგ, მეორე რეორგანიზაციის დროს გამიშვეს. პირველი რეორგანიზაციისას გასაუბრებას ატარებდა ე.წ. კომპეტენციის დამდგენი კომისია. ვითარება უკიდურესად დაძაბული იყო, აბსოლუტურად დაირღვა ჩვენი უფლებები. ფაშისტები ერთ ოთახში რომ აგროვებდნენ ებრაელებს, ისე მოგვიყარეს ერთად თავი, **ეს იყო ძალიან დამამცირებელი, ღირსების შემლახავი პროცედურა,** დაკითხვის მსგავსი გასაუბრება, თან არასამუშაო დროს, ღამის საათებში. სათითაოდ გვიძახებდნენ კაბინეტში, ყველა თავის რიგს ელოდა, თითქოს დასახვრეტად უნდა შევსულიყავით. მე, მაგალითად, ღამის 10 საათზე შემიყვანეს, ხანში შესულ მეცნიერებს ძალიან გაუჭირდათ ამ სიტუაციაში ყოფნა. კომისიის წევრები, როცა მოშივდებოდათ, შესვენებაზეც გადიოდნენ, ჩვენ კი უნდა დავლოდებოდით. პირველი გასაუბრების დროს კომისიის წევრები იყვნენ **ნიკოლოზ აზნაურაშვილი, ლევან ხიზანიშვილი, ვლადიმერ გაბოძე და პაატა გაფრინდაშვილი.** მეორე გასაუბრებისას: ისევ **ნიკოლოზ აზნაურაშვილი, ვლადიმერ გაბოძე, პაატა გაფრინდაშვილი** და სამინისტროდან **ბეჟან ოზგაიძე.**

**ნუთუ კულტურის მინისტრი იმაზე არ ფიქრობს, რომ, რა პროცესებიც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ჩაატარა, ამით პრობლემები შეუქმნა თავის გუნდსაც?**

სააგენტოს დირექტორი **ნიკოლოზ აზნაურაშვილი** ადეიშვილის წრიდან არის გამოსული და, **ფაქტობრივად, იგივე ხალხი დაატრიალეს, ვინც ნაციონალების დროს სადამსჯელო სამუშაოებს ასრულებდა.** მაშ, რას უნდა ნიშნავდეს, საქმიდან ამდენი პროფესიონალის ჩამოშორება და იმ უცოდინარი ხალხის მოყვანა, ვინც არ იცის, რა არის ფონდი, რატომ უნდა იყოს ექსპონატები საცავში, უფრო მეტიც, წიგნებს მაკულატურას ეძახის!

**— თქვენს საქმეს ვინ აგრძელებს?**

— ძველი თანამშრომლებიდან სააგენტოში დარჩენილია 20-25 ადამიანი, ისინიც ვერ ეგუებიან გაუსაძლის მდგომარეობას. ძირითადად, სამუშაო შემოიფარგლება კონტროლით, ვინ რომელ საათზე მივიდა ან როდის წავიდა, რამდენი დრო მოანდომა ჭამას და ა. შ. გაჩერებულია უზარმაზარი პროექტები, რომლებიც დაფინანსებული იყო მსოფლიო ბანკის მიერ, რეაბილიტაცია მიდიოდა სტეფანწმინდის ისტორიულ მუზეუმში, მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმში, სარეაბილიტაციო სამუშაოები დამთავრებული იყო ბორჯომში ე.წ. კავალერიის სახლში, რომელიც რომანოვების მიერ არის აგებული, გადასული ვიყავით ექსპოზიციის მოწყობის ეტაპზე, მაგრამ შეგვაჩერეს. მცხეთის მუზეუმის რეაბილიტაციაც დასრულებული იყო, ვიწყებდით საექსპოზიციო ნაწილის მოწყობას... დიახ, ყველა ეს პროექტი შეჩერებულია, არადა, ჩვენს სისტემაში შედიოდა 18 მუზეუმი და მუზეუმ-ნაკრძალი, მათ შორის, უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალი, ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი მირზაანში, მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი, დიდი ლიახვის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი და სხვა.

**— უზენაესმა სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია სამსახურიდან თქვენი გათავისუფლება და ბათილად ცნო ბრძანება, რის საფუძველზეც მოხდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან თქვენი დათხოვნა...**

— საქალაქო და სააპელაციო სასამართლოში დავა წავაგე, ხოლო უზენაესმა სასამართლომ ბათილად ცნო ორივე ინსტანციის გადაწყვეტილება და საქმე ჩემ სასარგებლოდ გადაწყვიტა. **დადასტურდა, რომ უკანონოდ ვიყავი გათავისუფლებული და ბრძანება, რის საფუძველზეც სააგენტოს უფროსმა ნიკოლოზ აზნაურაშვილმა დამატოვებინა სამსახური, ბათილად გამოცხადდა.** სასამართლომ სააგენტოს დაავალა ყოველი თვის განაცდურის ანაზღაურება და კომპენსაცია 1 000 ლარის ოდენობით. სამსახურში ჩემი აღდგენა კი არ მოხდება, ეს საკითხი იყო კატეგორიული და არ განიხილებოდა, ერჩივნათ, კომპენსაცია ბიუჯეტიდან გადახდილიყო.

**— თქვენს ინტერესებს ვინ იცავდა?**

— პირველ ინსტანციაში არასამთავრობო ორგანიზაცია ISFED, რომელმაც სრულიად უსასყიდლოდ შემომთავაზა დახმარება, შემდეგ მეცნიერების, განათლებისა და კულტურის პროფკავშირი, რომლის წევრიც თავადაც გახლავართ. პროფკავშირიდან ჩემს დასაცავად იბრძოდნენ ჩვენი ადვოკატები — **დავით ომსარაშვილი, შალვა ხვთისიაშვილი და სალომე სურმანიძე.** ამ ადამიანებმა უდიდესი მონდომება და ენერგია ჩააქსოვეს ჩემს საქმეში. ეს პროფკავშირის რიგით მეექვსე გამარჯვება იყო კულტურის სამინისტროს წინააღმდეგ.

**— რა მიიღო საქართველომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად?**

— ბევრი რამ შეუქცევადად დაზიანდა და ბუნებრივად ჩნდება კითხვა — ერთი ადამიანის სიჯიუტის გამო მოხდა ეს ყველაფერი? საქართველოს კულტურის მინისტრს **თეა წულუკიანს** ვგულისხმობ! ყველაფერს აქვს თავისი ლოგიკა — დანაშაულსაც და ბოროტებასაც, მაგრამ რა ჰქვია იმას, როცა შენი საქციელით შენივე თავის მტერი ხდები?

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**ლევან კობიაშვილი**
*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი*



გერმანულ სტადიონებზე ბევრი **ქართველი გულშემატკივრის ყოფნა უდიდესი მოტივაციაა გუნდისთვის.** ის, რომ რეისები უფრო ხელმისაწვდომი გახდა, **ძალიან დიდი დახმარებაა.** ძალიან მიხარია, რომ უშუალოდ **პრემიერ-მინისტრისგან** გავრცელდა ეს განცხადება.

„რეზონანსი“

**ბუდუ ზივზივაძე**
*საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი*



თუ დავიმსახურეთ ევროპაზე ყოფნა, ეს ნიშნავს, რომ **ჩვენც ძლიერი გუნდი ვართ. ვიბრძოლებთ ბოლომდე.** პირობას ვდებ, რომ თამაშს არაფერს დავაკლებ.

„TV იმედი“

**თემურ მაისურაძე**
*ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*



ზოგიერთი **თანამედროვე რობოტი** ზედმიწევნით ჰგავს ადამიანს — **შეუძლია ტრანსპორტში ავიდეს, ქუჩა გადაკვეთოს, მაღაზიაში შევიდეს** და ა.შ. **რობოტს** შეუძლია იმუშაოს მტვირთავად, მოლარედ, ბანკის ოფიცრად, **შეუძლია აინშტაინის გარეგნობა ჰქონდეს და ლექციები ნებისმიერ უნივერსიტეტში წაიკითხოს,** ხუთ წუთში ამოგიღოთ 32-ე კბილი და ისევ ჩაგისვათ, რომ თვალის დახამხამებაც ვერ მოასწროთ. **ქირურგი რობოტები გულის და ტვინის უნიკალურ ოპერაციებს აკეთებენ,** რომელზეც შეიძლება ყველაზე გამოცდილ ქირურგსაც ხელი აუკანკალდეს. იგივე უნდა ითქვას ადვოკატებსა და ტელეწამყვანებზე; **ხელოვნური ინტელექტის მქონე რობოტი არცერთ პროცესს არ წააგებს და სხვა ადვოკატებს დიდ კონკურენციას გაუწევს.** ისიც ცნობილია, რომ სამხრეთ კორეაში **რობოტს უკვე მიჰყავს საინფორმაციო გადაცემები.** მათ შეუძლიათ ისეთი ფილმები გადაიღონ და ისეთი როლები შეასრულონ, რასაც ვერცერთი ადამიანი ვერ შეძლებს.

„კვირის პალიტრა“

**ელგუჯა მელაძე**
*დამსაქმებელთა ასოციაციის თავმჯდომარე*



დღეს ჯობია, **იყო კარგი ტრაქტორისტი, ვიდრე ისტორიკოსი** და არ გქონდეს სამუშაო.

„ახალი თაობა“

*დასაწყისი იხილეთ „ასავალ-დასავალი“ №14-16*



# ირაკლი ზაქარეიშვილი: საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა უცხო ქვეყნების ინტერესებს არის მორგებული და ორიენტირებულია ჩვენი მოქალაქეების ძარცვაზე!



***ვაგრძელებთ პუბლიკაციათა ციკლს ადვოკატთან და უფლებადამცველთან ირაკლი ზაქარეიშვილთან საქართველოსთვის თავსმოხვეული დასავლური კანონმდებლობის შესახებ, რომელიც არც ქართველი ხალხის ნებას მიესადაგება და არც მის ხასიათს:***

— საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა უცხო ქვეყნების ინტერესებს არის მორგებული და ორიენტირებულია ჩვენი მოქალაქეების ძარცვაზე. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაც თავიდან ბოლომდე რეპრესიულია, ხოლო საგადასახადო კოდექსი იმ სირთულით არის ჩამოყალიბებული, რომ უბრალო მოკვდავი ვერაფერში გაერკვეს. **სოფლის მეურნეობის მხრივ თუ სხვა მიმართულებით, კანონმდებლობა იმგვარად არის მორგებული, რომ ქართველი ხალხი გაღარიბდეს, დარჩეს საკუთრების უფლების გარეშე და ფიზიკურად დაავადდეს.**

**— ფიზიკურად დასნებოვნებაში რას გულისხმობთ?**

— მაგალითად, ვერცერთ სხვა ქვეყანაში ვერ ნახავთ აფთიაქების ისეთ სიმრავლეს, როგორიც საქართველოშია.

## ქვეყანაში მოქმედებს ფარმაკოლოგიური მაფია, ექიმები გადასული არიან ქართული წარმოების პრეპარატების გამოწერაზე, რომლებსაც სამედიცინო ეფექტი, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ.

ამასთან, თითქმის ყოველი საკვები პროდუქტი არის ფალსიფიცირებული, გენმოდიფიცირებული და შხამქიმიკატებით გაჟღენთილი.

მეცნიერებმა დათვალეს, რომ საქართველოს ყოველგვარი იმპორტის გარეშე შეუძლია, მხოლოდ საკუთარ საზღვრებში იმდენი საკვები პროდუქტის მოყვანა, რომ 27 მილიონი ადამიანი გამოკვებოს. ამის მიუხედავად, წიაღისეულით, წყლის და ნებისმიერი რესურსით უმდიდრეს ქვეყანაში ხალხი მაინც ღარიბია. **ამბობენ, ხალხს შრომა ეზარებაო, მაგრამ კანონმდებლობა იმგვარად არის მოწყობილი, პროდუქტის უცხოეთიდან შემოტანა გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ადგილზე ამ პროდუქტის წარმოება და, შესაბამისად, შრომა აზრს კარგავს.** ეს ყველაფერი სპეციალურად კეთდება, საბაჟო კანონმდებლობაც დასავლეთის ინტერესებთან არის შესაბამისობაში.

**— პოლიტიკური თვალსაზრისით რაღა ხდება?**

— მეტი რაღა უნდა მოხდეს, როცა საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერეს ვალდებულება, რომ საქართველო ევროკავშირისა და ნატოს წევრობისკენ ისწრაფვის! ასეთი პრეცედენტი არცერთ სახელმწიფოში არ ყოფილა, ვინაიდან, ამქვეყნად მუდმივი არაფერია, შესაბამისად, ევროკავშირიც და ნატოც შესაძლოა, დაიშალოს, მაგრამ ეს ფარისევლური და პირმოთნე ჩანაწერი, რომელსაც, სხვათაშორის, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სულაც არ ეთანხმება — დარჩეს სამარცხვინო მოგონებად.

ე.წ. კოლექტიური დასავლეთი, ანგლოსაქსების გლობალური სისტემა უკვე 500 წელზე მეტია, მსოფლიოს ხალხებს ძარცვავს. როცა ამბობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის სახელმწიფოები ძლიერები არიანო, უნდა მოხდეს ანალიზი, თუ რის ხარჯზე აქვთ მათ ძალა. პირდაპირ გეტყვით — **კოლონიების ძარცვის ხარჯზე!**

**— როგორც ჩანს, მიიჩნევთ, რომ საქართველო ერთგვარი კოლონიაა?**

— კოლონიალიზაციის ერთგვარი გამოვლინებაა ფინანსური დაკაბალება და გრანტები, რომლებსაც უხვად გვაყრიან თავზე, თუმცა, არცერთ იმ სფეროს არ ხმარდება, რომელიც საქართველოს ეკონომიკისათვის არის მნიშვნელოვანი. სამაგიეროდ, უხვად იხარჯება ამორალური და ანტიქრისტიანულ-ანტიზნეობრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად. ამასთან, ყოველ გრანტს აქვს მიზნობრიობა, რომლის ფარგლებშიც, ქვეყანამ მხოლოდ გრანტის დონორთან უნდა შეიძინოს პროდუქცია. გადახედეთ ბანკების შემოსავალს! **ბანკების მმართველებად, სიმბოლურად, ქართველები ინიშნებიან, თუმცა, მესაკუთრეები და სამეთვალყურეო საბჭოების წევრები უმეტეს შემთხვევაში უცხოელები არიან!** ქართველებს ჩვენი გვგონია ეს ბანკები, რომლებიც სინამდვილეში თავიდან ბოლომდე უცხოელების კონტროლს ექვემდებარება! მოგებაც, შესაბამისად, დასავლელი ბანკირების ჯიბეში ილექება. **დიახ, ისინი ძარცვავენ ჩვენს საზოგადოებას, ხოლო მიკროსაფინანსოებს მრავალმილიარდიანი სუფთა მოგება აქვთ.** ამას ემატება მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში კორუფციის საფუძველზე გამდიდრებულმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა და სახელმწიფოს ჩინოვნიკებმა გახსნეს. **ფაქტობრივად, საქართველოში მათი ფული ტრიალებს, ხდება კორუფციული გზით ნაშოვნი ფულის გასესხება მოქალაქეებზე, რომელიც ხშირ შემთხვევაში ქონებას კარგავს.**

# „ხელისუფლებიდან ღალატის სუნი მცემს!“

**— მოქალაქე კი სამართლებრივად უძლურია, განუკითხაობას წინ აღუდგეს.**

— დიახ, ამ ბანკებს სასამართლოებში, განსაკუთრებით, უზენაეს სასამართლოში — მათი ნების გამტარებელი მოსამართლეები ჰყავთ. მოქალაქემ პირველ ინსტანციაში დავა თუნდაც მოიგოს, უზენაეს სასამართლოში მას დახვდება მოსამართლე, რომელიც საქმეს რატომღაც მხოლოდ ბანკის სასარგებლოდ გადაწყვეტს! ეს არის სისტემა, რომლის მიხედვით, ერთი მუჭა უმცირესობა თავზე აზის და საკუთარ ინტერესებს თავს ახვევს უმრავლესობას. ასეთი სისტემის საფუძველზე უმცირესობას თუ მოუნდება, ქალაქს გადაწვავს, გადატრიალებას მოაწყობს — ყველაფერი მათ მხარდასაჭერად არის მოწყობილი. დასავლეთიდან თავს მოხვეული „გეი ლიბერალიზაციაც“ ერთი მუჭა უმცირესობის ინტერესებს ემსახურება, ხოლო კანონი მათი თავგასულობის წამახალისებლად არის დაწერილი. ძველებურად ძალაშია მოცემულობა: **აირჩიე ოცნება, თორემ ნაცი მოვა!** არადა, ნაცები საქართველოში უკიდურეს უმცირესობაში არიან, მათ მოსახლეობაში მხარდაჭერა, ფაქტობრივად, აღარ გააჩნიათ! ამის მიუხედავად, „ოცნება“ დასავლეთიდან მოთხოვნის საფუძველზე ნაცებს პოლიტიკურ ასპარეზზე ტოვებს, სამაგიეროდ, კონსერვატიულ პლატფორმას პრობლემებს უქმნის.

**— მედალს მეორე მხარე აქვს. შეიძლება, სწორედ ასეთი სისტემის სანაცვლოდ, საქართველომ თავიდან აიცილა ომი.**

— საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციის თავიდან აცილება გულწრფელად რომ სურდეს, ამ ეტაპზე მაინც თავს შეიკავებდა ნატოს სამხედრო ბლოკთან ფლირტისგან. არადა, სულ ახლახან, საქართველომ ნატოს ეგიდით სამხედრო წვრთნებში მონაწილეობის მისაღებად ქართველი სამხედროები რუმინეთში გაგზავნა. ეს მაშინ, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ არაერთხელ გამოხატა მინიშნება საქართველოსთან მოლაპარაკებების მზადყოფნასთან დაკავშირებით. **რა გამოდის? ჩვენ ვაგრძელებთ თანამშრომლობას მხარესთან, რომელიც აქტიურად ემზადება რუსეთთან ომისთვის და ეს ნამდვილად არ არის საქართველოს ინტერესებში, თუმცა, საქართველო მაინც რჩება დასავლეთის ინტერესების სამსახურში.** წარმოიდგინეთ, საქართველოს ხელისუფლებას იმისი საშუალებაც არ ეძლევა, შეიარაღებული გადატრიალების პრევენცია მოახდინოს!

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— ადრე სახელმწიფო კანცელარიას რკინის ღობე ჰქონდა შემორტყმული. **ეს იყო საჭირო და აუცილებელიც!** უცხო ქვეყნების კანონმდებლობაში სამთავრობო შენობებთან აქციების ჩატარება შეუძლებელია, სხვადასხვა ქვეყანაში დაწესებულია სხვადასხვა დისტანცია, რომლის გადალახვაც აქციის მონაწილეებს ეკრძალებათ. **საქართველოში ყველას შეუძლია, მთავრობის კანცელარია და პარლამენტი ალყაში მოაქციოს და**

## „საქართველოში ყველას შეუძლია, მთავრობის კანცელარია და პარლამენტი ალყაში მოაქციოს და ხელისუფლების წარმომადგენლებს სამუშაო ადგილებისკენ გზა გადაუკეტოს!“

## კვირგვინოსნები

### ლალი მოროშკინა
*ჟურნალისტი*



ამისთვის ვიბრძოლეთ 2012-იანელებმა? ქვეყანა, სადაც **ძაღლის ყეფა** საყვარლობაა, **მამაკაცის ხმამაღალ საუბარზე** საპყრობილეა! კარგად ხომ ხართ? გადაივსო ციხეები! **თუ ძაღლი გიღრენს** — მოითმინე, გიყვარდეს უმცროსი მეგობარი. **თუ კაცი გიღრენს** — დააჭერინე! **თუ ძაღლმა გიკბინა** — შენი ბრალია, გვერდი ვერ აუარე? **თუ მამაკაცმა გიყვირა** — სისხლის სამართლის დამნაშავეა. **თუ ძაღლმა დაგგლიჯა** — მაინც შენი ბრალია, ალბათ, გააღიზიანე. **თუ მამაკაცი შეგეხო** — 2-დან 5 წლამდე. **თუ მეზობლის ძაღლი არ გაძინებს,** ყურსასმენის დანიშნულება არ იცი? **თუ მამაკაცი არ გაძინებს** — კასტრირებას დაუქვემდებარე! ძაღლებს ადვოკატები მრავლად ჰყავს, აი, **ფემიციდმა და უაზრო კანონებმა ჩვენი ბიჭები ტყვეებად აქცია.**

„ალია“

### ნინო წილოსანი
*პარლამენტარი*



ის, რაც ცივილიზებული სამყაროს ქვეყნებისთვის არის კანონმდებლობა და **სწორი რეგულაციები ჰქვია,** ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში ვერ იქნება **„რუსული კანონი“.**

„რეზონანსი“

### ლაშა ჩხარტიშვილი
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



ევროკავშირმა **ნისიად მოგვცა** სტატუსი.

„ახალი თაობა“

### მამუკა გამყრელიძე
*„ევროპელი დემოკრატების“ გენერალური მდივანი*



ხალხმა უნდა იპოვოს თავის თავში ძალა და **გაუშვას ეს ხელისუფლება და ეს ოპოზიციაც,** ჩემი ჩათვლით თუნდაც.

„ახალი თაობა“



თბილისი. 2023 წლის 7 მარტი: სპეცრაზმი თავს იცავს მომიტინგეების მიერ ნასროლი „მოლოტოვის კოქტეილებისაგან“

# „დასავლეთს 200-300 ადამიანი მუდმივად ჰყავს სისხლიანი პროვოკაციის წამოსაწყებად!“

**ხელისუფლების წარმომადგენლებს სამუშაო ადგილებისკენ გზა გადაუკეტოს.**

ამის შემდეგ „მოლოტოვის კოქტეილებამდე“ ერთი ნაბიჯია! **უკვე გვაქვს სახელმწიფო შეიარაღებული გადატრიალების წარუმატებელი ორი მცდელობა და აუცილებელია, სამთავრობო დაწესებულებები კანონის ფარგლებში იყოს დაცული. ჩვენთან კი, სწორედ წინასაარჩევნოდ, კანცელარიას რკინის ჯებირი მოხსნეს, რათა ნაცებს და მათ ორბიტაზე მყოფ ბრბოს შევარდნა გაუმარტივონ!**

საქართველოში მოქმედი არასამთავრობოების ლიბერასტული სპექტრი უცხოეთიდან ფინანსდება გამოკვეთილი მიზნით, რომ საქართველოში საჭირო მომენტში გამოიწვიონ დესტაბილიზაცია. ნებისმიერ ღირსეულ ქვეყანას გააჩნია კანონი გაცილებით მკაცრი მოთხოვნებით, რომლის ფარგლებშიც თავს იცავს **უცხოეთის გავლენის აგენტების** პარპაშისგან. ჩვენთან კი ეს რეზიდენტები მხილების მცდელობას იმით უპირისპირდებიან, რომ აღნიშნულ კანონს **„რუსულ კანონად“** ნათლავენ.

ხალხი მშიერია. ძალზე ადვილია, რეზიდენტებმა მშიერ ადამიანებს 50-50 ლარი დაურიგონ და იმ ილუზიის შესაქმნელად, თითქოს მასების მხარდაჭერით სარგებლობენ, ეს მშიერი ხალხი ქუჩაში დააყენონ. **ასეთ მასაში დასავლეთს 200-300 ადამიანი მუდმივად ჰყავს სისხლიანი პროვოკაციის წამოსაწყებად.** უფრო მეტიც, 2-3 ათასი პროვოკატორიც ეგულება, რომლებიც „მოლოტოვის კოქტეილებით“ და იარაღით დაუპირისპირდება ხელისუფლებას. **გადატრიალებისთვის მეტი რაოდენობა არც არის საჭირო. მერე უკვე მასობრივი დეზინფორმაციის საშუალებები გაავრცელებენ სიუჟეტებს, თითქოს საქართველოში სახალხო ამბოხი დაიწყო. სინამდვილეში კი, ეს იქნება მოსახლეობის აბსოლუტური უმცირესობის შეიარაღებული აგრესია აბსოლუტურ უმრავლესობაზე, ძალაუფლების მიტაცების ჩათვლით!** აი, ასეთი საქმიანობისთვის იღებენ უცხოეთიდან ფულს და გაშმაგებით იბრძვიან, რათა დეკლარაციებშიც არ აისახოს, ვინ და რამდენს აძლევთ! ესეც ერთ-ერთი აშკარა მაგალითია იმისა, დასავლეთი უმცირესობების საშუალებით კოლონიებში როგორ აკონტროლებს უმრავლესობებს!

ხელისუფლებას შეეძლო, აღნიშნული კანონი დაჩქარებული წესით მიეღო, როგორც სხვა კანონები არაერთხელ მიუღიათ, მაგრამ ამჯერად ჯერ დააინიცირეს, მერე ერთი მოსმენა, მეორე მოსმენა... **თითქოს დროს შეგნებულად წელავენ, უმცირესობას დესტაბილიზაციის შანსს აძლევენ! ჩვენი ხელისუფლება ორმაგ თამაშს თამაშობს: ერთი მხრივ, თითქოს ცდილობს, რეაქციული დასავლეთის სამართლებრივი დიქტატისგან თავი დაიძვრინოს; მეორე მხრივ, კვლავ ამ რეაქციულ დასავლეთზე აქვს სწორება და, ამასაც პირდაპირ გეტყვით — ხელისუფლებიდან ღალატის სუნი მცემს!**

**— და მაინც, რატომ არის ხელისუფლება მონდომებული, უცხოეთის გავლენის აგენტების გამოვლენის შესახებ კანონი მიიღოს?**

— სხვაგვარად ძალაუფლებას კარგავენ, ვერ უმკლავდებიან უცხოეთიდან დაფინანსებული რეზიდენტების მიერ ადამიანების მოსყიდვის მასშტაბებს და მათი მხრიდან რევოლუციისთვის აშკარა სამზადისს. ეს ის შემთხვევაა, როცა ხელისუფლების და საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. **სახელმწიფოზე კი არ ზრუნავენ, საკუთარი ძალაუფლების გადასარჩენად იბრძვიან და სხვა გზა არც აქვთ. ლიბერასტები „ოცნების“ ხელისუფლებას თუ დაამხობენ, მათ გასაქცევი გზა არც რუსეთისკენ ექნებათ, არც — დასავლეთისკენ!**

**— ჩვენ კი გვიწერია კონსტიტუციაში, რომ ევროკავშირისკენ და ნატოსკენ ვისწრაფვით, მაგრამ ეს ინსტიტუტები რამდენად ხანგრძლივად იარსებებენ?**

— ყველა ნიშნის მიხედვით, მსოფლიოს ხალხებზე ევროკავშირისა და ნატოს ძალმომრეობის დასასრული ახლოვდება. როგორც კი უკრაინაში რუსეთი ომს მოიგებს, პლანეტაზე ანგლოსაქსური იმპერიის ათასწლოვანი ბატონობაც დასრულდება. ამას რომ გრძნობენ, იმიტომაც არიან ყველაფერზე წამსვლელები. მათ გავლენას ჩვენ თვალწინ თავს აღწევენ რუსეთი, ჩინეთი, ირანი, მთელი ახლო აღმოსავლეთი, აფრიკა, სამხრეთ ამერიკა... **ასპარეზზე ჩნდებიან მსოფლიოს ახალ-ახალი პოლიტიკური ცენტრები. მთელი მსოფლიო აღდგა ერთი მუჭა ბანდიტების წინააღმდეგ და მალე ადგილსაც მიუჩენენ!** საქართველოს კი კონსტიტუციის იმ ჩანაწერის შეცვლა უახლოეს მომავალში მოუწევს!

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***



კოლექტიური ლაზარეების აქცია მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან ლოზუნგით: „მე ვისროლე „მოლოტოვის კოქტეილი“!



## მაია ნიკოლაიშვილი

# საბრალო ზომბების შესახებ



***ამერიკული FARA საქართველოს ტერიტორიაზე რუსულია! შინაარსში არ შედიან, რუსულია და მორჩა! მათთვის დედამიწა ბრტყელია, მსჯელობაში არ შემოდიან! მათთვის რეპტილოიდები ყველაზე დიდი საფრთხეა, რუსეთის შემდეგ! ადრე მოაზროვნე ადამიანები ფიქრობდნენ, რომ ტვინის ხვეულების სიღრმეს შეიძლება კავშირი ჰქონოდა ნიჭთან ან ინტელექტთან. — არა და არა!!! ნიჭი და ინტელექტი მხოლოდ თავისუფალი ადამიანის ბედისწერა და ბედნიერებაა და არა ზომბის.***

კოგნიტური იარაღის მსხვერპლი ჯერ არათავისუფალი ხდება, მერე იჯერებს, რომ უიღბლოა, მერე აღიარებს, რომ წარუმატებელია და რომ მისი წარუმატებლობა სხვისი ბრალია და ეს „სხვა“ არის ქვეყანა, წყობა ან მთავრობა!

**მივიღეთ ზომბი!**

საბრალო ზომბი ისეა ემოციურად აბობოქრებულ-ადუღებული და ისეა ინტელექტუალურად გასადავებული, რომ კითხვასაც ვერ დასვამს — **დავუშვათ, მთავრობა შეიცვალა, ვიქნები წარმატებული ან შეძლებულიო!**

ჩვენ ვიცით, რომ არა! მისი წარუმატებლობის, არამოტივირებულობის, სიზარმაცის, გულგრილობის მიზეზი მასშია და იმიტომ... მას კი სხვისი ბრალი ჰგონია.

**საბრალო ზომბი კითხვასაც ვერ უსვამს საკუთარ თავს და პასუხი საიდან ეცოდინება...**

**მას ხომ წაკითხვის, შინაარსში შესვლის, გააზრების, გაანალიზების და შეჯერების უნარი წაართვეს... კრიტიკული აზროვნების უნარი დაუბლაგვეს.**

საბრალო ზომბი...

**ამერიკული კანონი რუსულია და მორჩა! „რატომ?“ — ეს კითხვა ზომბს არ უჩნდება, უფრო სწორად, ვერ უჩნდება... მისთვის დედამიწა ბრტყელია და მორჩა, აბა, დაუმტკიცე საწინააღმდეგო! გიკბენს... როგორც გარეული... ცხოველი...**

საბრალო ზომბი...

**ისე, რამდენი დააზომბირეს, „დააბეტონეს“ და „დააკონტეინერეს“ ამ შობელძაღლებმა!**

საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციებისთვის მართლაც რომ პასუხისგებაში მიცემის ღირსი ხართ, **თქვე ტელეურჯულოებო!**

## კვირგვინოსნები

**ავთანდილ ენუქიძე**
*პარლამენტარი*



**კისერი უტეხიათ რუსეთსაც და ამერიკასაც,** ვისაც შემოაქვს ფული, თავისი ინტერესებისთვის უნდა — **ვითხოვ, გამჭვირვალობა იყოს ყველაფერში.** ვერ მომაკერებთ, რომ რუსეთის მხარეს ვარ, **ყველა ომში ვმონაწილეობდი** და იმათთვისაც მიუღებელი ვარ.

„აიპრესი“

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



ამომრჩეველი ოპოზიციურია, მთავარია, **ოპოზიციაც გახდეს ოპოზიციური!** „ოცნება“ **კანონს გაათრევს თუ ვერ გაათრევს,** საქართველოს არც დაცემა და არც გაბრწყინება ამაზე არ გადის. **საქართველოს მომავალი წელს, ოქტომბრის არჩევნების შედეგებზე გადის.**

„ახალი თაობა“

**რომან გოცირიძე**
*„ევროოპტიმისტების“ დეპუტატი*



ხელისუფლება ვალდებულია, გაითვალისწინოს, „რა ხდება ცის კაბადონზე“ — **ნუ გაიჩალიჩებთ დამხობასო, გვაფრთხილებენ ვარსკვლავები,** რაც მოხდება, თქვენს თავს დააბრალეთ!

„აიპრესი“

**ირაკლი აბსანძე**
*ჟურნალისტი*



2012 რომ იყოს, **ისევ იმ „ოცნებას“ მივცემდი ხმას,** რამეთუ თქვენი ზონიდან გასული კერპი **იმაზე უარესებს დაატრიალებდა,** რაც დღეს ხდება.

„აიპრესი“

**სანდრო რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი*



**გიორგი მარგველაშვილის** განცხადებებს მაშინ **არ ჰქონდა ფასი,** როცა პრეზიდენტი იყო და ახლა — მითუმეტეს.

„პირველი არხი“

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ИГОР КВЕСЕЛАВА*

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა კატეგორიულად აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ ძირითადად სისხლაღრეული და გვარგადაკეთებული „ქართველობა" აღდგა:*



## *იგორ კვესელავა:*

# ყველას, ვინც ზვიად გამსახურდიასა და მისი ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ სიტყვით თუ საქმით იბრძოდა, პოლიტიკური საქმიანობა უნდა აეკრძალოს!

— ის, რაც ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დროს მოღალატეებმა საქართველოს და მის პირველ პრეზიდენტს დამართეს, ქვეყნის გამოწვევად დღესაც რჩება. სწორედ ამიტომ ვსაუბრობთ იმ ეპოქაზე ასე დაწვრილებით და მიგვაჩნია, რომ ჩვენი საგაზეთო ინტერვიუები ეს არის ერთგვარი პრევენცია იმ უბედურების აღსაკვეთად, რომელიც საქართველოს ისევ და ისევ ჩვენი გაუტანლობისა და საშინელი დაპირისპირების გამო დღესაც ემუქრება! ცხადია, ისიც კარგად გვესმის, რომ ისტორიისგან ვერცერთმა ხალხმა და ხელისუფლებამ ვერასდროს ვერაფერი ისწავლა.

**დღეს საქართველო ე.წ. სტრატეგიული პარტნიორების მიერ ჩაყენებულია სამარცხვინო მდგომარეობაში.** კერძოდ, ჩვენ კარში ბურთის დარტყმის უფლება არ გვაქვს, რადგან ბურთი სხვის ხელშია, ხოლო ჩვენს კარში ბურთებს გვირტყამენ და გვირტყამენ. **არ ვიცი, რამდენი კაცი უნდა ჩავაყენოთ კარში, რათა ე.წ. სტრატეგიული პარტნიორების მიერ დარტყმული პენალტები მოვიგერიოთ!**

1991 წლის 26 მაისს, როცა **ზვიად გამსახურდია** პრეზიდენტად აირჩიეს, **გიორგი ჭანტურიას** „ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ" გაავრცელა უბინძურესი ღია წერილი, რომელსაც ხელი მოაწერა ე.წ. „მთავარი კომიტეტის" ყველა წევრმა.



**— მაინც რა ეწერა იმ წერილში?**

— **გიორგი ჭანტურია** გმობდა საპრეზიდენტო მმართველობას, გმობდა პრეზიდენტის ინსტიტუტს და საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულ **ზვიად გამსახურდიას** იმავე დღესვე მოუწოდებდა, გადადექიო! ცნობილია, რომ საპრეზიდენტო მმართველობისთვის მაინცდამაინც არც **ზვიად გამსახურდია** იკლავდა თავს, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში საქართველოსთვის პრეზიდენტის ინსტიტუტი ძალიან ეფექტური მმართველობის სისტემა იყო.

**— კიდევ ვინ მოაწერა ხელი გიორგი ჭანტურიას ღია წერილს ზვიად გამსახურდიასადმი?**

— წერილს ხელს აწერენ **გიორგი ჭანტურია, ირინა სარიშვილი, გურამ ჩახვაძე, თენგიზ შარმანაშვილი, დავით კვარაცხელია, გიორგი ზუმბაძე, მიხეილ ჭყოიძე და ირაკლი ქადაგიშვილიც,** რომელიც დღევანდელი პარლამენტის ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარეა. ასე რომ, ანგელოზი დღევანდელ პარლამენტში არავინაა. **აი, ასეთ სიტუაციაში ჩვენ რას ველოდებით და რას ვთხოვთ ამ ხალხს — ზვიად გამსახურდიას 85 წლის იუბილეს სამთავრობო დონეზე აღნიშვნას?** არ იქნებოდა ეს ამბავი და არც მოხდა.

ამ ამბიდან მეორე დღეს, ანუ **1991 წლის 27 მაისს** უკვე **ჯაბა იოსელიანმა** გააკეთა საჯარო განცხადება ოპერის ბაღიდან და **გიორგი ჭანტურიას** მსგავსად, საპრეზიდენტო ინსტიტუტის გაუქმება მოითხოვა! ჯაბა იოსელიანის ამ განცხადებას მხარი დაუჭირეს: **ვახტანგ გოგუაძემ, კოტე გაბაშვილმა, გოკა გაბაშვილმა, ვახუშტი კოტეტიშვილმა, მამუკა არეშიძემ, ვალერიან ადვაძემ, აკაკი ბაქრაძემ, თამაზ კვაჭანტირაძემ, ზურაბ კიკნაძემ, გურამ თევზაძემ, ნოდარ ლომოურმა, ოთარ ლითანიშვილმა, ჭაბუა ამირეჯიბმა, გურამ ფანჯიკიძემ, ლევან ღვინჯილიამ, რუსუდან ბერიძემ, კობა იმედაშვილმა, მზექალა შანიძემ, გოგა ხაინდრავამ, ლაშა თაბუკაშვილმა, დავით მჭედლურმა, გურამ გეგეშიძემ, მურმან ჯგუბურიამ, ძმებმა ზაურ და გენო კალანდიებმა, ციალა არდაშელიამ, ზურაბ თორიამ...** ამ ხალხმა ყველაფერთან ერთად მოითხოვა პროგრამა „ვრემიას" ტრანსლაციის აღდგენაც, რომელიც ზვიად გამსახურდიამ გააუქმა. პარალელურად, თითქოს ვიღაცამ ჯადოსნური ჯოხი აიქნიაო, **ჯანსუღ ჩარკვიანმა და რეზო ამაშუკელმა** დააფუძნეს „თბილისელი", რომელიც შეიარაღებული ორგანიზაცია იყო. „თბილისელი" ავტომატებით „რუსთაველის საზოგადოებიდან" მარაგდებოდა, რომლის ხელმძღვანელიც **აკაკი ბაქრაძე** იყო.

**— „რუსთაველის საზოგადოებას" ავტომატები საიდან ჰქონდა?**

— „რუსთაველის საზოგადოებას" უზარმაზარი ფული ჰქონდა. ეს იყო უბრალო ადამიანების მიერ გაღებული შემოწირულობები, რომელიც საქართველოს აღორძინებას უნდა მოხმარებოდა, მაგრამ ამ ფულით პუტჩისტებმა შეიძინეს იარაღი, რათა საქართველო დაექციათ. იარაღის შესაძენად ბანდიტებს სხვა არხები და საშუალებებიც ჰქონდათ. **შეიქმნა სიტუაცია, როცა ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ ძირითადად სისხლაღრეული და გვარგადაკეთებული „ქართველობა" აღდგა!** ძირითადად აქ ვგულისხმობთ სომხებს. 1921 წელს 350-ათასკაციან თბილისში 140 ათასზე მეტი სომეხი იყო და მხოლოდ 37 ათასი გახლდათ ქართველი. ეს ხალხი არსად გამქრალა, მათ გვარები გადაიკეთეს, თორემ ისევ სომხებად დარჩნენ. ბანდიტებმა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ საბრძოლველად თბილისის ცენტრი დაინაწილეს. ასე, მაგალითად, „კინოს სახლში" ბობოქრობდნენ: **ვახტანგ კიკაბიძე, ელდარ შენგელაია, გოგი დოლიძე, მანანა გიგინეიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ემზარ კვიტაიშვილი.** ამ ჯგუფს პარიზიდან გულშემატკივრობდა **ოთარ იოსელიანი.** ამავე ჯგუფში მოიაზრებოდნენ **თემურ ბაბლუანი** და ცნობილი მსახიობი **ნოდარ მგალობლიშვილი.** ცნობილმა კინორეჟისორმა **რეზო ესა-**



აკაკი ბაქრაძე

# „აკაკი ბაქრაძემ მარჯანიშვილის თეატრი იარაღის საწყობად გადააქცია!"

## კვირგვინოსნები



**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*

ისე მოხდა, რომ **ბორის ელცინისა** და 9 აპრილის ოპერაციის უშუალო ხელმძღვანელის, **გენერალ იგორ როდიონოვის** საუბარს დავესწარი. 19 თუ 20 აპრილი იყო. **არასდროს დამავიწყდება, რა დღეში ჩააგდო ელცინმა როდიონოვი, ეჩხუბებოდა, ეს რა გააკეთეო, საშინელი სიტყვებით გალანძღა.** მან მიზანმიმართულად დამტოვა, რომ მენახა, როგორ ეჩხუბებოდა როდიონოვს. შეიძლება სპექტაკლიც გათამაშდა, რათა ხალხისთვის მეამბნა. მთავარი ის იყო, **კაცი, რომელმაც ეს ტრაგედია დაატრიალა, უაღრესად დაამცირეს, ფეხქვეშ გათელეს.** ისე, **როდიონოვს** სახეზე რომ შეხედავდი, ვერ იფიქრებდი, რომ ეს სპექტაკლი იყო.

„კვირის პალიტრა"



**ზაალ მიქელაძე**
*„ხალხის ძალის" „მთავარი კომიტეტის" წევრი*

9 აპრილს რატომ ვიბრძოდით და რატომ დაგვეღუპა ის გოგო-ბიჭები? იმიტომ, რომ **ქვეყანა ასკინკილათი არ ყოფილიყო ერთი ცენტრის — კრემლის ბრძანებაზე დამოკიდებული,** ახლა კი აღმოჩნდა, რომ **მეორე ცენტრი უნდა არსებობდეს?**

„აიპრესი"



**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*

**რატომ არ უნდათ არასამთავრობოებს ამ კანონის მიღება და ასე მწვავედ რატომ რეაგირებენ,** ეს კითხვა სავსებით ლოგიკურია. ვინც ამ კანონის წინააღმდეგია, მათ ინტერესშია **გაუმჭვირვალე მდგომარეობა.**

„კვირის პალიტრა"



# გენერალი ანზორ მაისურაძე:

# ინტელიგენციიდან, ვინც 30-იანი წლების რეპრესიებს გადაურჩა, მეტ-ნაკლებად ყველა თანამშრომლობდა უშიშროებასთან!





## ვაჟა ადამია:

**ყველა ვალდებულია, დადებითად შეაფასოს შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლა, რადგან მისი პოლიტიკური ნიჭი და უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტი სწორედ რომ ჰაერივით სჭირდება ეკონომიკურად დანგრეულ და პოლიტიკურად გათიშულ საქართველოს!**

## „შეიქმნა სიტუაცია, როცა ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ ძირითადად სისხლაღრეული და გვარგადაკეთებული „ქართველობა“ აღდგა!“

**ძემ** საქვეყნოდ ცნობილ მსახიობს **ზურაბ ქაფიანიძეს** დაურეკა და ერთი ამბავი დააწია — **რას გამოკეტილხარ სახლში, იარაღი აიღე ხელში და გამოდი გამსახურდიასა და მისი ლეკვების ჩასახოცად... თუ ავტომატი არ გაქვს, აგერ ჩვენ მოგცემთო!** ზურაბ ქაფიანიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ამ უბედურებაში არ გარეულა. მოგვიანებით **რეზო ესაძემ** ეს ყველაფერი მოინანია და ზვიად გამსახურდიაზე თქვა — **საქართველოს ეკლესია წმინდანად შერაცხავსო!** — მაგრამ ამასობაში საქართველო დაიქცა და დაიღუპა. **აკაკი ბაქრაძემ** მარჯანიშვილის თეატრი იარაღის საწყობად გადააქცია!

**— პირადად აკაკი ბაქრაძე არიგებდა იარაღს თუ რა ხდებოდა?**

— არც უმაგისობა იყო. ისე, „კინოს სახლში“ ერთი ცნობილი ქალბატონი არიგებდა იარაღს. საქმე ის გახლავთ, რომ **აკაკი ბაქრაძე** „რუსთაველის საზოგადოებას“ რომ ხელმძღვანელობდა, პარალელურად მარჯანიშვილის თეატრის დირექტორიც იყო. აქედან გამომდინარე, ბაქრაძის თანხმობის გარეშე თეატრში იარაღი ვერ შევიდოდა. ოპერის კარვების ბანაკიდან, სადაც **ჯაბა იოსელიანი** შიმშილობდა, წარმოიშვა მისი შვილობილი ბანაკები. ასე, მაგალითად, ერთ-ერთი წინააღმდეგობის კერა შეიქმნა თეატრალური ინსტიტუტის შენობაში, სადაც დაბანაკდნენ **ირაკლი ქადაგიშვილი, ნესტან კირთაძე, ზურაბ ჟვანია, ხათუნა გოგორიშვილი, ზურაბ ნოღაიდელი, გიორგი ბარამიძე და გიორგი გაჩეჩილაძე.**

„იმელის“ შენობასთან „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ გამაგრდა. „იმელის“ შენობაში დაბინავდნენ **თამრიკო ჩხეიძე, ბორის კაკუბავა, ლუიზა შაკიაშვილი, ჯუმბერ კოპალიანი, გურამ ყორანაშვილი, ზურაბ ცინცაძე, ირაკლი მაჭავარიანი, ვახტანგ ძაბირაძე, თენგიზ შარმანაშვილი, ვახტანგ რჩეულიშვილი, ნოდარ ნათაძე, ვახტანგ ხმალაძე, რეზო შავიშვილი, გია ჟორჟოლიანი და ირაკლი შენგელაია.** ამ ჯგუფთან განსაკუთრებით ახლოს იდგა **თემურ ფიფია,** რომელიც ქუჩაში მეგაფონით გაჰყვიროდა — ზვიადმა შავნაბადაზე ათობით გვარდიელი ჩახოცა! ფიფია ხალხს ხელისუფლებაზე იერიშისკენ მოუწოდებდა...

1990 წლის 28 ოქტომბერს, როცა ზვიად გამსახურდიამ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში გაიმარჯვა, **გოგა ხაინდრავამ** მეგაფონით ამცნო საზოგადოებას — **„საქართველოში დაიწყო პუტჩი! მოქმედების დროა, ჩვენ ვილუპებით!“** მის გვერდით იდგა **ვალერი ვაშაკიძე** — შემდგომში პარლამენტარი და შევარდნაძის ერთ-ერთი მინისტრი. შექმნილ სიტუაციაში რადიკალური ოპოზიციის გვერდით დადგნენ ქართველი მწერლები; **ელგუჯა მაღრაძე, ჯუმბერ თითმერია, ლია ბედოშვილი, იზოლდა ჩილაძე, ზურაბ თორია, ციალა არდაშელია, ძმები კალანდიები...** პროცესს მიუერთდნენ და ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში წინა პლანზე აღმოჩნდნენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ე.წ. „პრესკლუბის“ აქტივისტები: **დათო ტურაშვილი, თედო ისაკაძე, ფიქრია ჩიხრაძე და ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი.**

**— შეიარაღებულმა ოპოზიციამ წინააღმდეგობის ერთ-ერთი მძლავრი კერა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსთანაც შექმნა!**

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბეზე დასხდნენ და „დიქტატორ გამსახურდიას“ გადადგომა მოითხოვეს **გიგა ბოკერიამ, გოკა გაბაშვილმა, გიორგი მაისურაძემ, დავით პაიჭაძემ, გიორგი მამულიამ და ზურაბ ჟვანიამ.**

**ვახტანგ კოტეტიშვილმა** ბანდიტებს თავისი სახლი დაუთმო, საიდანაც მთავრობის სასახლეს სნაიპერები ტყვიებს უშენდნენ. ცნობილი ქართველი რეჟისორი **გიგა ლორთქიფანიძე** კი ასეთ დაძაბულ და დრამატულ სიტუაციაში გამოვიდა და განაცხადა — **„გამსახურდია უნიათო მმართველია, ის დაუპირისპირდა საზოგადოების საუკეთესო ნაწილს — ინტელიგენციას და ეს ინტელიგენცია მას გადაიყოლებს!“**

მოგეხსენებათ, დიდი ქართველი მწერალი **კონსტანტინე გამსახურდია** ინტელიგენციას „ინტელექტუალურ ვასალებს“ უწოდებდა. ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები — აკადემიკოსი **მარიკა ლორთქიფანიძე,** პროფესორი **გიორგი ოთხმეზური,** კინორეჟისორი **გიგა ლორთქიფანიძე** და მსახიობი **ქეთევან კიკნაძე** პუტჩისტების ავანგარდში იდგნენ. ე.წ. ინტელიგენციის შესახებ ბევრი დაწერილა და თქმულა, მაგრამ ყველაზე უფრო უნივერსალურად მიმაჩნია საბჭოთა კაგებეს გენერლის **ანზორ მაისურაძის** განცხადება, რომლის თანახმადაც, **„ჩვენი ინტელიგენციიდან, ვინც 30-იანი წლების რეპრესიებს გადაურჩა, თითქმის ყველა თანამშრომლობდა სპეცსამსახურებთან!“** მაისურაძეს მოჰყავდა ნიკო მარის მაგალითი, რომელიც ბერიას აგენტი იყო.

1978 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ **რეზო ამაშუკელმა** გამოაქვეყნა პასკვილი **„ლამურები“,** სადაც დაწერა — **„მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია სოციალისტურ სამშობლოს რადიო „ამერიკის ხმასა“ და „თავისუფლებაში“ ლანძღავენ!“** უშიშროების თანამშრომელმა 80-90-იან წლებში **ნუგზარ სულაშვილმა,** რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობდა, ფეისბუქში ერთ-ერთ ცნობილ ქართველ პოეტზე ასეთი რამ დაწერა — **„ეს ცოცხალი მძორი იყო კაგებეს აგენტი, რომლის პირადი კარტოთეკის ასლი 1993 წელს გადმოსცა გურამ თვაურმა მისი გადამბირებლის პოლკოვნიკ გივი კოლიკაშვილის თანხმობით. მისი „ვერბოვკის“ სახელია „კაფკანა“.**

**— დიდ სისხლში აქვს ხელები გასვრილი ვაჟა ადამიასაც!**

— 1992 წლის 22 მარტს **ვაჟა ადამია** ლანჩხუთში სიტყვით გამოვიდა და ასეთი რამ განაცხადა — **„ყველა ვალდებულია, დადებითად შეაფასოს შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლა, რადგან მისი პოლიტიკური ნიჭი და უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტი სწორედ რომ ჰაერივით სჭირდება ეკონომიკურად დანგრეულ და პოლიტიკურად გათიშულ საქართველოს!“**

თუ რა სჭირდებოდა საქართველოს და სინამდვილეში რა ჩამოგვიტანა შევარდნაძემ, ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ 1993 წლის 6 მაისს საქართველოს პარლამენტმა **ჯაბა იოსელიანსა და თენგიზ კიტოვანს** მადლობა გამოუცხადა „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნასა და ჩამოყალიბებაში გაწეული უდიდესი დამსახურებისთვის“! საქმე ეხება იმ ჯარს, რომელიც 1993 წლის 27 ივლისს მტერს ოფიციალურად დანებდა და თავისი სურვილით განიარაღდა. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ 1992 წელს ზვიად გამსახურდია ბანდიტებმა უკანონოდ გამოაცხადეს და მის მომხრეებზე ნადირობა დაიწყეს! აი, სწორედ ამიტომ უნდა გასამართლდნენ ამის ჩამდენები და ყველას, ვინც ზვიად გამსახურდიასა და მისი ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ სიტყვით თუ საქმით იბრძოდა, პოლიტიკური საქმიანობა უნდა აეკრძალოს! **სანამ ეს არ მოხდება, საქართველოს საშველი არ იქნება!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ბათიაშვილი**
*პოლიტიკოსი*



ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ყველა მეგობარი, დიდი სახელმწიფოს ინტერესი, მათი რჩევები, მაგრამ **ახალი ცენტრალური კომიტეტები აქ არ გვჭირდება.** ჩვენ იმისთვის ვიბრძოლეთ, რომ აქ **ცენტრალური კომიტეტი** აღარ იყოს.

„TV იმედი“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ექსპერტი*



მე არასწორად მიმაჩნია, რომ **მთელი ენერგია აქციებს შევალიოთ და არჩევნებისთვის ძალაგამოცლილნი ვიყოთ.** სჯობს, უფრო მშვიდი პროტესტი იყოს, ყველანაირი ძიძგილაობისა და ზედმეტი დრამატიზმის გარეშე.

„რეზონანსი“

**ლაშა ქეზიაშვილი**
*ექსპერტი*



თუ კრემლში მიზნად დაისახეს **საბჭოთა კავშირის აღდგენა,** საქართველო იქნება პირველი და **ომი აქ აუცილებლად იქნება.**

„კვირის პალიტრა“

**ლელა ვეფხვაძე**
*9 აპრილის გმირი*



**ბიძინა ივანიშვილის მიერ ნაჩუქარმა ბინამ ჩემი ცხოვრება შეცვალა** — მინდა, საოცრად დიდი ბედნიერება ვუსურვო, **მან კიდევ არ იცის, რამხელა ბედნიერება მომანიჭა.**

„იმედინიუსი“

***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი აცხადებს, რომ ფიზიოლოგიური მიზეზების გარდა არსებობს არაერთი სერიოზული პათოლოგია, რომელიც პირის ღრუში ცუდ სუნს იწვევს და განსაკუთრებით საშიში პირიდან ამიაკის სუნის ამოსვლაა, რაც შესაძლოა, თირკმლის მწვავე უკმარისობაზე მიგვანიშნებდეს:***



## „იმ ადამიანებს, რომლებსაც ცხვირი გაჭედილი აქვთ და პირით სუნთქავენ, პირში თითქმის ყველას ცუდი სუნი აქვს!“



### კახა საბახტარიშვილი:

# პირიდან ცუდი სუნი ხშირად აღენიშნებათ იმათ, ვისაც ტკბილეული უყვარს!

— ზოგიერთ ადამიანს პირიდან ცუდი სუნი ამოსდის, რაც მისთვის და გარშემო მყოფთათვის სერიოზულ დისკომფორტს ქმნის. ადამიანთა უმრავლესობა, რომელსაც მსგავსი უსიამოვნო სიმპტომი ჭირს, ხშირად ამას ვერც კი ხვდება. არადა, აღნიშნულმა პათოლოგიამ შესაძლოა, დიდი გავლენა იქონიოს როგორც მის პირად ცხოვრებაზე, ისე კარიერულ წინსვლაზე.

პირში ცუდი სუნის არსებობას **ჰალიტოზი** ეწოდება. ამ ტერმინის დამკვიდრება ძალიან საინტერესო ამბავთან არის დაკავშირებული. კერძოდ, მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე პირში ცუდის სუნის არსებობა არანაირ უხერხულობასა და პრობლემას არ ქმნიდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ თითქმის ყველა თამბაქოს ეწეოდა, ბურნუთს ყნოსავდა ან ისეთ საჭმელს მიირთმევდა, რომელიც უხვად იყო შეკაზმული ხახვითა და ნივრით. შეიძლება ითქვას, რომ ყველა ყარდა.

1920 წელს ამერიკელებმა — **ჯოზეფ ლოურენსმა და ჯორდან ლამბერტმა** შექმნეს სპეციალური ანტისეპტიკური სითხე ქირურგიული ინსტრუმენტების გასასტერილებლად, რომელსაც ანტისეპტიკების ფუძემდებლის **ჯოზეფ ლისტერის** პატივსაცემად **ლისტერინი** უწოდეს. ლისტერინი ცუდად იყიდებოდა. მაშინ ლოურენსმა და ლამბერტმა სცადეს, ეს სითხე იატაკის დეზინფექციისთვის გამოეყენებინათ და ამ მიზნით მისი რეკლამირება დაიწყეს. სამწუხაროდ, აქაც კრახი განიცადეს. ამის შემდეგ მათ გამოიგონეს არარსებული დაავადება — **ჰალიტოზი,** რაც, მათი მტკიცებით, პირში ცუდ სუნს ნიშნავდა და განაცხადეს, რომ ამ სენს სწორედ მათ მიერ შექმნილი **ლისტერინი** უშველიდა. თაღლითებმა სარეკლამო ბანერიც კი გამოაკრეს და სურათზე გამოსახეს ახალგაზრდა გოგონა, რომელსაც პირში ცუდი სუნის გამო არავინ თხოულობდა!

**—ამ ტრიუკმა, ბოლოს და ბოლოს, გაჭრა?**

— ამ ტრიუკმა ცოტა ხნით ნამდვილად იმუშავა და იატაკის სადეზინფექციო ხსნარი არარსებული დაავადების — **ჰალიტოზის** სამკურნალო საშუალებად გასაღდა. აფერა და აჟიოტაჟი მალე ჩაცხრა, თუმცა, ტერმინი დარჩა და პირში ცუდ სუნს დღესაც ჰალიტოზი ჰქვია.

ჰალიტოზი შესაძლოა, იყოს ფიზიოლოგიური, ანუ არ იყოს დაკავშირებული არანაირ დაავადებასთან და პირის ღრუს პრობლემებთან. **ფიზიოლოგიური ჰალიტოზი თავს იჩენს მაშინ, როცა ხახვს ან ნიორს მივირთმევთ, ბევრ ყავას ან სპირტიან სასმელს დავლევთ, ანტიბიოტიკებს მივიღებთ, პირის ღრუს ჰიგიენას არ დავიცავთ.** პირში ცუდი სუნი შესაძლოა, დილით ყველას ჰქონდეს. ამის მიზეზი ის არის, რომ ღამით პირის ღრუს ლორწოვანი გარსი შრება და მავნე ბაქტერიები მრავლდება. სწორედ მავნე ბაქტერიების ცხოველქმედების პროდუქტები იწვევს დილით პირში ცუდ სუნს, რაც მაშინვე გაქრება, როგორც კი დილის ჰიგიენასთან დაკავშირებულ პროცედურებს ჩავიტარებთ. ჰალიტოზი, ანუ პირიდან ცუდი სუნი, შესაძლოა, უამრავი სერიოზული პათოლოგიის მანიშნებულიც იყოს!



**— მაინც რომლის?**

— პირში ცუდი სუნი შესაძლოა, გამოიწვიოს **დიაბეტმა, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულმა, გასტრიტმა, ჰაიმორიტმა, ტონზილიტმა, ღვიძლის კიბომ, ციროზმა, თირკმლის უკმარისობამ და ა.შ.**

ჰალიტოზის შემთხვევათა 80-90 პროცენტი პირის ღრუში მიმდინარე პათოლოგიებთან არის დაკავშირებული. გაფუჭებულმა კბილმა, უხარისხო პლომბმა ან პროთეზმა და ღრძილების ანთებამ შესაძლოა, გამოიწვიოს პირში ცუდი სუნი. თუმცა, ჰალიტოზის შემთხვევათა არცთუ მცირე ნაწილი ქრონიკულ რინიტზე, ცხვირში ადენოიდებსა და პოლიპებზე მოდის.

იმ ადამიანებს, რომლებსაც ცხვირი გაჭედილი აქვთ და პირით სუნთქავენ, პირში თითქმის ყველას ცუდი სუნი აქვს! ამის მიზეზი ის არის, რომ პირით სუნთქვის დროს, პირის ლორწოვანი გარსი შრება და ლორწო და მასში არსებული ნერწყვი ვერ ანადგურებს პირის ღრუში არსებულ ბაქტერიებს! პირიდან ცუდი სუნი ხშირად აღენიშნებათ იმათ, ვისაც ტკბილეული უყვარს. საქმე ის გახლავთ, რომ პირის ღრუ ადამიანის ორგანიზმში ბაქტერიების მხრივ ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაბინძურებული ორგანოა. პირის ღრუში ბაქტერიების 100-მდე სახეობა ბინადრობს და მათი რიცხვი რამდენიმე ათეული მილიონია. საბედნიეროდ, პირის ღრუში სასარგებლო ბაქტერიებიც არიან, რომლებიც მავნე ბაქტერიებს გამრავლების საშუალებას არ აძლევენ. მავნე ბაქტერიები შაქრით იკვებებიან და შაქრის გადამუშავების შედეგად გამოყოფენ მჟავას, რომელიც კბილებს აზიანებს. მჟავასთან ერთად გამოიყოფა გაზებიც, რომელიც ცუდ სუნს ქმნის. შაქრით იკვებება სოკო კანდიდაც, რომელიც მრავლდება და ენაზე თეთრი, სქელი ნადების სახით მოგვევლინება. ამიტომ, **თუ გვინდა, რომ პირიდან ცუდი სუნი არ ამოგვივიდეს, ტკბილეული უნდა შევზღუდოთ, ხოლო კბილები კარგად გავიხეხოთ, რათა იქ შაქრის არცერთი ნაწილაკი არ დარჩეს!**

**— პირში ცუდი სუნის სპეციფიკურობის მიხედვით შესაძლებელია თუ არა, განვსაზღვროთ, რა აწუხებს ადამიანს?**

## – როცა ადამიანს პირიდან მჟავე სუნი ამოსდის, ეს

## „ნივრისა და ხახვის სუნს ყველაზე უკეთ მწვანე ჩაი სპობს!“





ჯოზეფ ლისტერი

## „თევზის სუნს ყველაზე უკეთ ოხრახუში ანეიტრალებს!“



## კუჭ-ნაწლავის პათოლოგიაზე მიუთითებს!

ასეთ დროს კუჭის წვენი საყლაპავში ხვდება და სწორედ ის წარმოქმნის მჟავე სუნს. ადამიანი ე.წ. „იზჟოგას“ შესაძლოა, ყოველთვის ვერ გრძნობდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გარკვეული რაოდენობის კუჭის წვენი პირის ღრუში არ ხვდება. **როგორც კი პირში მჟავე გემოს ვიგრძნობთ, ყოველთვის უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ კუჭის წვენი პირის ღრუშია მოხვედრილი.** ეს იწვევს სინუსიტს, ყურის ანთებას, ყელის ანთებას, სახმო იოგების ანთებას. თუ ეს დაავადებები ხშირად მეორდება, პაციენტმა აუცილებლად უნდა მიმართოს გასტროენტეროლოგს და მკურნალობა კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით დაიწყოს!

## პირის ღრუში მომწარო-მომჟავო სუნი, ანუ ე.წ. პირის სიმწარე, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის პრობლემების მანიშნებელია!

ასეთ დროს ნაღველი თორმეტგოჯა ნაწლავიდან პირის ღრუში ხვდება. განსაკუთრებით სახიფათოა ის მდგომარეობა, თუ ადამიანს პირიდან ამიაკის სუნი ამოსდის. ამიაკი ორგანიზმიდან შარდოვანათი, ანუ შარდით გამოიყოფა. როცა თირკმელი ზიანდება, მაშინ ორგანიზმი კანით ან ამოსუნთქული ჰაერით ცდილობს შარდოვანას გამოყოფას, რაც სხვა არაფერია, თუ არა პირში ამიაკის, ანუ შარდის სუნი. ასეთ დროს ადამიანმა სასწრაფოდ უნდა მიმართოს **ნეფროლოგს,** რადგან სახეზეა თირკმლის უკმარისობის ნიშნები, რომელსაც, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ, შესაძლოა, სიკვდილით დამთავრდეს!

ადამიანების უმრავლესობამ არ იცის, რომ დიაბეტი აქვს. **თუ პირიდან მჟავე ვაშლის ან აცეტონის სუნი ამოგვდის, სასწრაფოდ შაქარი გავიზომოთ.** საქმე ის გახლავთ, რომ დიაბეტის დროს ვითარდება მეტაბოლური კეტოაციდოზი, რაც იმას ნიშნავს, რომ უჯრედში გლუკოზა ვერ შედის და ორგანიზმი ენერგიის წარმოსაქმნელად ცხიმოვან მარაგებს წვავს. საერთოდ, შაქარი სუფთად იწვება და წყალი და ნახშირორჟანგი წარმოიქმნება, რომლებიც სრულიად უსუნოა, ხოლო ცხიმების წვის დროს, რაც დიაბეტის თანმხლები პროცესია, კეტონური სხეულები, ანუ კეტონები და მჟავები წარმოიქმნება. კეტონი იგივე აცეტონია. **პირიდან აცეტონის სუნი შიმშილობის დროსაც ამოდის და მაშინაც, როცა ადამიანი ძალიან შეამცირებს ნახშირწყლების მიღებას.**

***— როგორ უნდა მოვიშოროთ ხახვის, ნივრისა და თევზის სუნი?***

— თევზის სუნს ყველაზე უკეთ ოხრახუში ანეიტრალებს! რაც შეეხება ნიორსა და ხახვს, ორივე ბოსტნეული გოგირდს შეიცავს და სპეციფიკური სუნიც სწორედ ამის შედეგია. ნივრისა და ხახვის სუნს ოხრახუშთან და პიტნასთან ერთად ყველაზე უკეთ მწვანე ჩაი სპობს. მასში შემავალი ნივთიერებები სწორედ ნიორსა და ხახვში არსებულ გოგირდს ბლოკავენ! პირში ცუდი სუნი შესაძლოა, ყავის ხშირმა დალევამაც გამოიწვიოს. საქმე ის გახლავთ, რომ გოგირდის ნაერთები ყავაშიც არის. გარდა ამისა, ყავა მდიდარია მჟავებითა და ტანინებით, რაც პირის ღრუს ლორწოვანი გარსის სიმშრალეს იწვევს. პირის ღრუში ცუდი სუნის გასაქრობად კარგია საღეჭი რეზინიც, მაგრამ მხოლოდ ისეთი, რომელიც შაქრის სპირტს —ქსილიტს შეიცავს! ქსილიტი მავნე ბაქტერიებს სპობს. პირის ღრუში ცუდი სუნის მოსასპობად კარგია სოდაც.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***




# შევარდნაძის საიდუმლო



რაისა გორბაჩოვა

**როგორ არწმუნებდნენ ედუარდ ამბროსოვიჩი და რაისა მაქსიმოვნა გორბაჩოვს, რომ რეიგანთან მოლაპარაკებები არ ჩაეშალა!**



რონალდ რეიგანი და მიხეილ გორბაჩოვი

*დასაწყისი იხ. „ა-დ". 2023 წლის №46-49, 51-52, 2024 წლის №1-16*

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს" ამოხსნით თუ შეიძლება.***

შევარდნაძის მემუარებში საკმაოდ საინტერესოდ არის აღწერილი ამერიკა-საბჭოთა კავშირის „ცივი ომის" გლობალური დაპირისპირებიდან გამოსვლის პირველი ნაბიჯები, რაც სწორედ **გორბაჩოვის** მიერ საბჭოეთის საგარეო საქმეთა მინისტრად **შევარდნაძის** დანიშვნასთან არის დაკავშირებული!

**გორბაჩოვს,** რომელმაც კარგად იცოდა, რა კატასტროფაც ელოდა ეკონომიკურად დასუსტებულ საბჭოთა კავშირს ამერიკასთან „შეიარაღების რბოლაში", აუცილებლად სჭირდებოდა ამერიკასთან ურთიერთობების დათბობა!

ასეთი დათბობა კი წარმოუდგენელი იქნებოდა, თუ საბჭოთა დიპლომატიას **ანდრეი გრომიკო** ან მისი ტიპის ორთოდოქსი ლენინელი, ბოლშევიკური ტიპის საბჭოთა ფუნქციონერი წარმოადგენდა!

ჰოდა, პოლიტიკურად მოქნილი და ქართული შარმით დაჯილდოებული **შევარდნაძე,** ალბათ, ზედგამოჭრილი იყო ამ მიზნისათვის!

**შევარდნაძე** იხსენებს, როგორ დაამყარა მეგობრული ურთიერთობა **რონალდ რეიგანის** საგარეო საქმეთა უწყების — სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელ **ჯორჯ შულცთან:**

***„ჩემი და ჯორჯ შულცის ურთიერთობა სრულიად განსაკუთრებული იყო...***

***ჩვენ, ქართველებს, გამორჩეული უნარი გვაქვს სტუმრისა თუ მეგობრის პატივისცემისა, მაგრამ ჯორჯის გამომგონებლობა და სითბო, ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, მართლაც მოულოდნელი და გასაკვირი აღმოჩნდა. მის ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონდა. ერთხელ ჩემს პატივსაცემად მოწყობილ შეხვედრაზე სახელმწიფო დეპარტამენტში იელის უნივერსიტეტის გუნდს ქართული მრავალხმიანი სიმღერა „მრავალჟამიერი" შეასრულებინა. იმ დღეს, ჩვენი ერთობლივი მცდელობით, ვაშინგტონში ხელი მოეწერა საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელშეკრულებას საშუალო და დაბალი სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის თაობაზე და ამ დიდებული ქართული სიმღერით ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენის აღნიშვნამ ჩემზე განუმეორებელი შთაბეჭდილება მოახდინა"*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე", გვ. 124).*

აი, ასე: ამერიკამ საშუალო და დაბალი სიშორის რაკეტების ორმხრივი ლიკვიდაციის შეთანხმება ქართული „მრავალჟამიერით" აღნიშნა! თან ამერიკისა და მსოფლიოს ერთ-ერთი ავტორიტეტული და პრესტიჟული იელის უნივერსიტეტის გუნდის შესრულებით — ფაქტია, რომ ამ გუნდს, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე მაინც დააწყებინეს ურთულესი პოლიფონიური „მრავალჟამიერის" დასწავლა, რადგან საეჭვოა, ქართული სიმღერა მათ ტრადიციულ რეპერტუარში ჰქონოდათ.

ცალკე საკითხია, რომ მსოფლიო მშვიდობისთვის ასეთი მნიშვნელოვანი ხელშეკრულების გაფორმება არა რუსული „კალინკათი", არამედ ქართული „მრავალჟამიერით" აღინიშნა, რაც იმაზე მეტყველებს, რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა შევარდნაძის ქართულ წარმომავლობას და იმასაც, რომ ამერიკული დიპლომატიის მამებმა კარგად უწყოდნენ, რა არის საქართველო და „მრავალჟამიერი".

მემუარისტი, რა თქმა უნდა, აღნიშნავს, რომ ისიც და **შულციც** გორბაჩოვისა და რეიგანის პოლიტიკის გამტარებლები იყვნენ, მაგრამ მათი პირადი ურთიერთობაც დიდ როლს თამაშობდა „ცივი ომის" ყინულის გალღობაში:

***„გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მეგობრობა უმნიშვნელოვანეს, ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობდა ორ სახელმწიფოს თანამშრომლობასა და დაახლოებაში. იყო შემთხვევები, როდესაც ერთი იტყოდა: „ამის მეტი მე არაფერი შემიძლია", რაზეც მეორე სრული გაგებით მიუგებდა: „ასეც არის: ჩვენ ხომ არ ვთვალთმაქცობთ"...***

***ჩვენს ურთიერთობას ყოველთვის განსაზღვრავდა ერთმანეთთან გულწრფელი დამოკიდებულება და საკუთარი ქვეყნის ინტერესთა დაცვა. ამასთან, ეს მეგობრობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას პროგნოზირებადს ხდიდა, ეს კი, თავის მხრივ, უაღრესად პოზიტიურ ზემოქმედებას ახდენდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. საბჭოთა დიპლომატიისთვის ეს აბსოლუტური სიახლე იყო"*** *(იქვე, გვ. 124).*

თუმცა, თავიდან, „პერესტროიკის" გზაზე შემდგარი საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ლიდერთა პირველი პირადი კონტაქტები კატასტროფულად დაძაბული იყო!

**შევარდნაძე** ასე იხსენებს 1986 წელს ჟენევაში **რეიგანსა და გორბაჩოვს** შორის გამართულ პირველ შეხვედრას:

***„გორბაჩოვისა და რეიგანის პირისპირ შეხვედრას მხოლოდ თარჯიმნები ესწრებოდნენ. მე და შულცი გარეთ ვიყავით, რაღაცებზე ვსაუბრობდით. მთავარზე მთავარი აქ შეხვედრის ფაქტი იყო, მერე კი ის, თუ რას მოილაპარაკებდნენ.***

***გორბაჩოვს გული ეთანაღრებოდა, არ უნდოდა ჟენევაში წასვლა. სულ ნახევარ საათს ვიქნებით სასაუბროდო. არადა, ის შეხვედრა თითქმის სამ საათს გაგრძელდა. მერე გამოვიდნენ. ორივე აპილპილებული იყო. გორბაჩოვი მეუბნება:***

*— წავედით აგარაკზე.*

***მანქანაში არაფერი უთქვამს. მივედით ვილაში. რაისა მაქსიმოვნა დაგვხვდა*** *— საქმე როგორ არისო?*

***გორბაჩოვი მეუბნება:***

*— მოამზადონ თვითმფრინავი. მივფრინავთ. ამ ადმინისტრაციასთან საქმის დაჭერა არ შეიძლება.*

***მშვიდად ვუთხარი, მთავარი მაინც შეხვედრის ფაქტია და იქნებ, არ ღირდეს-მეთქი ჩაშლა. რაისა მაქსიმოვნამაც იგივე გაუმეორა.***

*— არა, ამ ადამიანთან საქმის დაჭერა არ შეიძლება, —* ***თქვა გორბაჩოვმა"*** *(იქვე, გვ. 129).*

**შევარდნაძე** იხსენებს, რომ ის და **რაისა მაქსიმოვნა** სადილისას ერთი საათი არწმუნებდნენ გაცეცხლებულ **გორბაჩოვს,** რომ არ ჩაეშალა ჟენევის ეს პირველი მოლაპარაკებები **რეიგანთან.** როგორც ჩანს, დაარწმუნეს, რადგან **გორბაჩოვი და რეიგანი** მეორე დღეს კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს — მართალია, დიდი წარმატების გარეშე, მაგრამ მთავარი მაინც შეხვედრა და მოლაპარაკებების დაწყება იყო...

გამოხდა ხანი და **გორბაჩოვმა** დაიბარა **შევარდნაძე** — გაფრინდი ვაშინგტონში, შეხვდი **რეიგანს,** ჩვენი მეორე შეხვედრის დრო მოვიდაო...

**შევარდნაძეც** გაფრინდა ვაშინგტონში, ჯერ **ჯორჯ შულცს** შეხვდა, რომელმაც შევარდნაძის თანხლებითვე დაურეკა რეიგანს: **შევარდნაძეა ჩამოსული, გორბაჩოვისაგან გზავნილის გადმოცემა სურსო:**

***„რეიგანი იქიდან რაღაცას ეუბნება, შულცი ჩუმად ზის. მივხვდი, მთლად კარგად ვერ იყო საქმე.***

***შულცმა მეორე დღეს რეიგანთან დამიბარა. ერთად მივედით. რეიგანი ადრე ყოველთვის ღიმილით მხვდებოდა, კეთილგანწყობილი იყო ჩემდამი, თავის მოგონებებში აღნიშნავს კიდეც, საბჭოთა კავშირის სიმპათიური მინისტრიო.***

***ცოტა ცივად შემხვდა.***

*— რა საკითხი უნდა განვიხილოთ?*

*— გორბაჩოვს მიაჩნია, რომ მეორე შეხვედრის დრო მოვიდა.*

*— მე ხომ უნდა მოვიფიქრო?*

*— მაგრამ მე ხომ უნდა ვიცოდე, რა პასუხი ჩავიტანო? —* ***ცოტა განაწყენებულმა შევუბრუნე კითხვა.***

*— თანახმა ვარ. მაგრამ სად შევხვდეთ? ვაშინგტონში, ალბათ, მას არ აწყობს, მოსკოვში — მე... რეიკიავიკი რომ იყოს? — ფაქტობრივად, შუა გზაზეა"* (იქვე, გვ. 130)

აი, ასე გადაწყდა ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში გორბაჩოვ-რეიგანის ის ცნობილი ისტორიული შეხვედრა.

თუმცა, ეს შეხვედრაც უმძიმესი გამოდგა:

***„მოკლედ, რეიკიავიკში შედგა შეხვედრა. გორბაჩოვი და რეიგანი ისევ მარტო სხედან, ჩვენ — მე და შულცი — ისევ გარეთ ვართ. შულცმა იცოდა თქმა, რაც უფრო დიდხანს არიან ერთად, მით უკეთესი, შეეჩვევიან ერთმანეთსო.***

***მერე გამოვიდნენ, კიბეებზე დაეშვნენ და პირდაპირ მანქანებისკენ წავიდნენ. რეიგანი გაღიზიანებული ჩანდა. გორბაჩოვი უფრო მშვიდად გამოიყურებოდა. გამომშვიდობებისას რეიგანმა უთხრა: „თქვენ მე ერთი სიტყვაც არ დამითმეთ. არ დამითმეთ და შეთანხმებაც არ გამოგვივიდა".***

***გორბაჩოვი: „გინდათ, შევბრუნდეთ? რეიგანი არ დათანხმდა და წავიდა"*** *(იქვე, გვ. 130).*

თუმცა, **გორბაჩოვმა** შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ეს კარგი შეხვედრა იყო და დაამატა — ეს გახლდათ ინტელექტუალური გარღვევა საბჭოთა-ამერიკულ ურთიერთობებში.

***გიორგი გიგაური***

*გაგრძელება იქნება*

# მერაბ კოსტავას მეუღლის

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №10-16

***რუსუდან ბერიძე შარშან 83 წლის ასაკში მიაბარეს მიწას. ტრაგიკულად შეწყდა მისი ერთადერთი შვილის, 24 წლის პოეტ ირაკლი კოსტავას სიცოცხლე. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტად. 1992-95 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი. ისტორიას შემორჩა მისი სევდიანი დღიური, რომელსაც „ასავალ-დასავალის“ მკითხველი დიდი ინტერესით ეცნობა. საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მეუღლემ მისი დაღუპვის შემდეგ 33 წელი იცოცხლა.***



## რუსუდან ბერიძე:

## არაფერი სერიოზული თითქოს არ მომხდარა, მაგრამ ჩემთვის ზვიადის და მერაბის ურთიერთობის ძირითადი ხაზი ნათელი გახდა!

ახლა მინდა დავიწყო ჩემი და **ზვიად გამსახურდიას** ურთიერთობით.

1958 წლის აპრილის პირველი დღეებია. მერაბის და ჩემი რომანი უკვე დაწყებულია. ოპერაში ოდისეი დიმიტრიადის დირიჟორობით ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია სრულდება. მე და მერაბი ოპერაში ვართ. დამთავრების შემდეგ გასასვლელში ვხვდებით **ზვიად და თამრიკო გამსახურდიებს.** მერაბი ჩემს თავს აცნობს მათ. რუსთაველზე ფეხით მოვდივართ ოთხივენი. ნაწვიმარია. ზვიადმა ხელმკლავი გამიკეთა და ოდნავ სწრაფი ნაბიჯებით წინ წამიყვანა. მერაბი და თამრიკო უკან დარჩნენ. რაღაც „ამაღლებულ“ მატერიებზე ვსაუბრობთ, ალბათ, მუსიკაზე. მე უხერხულად ვგრძნობ თავს, რომ მერაბი უკან ჩამოვიტოვეთ. ისიც მეუხერხულება, გავჩერდე, რადგან ზვიადი სწრაფად მიმაქანებს წინ.

რუსთაველის მოედანზე რომ მივედით, როგორც იქნა, მოვახერხე შეჩერება. **მერაბი და თამრიკო** მოგვიახლოვდნენ. მერაბს საშინლად გაბრაზებული სახე აქვს. **„მე სახლში წავალ,** — ამბობს მერაბი, — **გამცილებლად, ალბათ, საჭირო არა ვარ“.** ზვიადი ხვდება, რომ რაღაც არასწორი ჩაიდინა. **„არა, მერაბ, შენ გააცილე რუსუდანი, მე და თამრიკო სახლში მივდივართ“.** არაფერი სერიოზული თითქოს არ მომხდარა, მაგრამ ჩემთვის ზვიადის და მერაბის ურთიერთობის ძირითადი ხაზი ნათელი გახდა. **ეს იყო ჩემი და ზვიადის პირველი შეხვედრა. ათ დღეში მე და მერაბმა ხელი მოვაწერეთ.** რამდენიმე თვეში ზვიადმა **დალი ლოლუაშე** იქორწინა. ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობდით. ხშირად დავდიოდით გამსახურდიებთან. ისინიც ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან. ჩემი და ზვიადის ურთიერთობა მშვიდი და მეგობრული იყო.

**1964 წელს მე და მერაბი დავშორდით.** მე ასპირანტურა დავამთავრე. უნივერსიტეტში ლექციებს ვატარებდი. ორშაბათს და ოთხშაბათს მქონდა ლექციები მე-2 კორპუსში. გვერდით აუდიტორიაში ზვიადს ჰქონდა ლექციები. დასვენების დროს ფანჯარასთან ვიდექით და ვსაუბრობდით. მაშინ მერაბი და ზვიადი ანთროპოსოფიით იყვნენ გატაცებული და ზვიადი ძირითადად რუდოლფ შტაინერის იდეებზე მესაუბრებოდა. მერე წიგნები მომიტანა. მაშინ მამიდაჩემის სახლში ვცხოვრობდი ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩაზე. ერთხელაც ზვიადი სახლში მოვიდა ჩემთან. მერე სიარულს მოუხშირა. ჩვენი საუბრის თემა ზვიადის მიერ მოტანილი წიგნები იყო. იჯდა ხოლმე 2-3 საათი. ძირითადად თვითონ ლაპარაკობდა. მაშინ საუკეთესო ინტელექტუალურ ფორმაში იყო **(როცა პრეზიდენტი გახდა და საკმაოდ უფერული გამოსვლები ჰქონდა ტელევიზიაში, ძალიან მიჭირდა დაჯერება, რომ ეს ის ზვიადია, ამდენი წელი რაფინირებულ, დახვეწილ, მაღალი ინტელექტის კაცად რომ ვიცნობდი).**

როცა ზვიადმა ჩემთან მოსვლას მოუხშირა, ჯერ ვიფიქრე, ალბათ, ჩემი და მერაბის შერიგებას ცდილობს-მეთქი. მერე შევამჩნიე, რომ, როცა მერაბზე საუბარს ვიწყებდი, ის სასაუბრო თემას ცვლიდა. **ვიგრძენი, რომ ზვიადის ჩემთან სიარული მერაბთან არ იყო დაკავშირებული.** მაშინ ძალიან ახალგაზრდა და ძალიან მაქსიმალისტი ვიყავი. იმ დღეებში მერაბი შემხვდა. ვკითხე — იცი თუ არა, რომ ზვიადი ჩემთან ხშირად მოდის-მეთქი? **მერაბს მეხი რომ დასცემოდა, ასეთი რეაქცია არ ექნებოდა. მერე თავი მოთოკა, ზვიადი მაინც არ გასწირა და ასეთი „ბრძნული“ ახსნა მოძებნა: „რუსუდან, შენ ბუნებით ძალიან კეთილი ადამიანი ხარ, მაგრამ შენში სატანა ზის. ამ სატანამ აიძულა ზვიადი, შენთვის, როგორც ქალისთვის, შემოეხედა“.**

მერე რაც მოხდა, **დოდო რცხილაძე** მომიყვა. გაგიჟებული მერაბი დოდოსთან მივარდნილა, ყველაფერი უთქვამს. დოდომ და მერაბმა ზვიადი გამოიძახეს დოდოსთან სახლში და ძალიან უსიამოვნო საუბარი შედგა. **ზვიადის წიგნები იყო ჩემთან დარჩენილი. იმათ მოსაკითხად ზვიადმა თავისი ცოლი გამოგზავნა, თვითონ ვერ გაბედა მოსვლა.**

1971 წელს მე და მერაბი რომ შევრიგდით, კვლავ ნორმალური ურთიერთობა დამყარდა ზვიადსა და ჩემ შორის, ხოლო მერაბის და ზვიადის ურთიერთობა ზვიადის „ბატონობით“ მიდიოდა. ერთი ასეთი დეტალი. 1968 წელს პროფესორმა **ლადო დონაძემ** მერაბს შესთავაზა, ასპირანტურაში ჩაებარებინა. ზვიადი მისულა **(ოლიკოს ნაამბობი)** და მთელი საათი უმტკიცებდა მერაბს, რომ დისერტაციის დაცვა არ არის საჭირო, რად უნდა საბჭოთა სახელმწიფოსგან მიღებული სამეცნიერო ხარისხი. რა თქმა უნდა, დაარწმუნა მერაბი და მერაბმაც ბატონ ლადო დონაძეს უარი უთხრა. ამაში თავისთავად ცუდი არაფერი იქნებოდა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ამ დროს თვითონ ზვიადი დისერტაციაზე მუშაობდა, საკანდიდატო მინიმუმიც ჩაბარებული ჰქონდა. მერაბმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. მე და მერაბი რომ შევრიგდით, **დალი ლოლუამ** მითხრა, ზვიადს უკვე გადაცემული აქვს დისერტაცია დასაცავადო. მე მერაბს ვუთხარი ეს. არ დამიჯერა. როცა დავარწმუნე, წყენა არ შეიმჩნია. ზვიადმა მალე დაიცვა დისერტაცია. ნამდვილად ბრწყინვალე დაცვა ჰქონდა. დაცვა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდა. მერაბი ზვიადზე ბედნიერი იყო მეგობრის წარმატებით.

მერაბს ტელევიზორის ცქერა ძალიან უყვარდა. ზვიადი ამბობდა — ტელევიზორი ეშმაკისააო. როცა ზვიადი ჩვენთან მოსვლას აპირებდა, მერაბი ტელევიზორს გამორთავდა ხოლმე. ასეთი რამეები, ბუნებრივია, მაღიზიანებდა, მაგრამ ჩემი და ზვიადის ურთიერთობა მაინც მეგობრული რჩებოდა.

**მერე ზვიადი და დალი გაშორდნენ. ცოტა ხანში მე და მერაბიც დავშორდით. ის წლები მე და ზვიადი იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს.**

**ირაკლის** გარდაცვალების შემდეგ **მანანა არჩვაძემ და მისმა დამ** ხმები გაავრცელეს, **ირაკლი ნარკომანი იყო და იმიტომ მოიკლა თავიო.** მთელ ქალაქში ზვიად გამსახურდიას ოჯახი ერთადერთი აღმოჩნდა, ირაკლიზე ცუდის თქმის სურვილი რომ გაუჩნდა. ირაკლის გარდაცვლებიდან მხოლოდ ათი დღე იყო გასული, ეს ამბავი რომ მითხრეს. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ჩავვარდებოდი. ჯავახიშვილის ქუჩაზე ვიყავი, როცა ზვიადი ოლიკოსთან მოვიდა. მე ვუთხარი: **„ზვიად, ნუთუ არ შეგიძლია, შენი ოჯახის წევრები გააჩერო, რომ ირაკლიზე ცუდი არ ილაპარაკონ. სირცხვილი არ არის, შენი ცოლი ირაკლიზე რომ ჭორაობს?“** ზვიადმა ასეთი პასუხი გამცა: **„ჩემმა ცოლმა ძალიან განიცადა ირაკლის სიკვდილი. მერე ვიღაც ქალმა დაურეკა, რომ ირაკლი ზვიად გამსახურდიას ოჯახმა დაღუპა. მანამ ჩათვალა, რომ ეს რომელიმე შენი მეგობარი იყო, გაბრაზდა და ამიტომ ლაპარაკობს ასე“.** პასუხი ალოგიკური იყო. ჩემს მეგობრებს, ირაკლის სიკვდილით თავზარდაცემულებს, როგორ შეიძლებოდა თავში **მანანასთან** დარეკვა მოსვლოდათ! ძალიან მწარე სიტყვები ვთქვი მეც და არც ზვიადი დარჩენილა ვალში. რასაც ერთმანეთზე ვფიქრობდით, ყველაფერი ვთქვით.

ამის შემდეგ ერთმანეთი მერაბის სიკვდილამდე არ გვინახავს. ვიცოდი, რომ მერაბთან ძალიან ცუდად მახსენებდა. გარკვეული დრო მერაბი მოექცა მისი გავლენის ქვეშ. მაგრამ შემდეგ, ეტყობა, მოახერხა შავის და თეთრის გარჩევა. **ვაჟა ადამია** მომიყვა მერაბის დაკრძალვის დღეებში: **„სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე მერაბი და ზვიადი ჩემთან სუფრასთან ისხდნენ. ზვიადმა რაღაცაზე შენ გახსენა. მერაბი ფეხზე წამოვარდა, მაგიდას მუშტი დაარტყა და ზვიადს უთხრა: „მე შენ კატეგორიულად აგიკრძალე რუსუდანის სახელის ხსენება“. მერაბს ისეთი გაგიჟებული სახე ჰქონდა, რომ შეშინებულმა ზვიადმა ხმა გაკმინდა“.**

**მერაბის** გარდაცვალების შემდეგ, **ზვიადი,** მე მგონია, ნამდვილად თავზარდაცემული იყო მერაბის სიკვდილით. ზვიადის დაჟინების და ბრძოლის შედეგად დაკრძალეს მერაბი მთაწმინდაზე. ძალიან კარგი სიტყვა უთხრა ზვიადმა მერაბს დასაფლავების დღეს. მაშინ მომეჩვენა, რომ ქართული ეროვნული მოძრაობა დაიღუპება, თუ ახლა ყველანი ზვიადს არ ამოვუდგებით მხარში.

**ბოლო ხანებში ზვიადის და მერაბის ურთიერთობა ძალიან დაძაბული იყო. მერაბი, ეტყობა, ბევრ რამეს ხედავდა, თორემ რატომ იტყოდა: „იქ, ციხეში, უფრო მეადვილებოდა ადამიანებთან ურთიერთობა. სიცოცხლე აღარ მინდა იმის შემყურეს, რაც აქ ხდება“. ოლიკომ** მერაბის არქივში იპოვა მერაბის ზვიადისადმი მიწერილი წერილი. ეს წერილი ოლიკომ მე გადმომცა. მერაბი რომ დაკრძალეს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი **გია ახალაია** მოვიდა ჩემთან. მკითხა — შენთან ხომ არ ინახება მერაბის რაიმე ხელნაწერებიო. მივხვდი, რომ „ნადირობა“ მიდიოდა ამ წერილზე. **მასში მერაბი და ზვიადი თავიანთ ურთიერთობებს არკვევდნენ საკმაოდ უსიამოვნო ტონით. მე ჩავთვალე, რომ ეს წერილი ზვიადს ეკუთვნის და მე ვალდებული ვარ, მას გადავცე. დავურეკე, მოვიდა, წერილები დავუბრუნე. ისიც ვუთხარი, რომ მის მხარეს ვარ და მიმაჩნია, რომ დღეს საქართველოში მის გარდა არავის არ შეუძლია ერს წინ წაუძღვეს** (ასეც ვფიქრობდი, ვიმეორებ). რაღაც დეტალები წერილიდან მახსოვს, მაგრამ ამაზე საუბარი ეთიკური ნორმის დარღვევად მიმაჩნია. **წერილი ადასტურებდა, რომ მერაბისა და ზვიადის ურთიერთობა დასასრულს უახლოვდებოდა.**

ერთი კვირის შემდეგ ზვიადი ჩემთან მოვიდა. ბევრი ვილაპარაკეთ, წარსული გავიხსენეთ. ჩავთვალე, რომ ზვიადი ძალიან განიცდის მერაბის სიკვდილს და რადგან მე, ზვიადს და მერაბს ბევრი წელი, ბევრი მოგონება გვაკავშირებს, ამიტომ გაუჩნდა ჩემთან საუბრის მოთხოვნილება-მეთქი. ზვიადი მეორედაც მოვიდა, მესამედაც. ეს 1990 წლის თებერვლის ბოლოა. ამ დროი-



# უცნობი დღიურები



# მერაბ კოსტავა – შტრიხები პორტრეტისათვის

სათვის უზენაესი საბჭოს მარტის არჩევნები დაინიშნა. ოზურგეთის სახალხო ფრონტმა მთხოვა, კანდიდატად დავსახელებულიყავი. ზვიადს ამის შესახებ ვუთხარი. მითხრა — აუცილებლად დათანხმდი, შენ ძალიან ბევრის გაკეთება შეგიძლიაო. ორ-სამჯერ დაჟინებით გამიმეორა, უარი არ თქვაო. მეც ვიფიქრე, წესიერი, უანგარო ადამიანი ვარ, ლოგიკურად აზროვნება შემიძლია. იქნებ მართლა შევძლო რაღაც კარგის გაკეთება ჩემი ქვეყნისთვის-მეთქი და თანხმობა განვაცხადე.

ოზურგეთში საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად წავედი. ზვიადმა **თემურ ქორიძე** და **გოგი ხოშტარია** გამოგზავნა ოზურგეთში. მათ მიტინგი ჩაატარეს და ოზურგეთელებს მოუწოდეს, ჩემთვის ხმა მოეცათ. მაშინ ზვიადი ბოიკოტს უცხადებდა არჩევნებს, მაგრამ ცდილობდა, თუ არჩევნები ჩატარდებოდა, რაც შეიძლება მეტი არაკომუნისტი აღმოჩენილიყო უზენაეს საბჭოში. მერე ეროვნული ფორუმი შეიქმნა, არჩევნებს ბოიკოტი გამოეცხადა და არჩევნები ჩაიშალა. მაშინ ეროვნული ფორუმი აცხადებდა, ჩვენ ჩავშალეთ არჩევნებიო. მერე აღმოჩნდა, რომ არჩევნების გადადება კრემლში იყო დაგეგმილი.

15 მარტს ზვიადი ოზურგეთში ჩამოვიდა. ჩემი ბიძაშვილის **გუგული გოგუაძე-თენეიშვილის** სახლში მოვიდა. იქ ვიყავი გაჩერებული. სტუმრად მოვიდნენ **ზვიადი, თემურ ქორიძე, გოგი ხოშტარია და ჯემალ გოლეთიანი.** ზვიადმა სუფრასთან გულისამაჩუყებელი სადღეგრძელო მითხრა. მერე თეატრში მიტინგი ჩატარდა და ზვიადმა განაცხადა, რომ ოზურგეთი მერაბმა შეაყვარა, ოზურგეთი მერაბის ცოლოური იყო და განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა ამ ქალაქის მიმართ.

მოკლედ, მე და ზვიადი კვლავ მეგობრები ვართ...

ამასობაში ეროვნული ფორუმი გაიხლიჩა. ზვიადი ფორუმიდან გამოვიდა, მისი რეიტინგი მკვეთრად დაეცა. მე ამ პერიოდში სულით და გულით ზვიადთან ვარ. 26 მაისის წინა დღეებში ჩემთან მოვიდა გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი **მამუკა ფაჩუაშვილი** და მთხოვა, მოგონებები დამეწერა მერაბზე. ყველაფერი მართალი დავწერე, მაგრამ **ისეთი რამეები დავწერე, სადაც ზვიადი დადებითად ფიგურირებდა მერაბთან ურთიერთობებში. ამ წერილიდან ნაწყვეტებს აქ მოვიყვან.**

*„მერაბ კოსტავა — შტრიხები პორტრეტისათვის.*

*მერაბზე ბევრი დაიწერა. ყვებოდნენ მის ვაჟკაცურ ბუნებაზე, გამძლეობაზე, მის როლზე ქართულ ეროვნულ მოძრაობაში. ეს ყველაფერი იყო და იყო კიდევ მპატიებელი და მიმტევებელი კაცი, რომელსაც შემორჩა ბავშვის ალალი და სუფთა გული.* ***ციხეებისა და ბანაკების ჯოჯოხეთიდან ის ისეთივე წრფელი და ადამიანური დაბრუნდა, როგორიც წავიდა.***

*ანგარსკის ბანაკში მერაბის გვერდით ათასი ჯურის ბოროტმოქმედი იხდიდა სასჯელს — მკვლელი, მძარცველი, ქურდი. მერაბს თითოეული მათგანის მიმართ საოცარი სიბრალულის გრძნობა ჰქონდა. თითოეულში ადამიანურობის ნაპერწკალს ეძებდა და მის გაღვივებას ცდილობდა. ყოველი პაემნის შემდეგ გამომატანდა ათამდე მისამართს. ეს ის პატიმრებია, — მეტყოდა, — რომელთაც არსაიდან ამანათი არ მოსდით. ძალიან გთხოვ, გამოუგზავნე ამანათი, გაიხარებენ. აქ, ბანაკში, ეს სიხარული ძალიან ძვირად ფასობსო. პატიმრები სიყვარულით და პატივისცემით პასუხობდნენ მერაბს.*

*გარეგნულად კუშტი და მკაცრი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ გაიღიმებდა, მიხვდებოდი, რა ნაზი გულის პატრონი იყო.*

*ათი წლის განმავლობაში ვღებულობდი მის წერილებს. მხნეს, მომავლის იმედით სავსეს.* ***ერთხელ მივწერე — მერაბ, ერთხელ დაიწუწუნე, ეს ხომ გულს მოგიოხებს-მეთქი. პასუხად მომწერა — მე თავისუფალი ადამიანი ვარ და ამ კედლებშიც თავისუფლად ვგრძნობ თავსო.***

*მერაბმა საოცარი მეგობრობა იცოდა. მერაბის და ზვიადის მეგობრობა, ალბათ, ქართულ თქმულებებსა და ლეგენდებს გაჰყვება მომავალში. მახსოვს,* ***ზვიადის დისერტაციის დაცვა — მართლა შესანიშნავი დაცვა იყო. კათედრასთან იდგა ლამაზი ქართველი ინტელიგენტი, საუბრობდა დახვეწილად, რაფინირებულად. ეს იყო მეცნიერული აზრის, ერუდიციის და ინტელექტის ზეიმი. დარბაზში კი ყველაზე ბედნიერი ადამიანი მერაბი იყო.***

*1983 წელს მერაბის მდგომარეობა კრიტიკული იყო. მერაბმა შიმშილობა გამოაცხადა. ბანაკის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, მერაბის შიმშილობისთვის ყურადღება არ მიექცია. ეს იყო რეციდივისტთა ჩვეულებრივი ბანაკი. პოლიტიკური პატიმარი აქ მხოლოდ მერაბი იყო და შიმშილობასაც არავინ აცხადებდა. მერაბი კარცერში მოათავსეს და იქ მიატოვეს. მერაბის ციმბირელმა მეგობარმა* ***გალინა პოპოვამ*** *შეგვატყობინა მერაბის მძიმე მდგომარეობის შესახებ. დახმარებისთვის ზვიადს მივმართე. ზვიადი სასწრაფოდ დაუკავშირდა* ***ჟორჟ მარშეს*** *(საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ლიდერი — რ.ბ.). მარშემ მიტერანს (საფრანგეთის პრეზიდენტი — რ.ბ.) სთხოვა დახმარება. მიტერანი ანდროპოვს დაუკავშირდა. მერაბი საავადმყოფოში გადაიყვანეს და სიკვდილს გადაარჩინეს. როცა ნახვის ნება მომცეს და მოვუყევი, რაც მოხდა, თვალები გაუბრწყინდა. ეს, ცხადია, სიკვდილს გადარჩენის სიხარული არ იყო. ეს მეგობრის გვერდზე დგომით გამოწვეული სიხარული იყო.* ***ის, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა განუწყვეტლივ ეხმაურებოდა მერაბის მდგომარეობას, რა თქმა უნდა, მხოლოდ ზვიადის დამსახურება იყო.*** *ზვიადი მუდმივად აწვდიდა უცხოეთს ინფორმაციას მერაბის შესახებ. მიმართავდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციას. ამან განაპირობა ის, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა აქტიურად იყო ჩაბმული მერაბის სიცოცხლის გადარჩენისთვის ბრძოლაში.*

*მერაბზე რომ წარმოდგენა შეგიქმნათ, რამდენიმე შემთხვევას გავიხსენებ.*

*1972 წელია. მე და ჩემი მეგობარი* ***ლიანა პაქსაშვილი*** *ჩემს სახლში ვსხედვართ და მერაბს ველოდებით. სადღაც უნდა წავიდეთ. გადის თხუთმეტი წუთი, ოცი წუთი... მერაბი იგვიანებს. ერთი საათის შემდეგ შემოდის, ხელში იების ორი კონა უჭირავს და მეუბნება: მაპატიე, რომ დავიგვიანე. იები ვნახე, ყიდვა მომინდა, სულ სამი მანეთი მქონდა და ტრანსპორტის ფული აღარ დამრჩა. ფეხით მოვედი რუსთაველიდან საბურთალომდე. თუ დამიჯერებთ,* ***33 წლის მერაბმა მართლა ვერ წარმოიდგინა, რომ შეიძლებოდა ავტობუსში ასულიყო და უბილეთოდ ემგზავრა“.***



მერაბ კოსტავას დედა – ოლღა (ოლიკო) დემურია და ზვიად გამსახურდია

**ჩემი დედამთილი ოლიკო დემურია პოლიტიკურ თამაშებში ჩართეს. ქალი, რომელმაც ერთადერთი შვილი დამარხა, შვილიშვილი სახრჩობელადან თავისი ხელით ჩამოხსნა, იძლევა ინტერვიუებს და ამბობს სიცრუეს, რომ მერაბის დაპატიმრების წლებში ზვიადი სულ მასთან იყო და ეკონომიურად ეხმარებოდა!**

•

26 მაისს დიდი მიტინგი ჩატარდა „შევარდენის“ სტადიონზე. ხალხმა ზვიადი ხელში აიტაცა და სტადიონის ირგვლივ შემოატარა. მძიმე სანახაობა იყო. პარალელურად, „დინამოს“ სტადიონზე ეროვნული ფორუმი ატარებდა მიტინგს. ხალხი ზვიადის მიტინგს მოაწყდა. ბრძოლა ზვიადმა მოიგო. ახლა იგი საქართველოში მთავარი პოლიტიკური ფიგურა ხდება.

მე ამ დროისთვის დაკარგული მხედველობა მიბრუნდება, **ჯერჯერობით არ მომწონს ზვიადის გარემოცვა, მანანა არჩვაძის მდედრიონი, შეიარაღებული დაცვა, მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალების აღვირახსნილი ლანძღვა-გინება** (მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალებიც არავითარ აკრძალულ ხერხებს არ ერიდებიან). **ხალხს ბელადის მოთხოვნილება აქვს. ზვიადი „ბელადის“ როლში ჯდება. ზვიადის ყოველი გამოსვლა პოლიტიკური შეცდომებით არის სავსე. მისი გამოსვლები კიდევ უფრო ძაბავს ისედაც გართულებულ ურთიერთობებს ოსებთან და აფხაზებთან.**

იწყება მრავალპარტიული არჩევნებისთვის ბრძოლა. ზვიადი სამტრედიაში რკინიგზის აქციას აწყობს, ხალხი მოჰყავს, სუკის შენობას არბევენ. კრემლი ამ აქციებზე თითქმის არ რეაგირებს. მრავალპარტიული არჩევნების კანონი უზენაესი საბჭოს 17 აგვისტოს სესიაზე იქნა მიღებული.

მე ამ დროისთვის დარწმუნებული ვარ, რომ უზენაესი საბჭო არჩეული იქნება ისე, რომ ოპოზიციაში მყოფი ყველა პარტია **(ზვიადის „მრგვალი მაგიდა“, ბლოკი „თავისუფლება“, რუსთაველის საზოგადოება და სახალხო ფრონტი)** ერთად იქნება და კომუნისტებისთვის ძალაუფლების წართმევას შეეცდება. მე ოზურგეთში კანდიდატად დასახელებას მთავაზობს ბლოკი „თავისუფლება“. მე ვთანხმდები. **მე არ მინდა ზვიადის „მრგვალ მაგიდაში“ ყოფნა, მინდა, პიროვნული თავისუფლება დავუტოვო საკუთარ თავს.** თუ არჩეული ვიქნები უზენაეს საბჭოში, მინდა, ჩემი აზრი თავისუფლად ვთქვა. მე ზვიადს არ ვურეკავ და არ ვეუბნები, რომ „თავისუფლებიდან“ ვიყრი კენჭს. თან ამ დროს ჯერ კიდევ მიდის საუბარი, რომ ოთხივე ბლოკი ერთიანი სიით იყრის კენჭს **(მაშინ ზვიადი არ ფიქრობდა, რომ ასეთი ზარზეიმით გაიმარჯვებდა „მრგვალი მაგიდა“ და დანარჩენ ბლოკებთან გაერთიანება სურდა).**

აქ პოლიტიკური პროგნოზის გაკეთების უუნარობა გამოამჟღავნეს **ირაკლი შენგელიამ, ნოდარ ნათაძემ, აკაკი ბაქრაძემ.** მათ ვერ გათვალეს, ზვიადი, როგორც ამ დროისთვის ჩამოყალიბებული პოლიტიკური ფენომენი და ჩვენი ხალხის უაღრესად დაბალი პოლიტიკური დონე. ქართულმა ამბიციურობამაც ითამაშა გარკვეული როლი და, საქართველოსთვის საუბედუროდ, ოპოზიციური ძალების გაერთიანება ვერ მოხერხდა.

მე საარჩევნო კამპანია ოზურგეთში ჩავატარე. ჩემი მეტოქე „მრგვალი მაგიდიდან“ ერთი უენო ბიჭი იყო. ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ჩემი მეტოქე დუმდა. სამაგიეროდ, კულუარებში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ჩემ წინააღმდეგ. დადიოდნენ ჩემი მეტოქის თანამოაზრეები სოფელ-სოფელ, ავრცელებდნენ ჩემ შესახებ საშინელ ჭორებს **(მაგალითად, თამთა კოსტავა ჩემი შვილია და მე იგი გავაშვილე).** დაიქირავეს ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელიც დეპუტატობის კანდიდატი იყო **ვალერიან ადვაძის** ბლოკიდან. გამოვიდოდა ეს კაცი ტრიბუნასთან და ყვებოდა ათას სისულელეს ჩემ შესახებ. ხალხი მისი ტრიბუნიდან ჩამოსვლას ითხოვდა, მაგრამ ეს დად-

გაგრძელება 28-ე გვერდზე

# მერაბ კოსტავას მეუღლის

დასაწყისი 26-ე გვერდზე



## რუსუდან ბერიძე:

# ზვიადს არ ეყო პოლიტიკური გამჭრიახობა, ახალი არჩევნები დაენიშნა და ამით უკმაყოფილების ტალღა დაეცხრო!

გმული სპექტაკლები ხალხზე მაინც ახდენდა გავლენას. თბილისიდან თითქმის ყოველ საღამოს რეკავდა **თემურ ქორიძე: „ეგ დედაკაცი უზენაეს საბჭოში არ გაუშვათ“.** პირველ ტურში მე და ჩემმა მეტოქემ **პაატა თოიძემ** მივიღეთ ხმათა მეტი რაოდენობა. „მრგვალმა მაგიდამ“ ქვეყანაში აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა. მეორე ტურში ბრძოლის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ ბრძოლის ველიდან გაქცევა შემრცხვა. მეორე ტურში კომუნისტური პარტია ამოუდგა გვერდში ჩემს მეტოქეს **(საერთოდ, იმ არჩევნებში კომუნისტურმა პარტიამ დიდი სამსახური გაუწია „მრგვალ მაგიდას“).**

მოკლედ, ჩემმა მეტოქემ „ბრწყინვალე“ გამარჯვება მოიპოვა. მაშინ ოზურგეთს ორი მაჟორიტარი დეპუტატის არჩევის უფლება ჰქონდა. მეორე ოლქში კენჭს იყრიდა „მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენელი **ვიტალი ჯაში,** რომელიც გამომიტყდა, რომ არჩევნები მე მოვიგე პირველივე ტურში, მაგრამ შედეგები გააყალბეს და ამიტომ ჩატარდა მეორე ტური. მაშინ მე ასე მეჩვენებოდა, რომ არჩევნები წესიერად მიმდინარეობდა. ძალიან საწყენია, რომ ის პირველი არჩევნებიც კი გაყალბებით ჩატარდა.

მე ზვიადის მიმართ ამ დროისათვის მაინც მოწიწების გრძნობა მქონდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ერთმა კაცმა კომუნისტური პარტიის 70-წლიანი ბატონობის „დამხობა“ შეძლო...

•

კოშმარი უზენაესი საბჭოს პირველივე სესიაზე დაიწყო. **მინისტრებად დაინიშნნენ არაკომპეტენტური, არაპროფესიონალი ადამიანები ან კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრები, რომელთაც მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული კომუნისტური პარტიის დანაშაულებრივ საქმიანობაში** (მაგ., თანამდებობაზე დარჩა **პროკურორი რაზმაძე,** რომლის დროსაც „თვითმფრინავის ბიჭები“ დაიხვრიტნენ; სუკი „ეროვნულ სუკად“ გამოცხადდა. მის თავმჯდომარედ დაინიშნა **ხატიაშვილი,** რომელიც სუკში 30 წელი მუშაობდა, მაგრამ, როგორც მისი ინტერვიუდან „გაირკვა“, არც 9 აპრილის შესახებ იცოდა რამე, არც თვითმფრინავის ბიჭების დახვრეტის შესახებ და ა.შ.).

**ტელევიზია და პრესა ნეობოლშევიკური გატაცებით ჩადგა „მრგვალი მაგიდის“ სამსახურში. ყოველ ოპოზიციურ გამოსვლას მოჰყვებოდა ხოლმე აღშფოთებული ხალხის მასების, საწარმო-დაწესებულებების კოლექტიური წერილები, რომლებსაც „გამოთქმით“ გვიკითხავდნენ ტელევიზიის დიქტორები. ჯაბა იოსელიანის** „მხედრიონის“ მძინარე ბიჭებს საბჭოთა არმია დაესხა თავს შავნაბადას მთაზე და ცოდვის კითხვა დაატრიალა. ზვიადმა ამის გამო მსუბუქი პროტესტი გამოუცხადა კრემლს. ეს ისტორია თეთრი ძაფით იყო ნაკერი. ზვიადმა თავისი თანამებრძოლების გასანადგურებლად საბჭოთა არმია გამოიყენა (!). **ჯაბა იოსელიანი** და მისი „მხედრიონის“ წევრები დააპატიმრეს — სულ 70 ადამიანი. მსოფლიომ ისინი პოლიტპატიმრებად აღიარა.

ქართული ინტელიგენციის მრავალმა წარმომადგენელმა მოაწერა ხელი მიმართვას, რომელიც **ჯაბა იოსელიანის** დაპატიმრებას და, საერთოდ, იმ მეთოდებს გმობდა, რომლითაც ახალი ხელისუფლება მოქმედებდა. ტელევიზორში **აკაკი ბაქრაძე** გამოვიდა. აკაკი ბაქრაძე — უწესიერესი კაცი, პიროვნება, რომლის გაბედულ ლექციებზე ეზიარა ეროვნულ გრძნობას მრავალი ქართველი. **მეორე დღიდან ტელევიზიამ დაიწყო კამპანია აკაკი ბაქრაძის წინააღმდეგ. ვიღაც ქალი გამოიყვანეს ტელევიზორში. ითხოვდა, აკაკი ბაქრაძემ ჭკუას მოუხმოსო...** ტელევიზიის დიქტორები „გრძნობით“ კითხულობდნენ მოქალაქეთა წერილებს, რომლებიც აკაკი ბაქრაძის წინააღმდეგ იყო მიმართული.

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი. რეფერენდუმის შეკითხვა ასეთი იყო: **მხარს უჭერდა თუ არა საქართველოს მოსახლეობა საქართველოს დამოუკიდებლობას?** რეფერენდუმი აფხაზეთში და სამაჩაბლოშიც ჩატარდა. საქართველოს მოსახლეობის 97 პროცენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ეს იყო დიდებული დღე (ჩემი **ავთო ბერიძე** მომიყვა, ტელევიზორს ვუყურებდი. საქართველოს დამოუკიდებლობა რომ გამოაცხადეს, ჩემდაუნებურად ფეხზე წამოვდექი და ფეხზე ვიდექი ცერემონიალის ბოლომდეო). ეს იყო ზვიადის პოლიტიკური ზეობის ბრწყინვალე ფურცელი. ეს ის დღე იყო, რომლის ნახვისთვის სიცოცხლე ღირდა ჩვენი თაობისთვის და თვითონ ზვიადისთვის. ზვიადის ტრაგიკული დასასრულიც კი ღირდა ამ დღისთვის.

მეორე თუ მესამე სესიაზე, ოსების მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადების პასუხად, უზენაესმა საბჭომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გააუქმა და საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონი მიიღო. ამ კანონმა საგანგებო მდგომარეობის დროს საბჭოთა არმიის გამოყენება დააკანონა. საგანგებო მდგომარეობა სამაჩაბლოში გამოცხადდა. დაიწყო ფაქტობრივი ომი სამაჩაბლოში. დაიღუპა ბევრი ქართველი, ბევრი ოსი, სამაჩაბლო ქართველებისგან დაიცალა. საბჭოთა არმიამ სამაჩაბლოდან ქართული მილიცია გამოაძევა.

**ზვიადი სუსტი პოლიტიკოსი აღმოჩნდა. ამ დროისთვის მსოფლიო პრესა იუწყება, რომ საქართველოში ფაშიზმი იმარჯვებს. ავლებენ პარალელებს ზვიადსა და სადამ ჰუსეინს შორის.**

უზენაესმა საბჭომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები დანიშნა. ზვიადი დარწმუნებული იყო, რომ თავისი კანდიდატურის წამოყენებას სხვა ვერავინ გაბედავდა. შეცდა. **ნოდარ ნათაძემ, ირაკლი შენგელიამ, ვალერიან ადვაძემ და თამაზ კვაჭანტირაძემ** მოაგროვეს თავისი მხარდამჭერი — 10 000 კაცი **(ზვიადს ისიც ეგონა, რომ მხარდამჭერებიც არ მოგროვდებოდნენ).**

საარჩევნო კანონის თანახმად, თითოეულ საპრეზიდენტო კანდიდატს ტელევიზიაში ჰქონდა ოცი წუთი დრო 12-დღიანი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში. თითოეულმა კანდიდატმა იცოდა, რომ არჩევნებში გამარჯვების შანსი არ არსებობდა. ამიტომ ყოველი მათგანი ცდილობდა, სათქმელი ეთქვა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო **ირაკლი შენგელიას** ნდობით აღჭურვილი პირის **მიხეილ ნანეიშვილის** გამოსვლა. მან ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა და თან დასძინა **„მე ვიცი, ქართველი ერი დღეს ჩემს ნათქვამს არ გაიგონებს, მაგრამ ვამბობ იმისათვის, რომ შემდეგ არა თქვან, სად იყავით თქვენ, ინტელიგენტები მაშინ, რატომ არ ამოიღეთ ხმა“.** ზვიადის საარჩევნო კამპანია უპრეცედენტო იყო. მთელი სატელევიზიო დრო ეთმობოდა „ერთადერთ სრულუფლებიან კანდიდატს“. მიდიოდა გადაცემები: ზვიადი, როგორც პოეტი, როგორც მწერალი, კრიტიკოსი, ესეისტი, ზვიადის მამა — კონსტანტინე გამსახურდია. სამინისტროებს, დაწესებულებებს დაევალა კოლექტიური წერილების გამოგზავნა ზვიადის მხარდასაჭერად. ტელევიზორიდან მოდიოდა პანეგირიკის ნიაღვარი.

თვითონ ზვიადი თავის სატელევიზიო გამოსვლებში თავის მოწინააღმდეგეებს ამკობდა ეპითეტებით: **ხალხის მოღალატეები, კრემლის აგენტები, მოსკოვის ჟანდარმები და ა.შ.** მწერალმა **ნოდარ წულეისკირმა ხმამაღლა განაცხადა, რომ ზვიადის მონა არის** (მისი აზრით, ეს საქართველოს მონობას ნიშნავდა) **და უნდა ზვიადის მონად დარჩეს.**

ზვიადმა არჩევნებში 88 პროცენტი მოაგროვა. პირველ პრესკონფერენციაზე, რომელიც ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ჩაატარა, მან ორი ჟურნალისტი დარბაზიდან გააძევა. ამ პრესკონფერენციაზე ზვიადმა განაცხადა, რომ **ედუარდ შევარდნაძე** ვერ გახდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავმჯდომარე, კატეგორიულად მოსთხოვა შევარდნაძეს, თავი დაენებებინა იმპერიის სამსახურისთვის, გალანძღა „ხალხის მტერი“ მეტოქეები და ა.შ.

**რამდენიმე ჟურნალისტმა მსოფლიო ჟურნალისტთა ასოციაციას მიმართა წერილით. ისინი წერდნენ, რომ იმყოფებიან დევნის, შევიწროების და ფიზიკური განადგურების მუქარის ქვეშ, ითხოვდნენ დამკვირვებლების ჩამოსვლას. მსოფლიო პრესა საქართველოში ფაშიზმის მოსვლაზე ლაღადებს. ეკონომიკა დანგრეული და გაჩანაგებულია. სამაჩაბლოში ისევ სისხლი იღვრება. ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანა ძალიან ძნელია. ეთნოკონფლიქტები კრემლიდან არის ინსპირირებული. საქართველო „ზვიადისტებად“ და „ანტიზვიადისტებად“ გაიყო.** „მრგვალი მაგიდა“ იბრძვის პრივილეგიებისთვის, წყნეთში აგარაკებისთვის, მანქანებისთვის. თუ სიტყვა არ ჭრის, საქმეს იარაღი არჩევს. აჭარაში პოლიტიკური მკვლელობა მოხდა. **ნოდარ იმნაძე** იარაღით შევარდა **ასლან აბაშიძის** (აჭარის მეთაური) კაბინეტში, რამდენიმე კაცი დაჭრა. **ნოდარ იმნაძე მოკლეს. მერე ის ქაშვეთის ეკლესიიდან გამოასვენეს, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი... რა მოხდა, არ ვიცით...**

არ იძიებენ მერაბ კოსტავას დაღუპვის საქმეს. **„თეთრი გიორგის“ ბიჭებმა ერთმანეთი დახოცეს: გამოძიების შედეგი არ ჩანს. უზენაესი საბჭოს სხდომები დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს. თავის ხალხს არ ენდობა ამ ხალხის მიერ არჩეული ეროვნული ხელისუფლება.** ხალხი რეპრესიებს ელოდება. შიში და ძრწოლა არის საზოგადოებაში გამეფებული. ყველა ჩემი ახლობელი მაფრთხილებს, რომ მე, როგორც ბევრი რამის მომსწრეს და მცოდნეს, შეიძლება პოლიტიკური ტერორი მელოდება.

**ჩემი დედამთილი ოლიკო დემურია პოლიტიკურ თამაშებში ჩართეს. ქალი, რომელმაც ერთადერთი შვილი დამარხა, შვილიშვილი სახრჩობელადან თავისი ხელით ჩამოხსნა, იძლევა ინტერვიუებს და ამბობს სიცრუეს, რომ მერაბის დაპატიმრების წლებში ზვიადი სულ მასთან იყო და ეკონომიურად ეხმარებოდა,** ათი წლის განმავლობაში ერთხელ გაუგზავნა ზვიადმა მერაბს ასი მანეთი). ზვიადი ოლიკოს წელიწადში ორჯერ თუ მოინახულებდა. ზვიადს არ უნდა ირაკლის და ჩემი სახელი იყოს ნახსენები, ოლიკო ან თვითონ გრძნობს კონიუნქტურას, ან აგრძნობინეს. ყოველ შემთხვევაში, არცერთ ინტერვიუში არ ახსენებს **ირაკლის** სახელსაც კი, ჩემზე აღარ არის საუბარი.

1991 წლის 24 მაისს **ირაკლის** პოეზიის საღამო ჩატარდა, საღამოს იდეა დიდი ქართველი პოეტის **ნიკო სამადაშვილის ქალიშვილს მზია სამადაშვილს** და მერაბის ნათესავს **ნუგზარ ბუაჩიძეს** ეკუთვნოდათ. მათ მიმართეს საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოებას. საზოგადოების თავმჯდომარემ **ზურაბ ბუხნიკაშვილმა** ითავა ამ საღამოს მოწყობა. ლიტერატურული ნაწილი მიხეილ თუმანიშვილის თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს. რეჟისორები **ცოტნე ნაკაშიძე და ნუგზარ ბაგრატიონი** იყვნენ. მუსიკოსები: **მანანა დოიჯაშვილი, ალექსანდრე კორსანტია, როდამ ჯანდიერი** (ვიოლინო), გორის გოგონათა ჯგუფი **შალვა მოსიძის** ხელმძღვანელობით. საღამოზე ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი დავპატიჟეთ. არცერთი არ მოვიდა. საღამო ძალიან შთამბეჭდავი გამოვიდა. საღამო დავით აღმაშენებლის პროსპექტზე, ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ ცენტრში გაიმართა. ხალხი ბევრი იყო. ნიშანდობლივი იყო, რომ მერაბ კოსტავას შვილის საღამოს, ძირითადად, ოპოზიციური ინტელიგენცია ესწრებოდა...

•

უკმაყოფილების ტალღა ძლიერდებოდა. აგვისტოში რუსეთში „პუტჩი“ მოხდა. საბჭოთა წყობილების უკანასკნელმა მოჰიკანებმა სიტუაციის მობრუნება გადაწყვიტეს. ზვიადს ამ დროს ან ალღომ უღალატა, ან უფრო სწორი იქნება, ვთქვათ, რომ არ მოინდომა, „სხვის ომში“ საქართველო დაზიანებულიყო და ძალიან ფრთხილი პოზიცია დაიჭირა — კრემლის მოთხოვნით საქართველოს ეროვნული გვარდია (სარდალი — **თენგიზ კიტოვანი**) გააუქმა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუქვემდებარა. ეროვნული გვარდია პროტესტის ნიშნად თბილისის ზღვასთან განლაგდა. 2 სექტემბერს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ კინოს სახლთან მიტინგი ჩაატარა. მიტინგზე ძალიან ცოტა ხალხი იყო. მიტინგი დაარბიეს და ერთი ახალგაზრდა დაიჭრა **(დარწმუნებული ვარ, ამ მიტინგის დარბევა წინასწარ გათვლილი პროვოკაცია იყო).** უკმაყოფილების ტალღა ნაპირებიდან გადმოვიდა და მეორე დღეს რუსთაველის მოედანზე



ედუარდ შევარდნაძე და რუსუდან ბერიძე

# უცნობი დღიურები

50 000 კაცი მოგროვდა. მიტინგს პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან ახალგანთავისუფლებული პრემიერ-მინისტრი **თენგიზ სიგუა და თენგიზ კიტოვანი** უძღვებოდნენ. **გაისმა ზვიადის, როგორც უღირსი პრეზიდენტის გადადგომის და ახალი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნა.**

პირველად დავინახე, როგორი ზიანი შეიძლება მიადგეს ქვეყანას, როცა ერთი პოლიტიკური ძალა საკონსტიტუციო უმრავლესობით მოდის და დანარჩენი პოლიტიკური ძალები ქუჩაში რჩებიან. მაშინ რომ ზვიადს პოლიტიკური გამჭრიახობა გამოეჩინა და ვადამდელი არჩევნები დაენიშნა, **მაშინ რომ საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ინიციატივით დაწყებულ მოლაპარაკებებს შედეგი მოჰყოლოდა... მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორია არ იწერება კავშირებით კილოში. იყო ის, რაც იყო და რამაც მთელი მომდევნო წლების ისტორიაზე დამღუპველი გავლენა მოახდინა...**

ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც ზვიადის მმართველობას ვერ ეგუებოდა, არ ეყო უნარი, განეჭვრიტა, რითი შეიძლებოდა ეს ყველაფერი დასრულებულიყო. ზვიადს არ ეყო პოლიტიკური გამჭრიახობა, ახალი არჩევნები დაენიშნა და ამით უკმაყოფილების ტალღა დაეცხრო.

პოლიტიკური დაძაბულობის ტემპერატურა იმატებდა. 1991 წლის დეკემბერში ტყვია გავარდა. არ იყო მნიშვნელოვანი, ვინ გაისროლა, ძმათამკვლელი დაპირისპირება დაიწყო. რუსთაველზე ტყვიამფრქვევები და ავტომატები ზუზუნებდნენ. ზვიადი თავისი ამალით პარლამენტის შენობის ბუნკერში ჩავიდა. რუსთაველის პროსპექტი და მისი მიმდებარე ტერიტორია ნანგრევებად გადაიქცა. 1992 წლის 6 იანვარს ზვიადს და მის თანმხლებ პირებს დერეფანი გაუკეთეს, ზვიადმა საქართველო დატოვა და დროებით სომხეთს შეაფარა თავი. მერე სომხეთმა არ მოინდომა ზვიადის იქ ყოფნა და ზვიადი ჩეჩნეთის რესპუბლიკაში გადავიდა.

საქართველოში ძალაუფლება სამხედრო საბჭოს გადაეცა **(თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი).**

ქალაქში ტარდებოდა ზვიადის მომხრეების მიტინგები. დიდუბეში გამართულ მიტინგს ორმხრივი სროლა მოჰყვა. ქართველები ქართველების ტყვიით იღუპებოდნენ.

რუსთაველის პროსპექტი დაჩეხილი და განადგურებული იყო. ის თითქოს სიმბოლო გახდა იმისა, რა შეიძლება მოჰყვეს ქვეყნის შიგნით დაწყებულ დაპირისპირებას.

ქვეყანაში შიშის და განწირულობის გრძნობა გამეფდა. უიმედობა დაეუფლა როგორც ზვიადის მომხრეებს, ისე მის მოწინააღმდეგეებს. ურთიერთბრალდებების მიუხედავად ორივე მხარე გრძნობდა, რომ თითოეული ჩვენგანის წვლილი იყო იმ ტრაგედიაში, რომელიც დატრიალდა ჩვენს სამშობლოში. როგორც მაშინ ერთმა გაზეთმა („დრონი") რუბრიკად გამოიტანა: **„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი გადაეფარა..."**

სამხედრო საბჭომ საქართველოს კონსტიტუცია გააუქმა და 1921 წლის კონსტიტუცია აღადგინა. არც ეს აღმოჩნდა წინდახედული გადაწყვეტილება, რადგან აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას ამან იურიდიული საფუძველი მისცა, დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა.

ქვეყანა სრულიად იზოლირებული აღმოჩნდა. ხორბლის მარაგი ამოიწურა. სამხედრო საბჭო მიხვდა, რომ ქვეყნის მართვა არ შეეძლო. ამ დროს მოსკოვში მყოფ **ედუარდ შევარდნაძესთან** სიარული დაიწყეს პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა. **ჯაბა იოსელიანი** შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების აუცილებლობას ხედავდა, **სიგუა და კიტოვანი** ეწინააღმდეგებოდნენ. ბოლოს გამოუვალმა სიტუაციამ და ქვეყანაში სამოქალაქო მმართველობის აღდგენის აუცილებლობამ სამხედრო საბჭო აიძულა, დათანხმებულიყო შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებას.

1992 წლის 7 მარტს **ედუარდ შევარდნაძე** საქართველოში დაბრუნდა. დაბრუნდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისას მოგროვებული პოლიტიკური კაპიტალით, და გულწრფელი სურვილით დახმარებოდა უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ თავის სამშობლოს. ამ დროისათვის საბჭოთა კავშირი რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით უკვე დაშლილია. საქართველო სამანეთო ზონაშია. ქვეყანაში ყველა სამსახური მოშლილია. ქუჩაში გვარდიის და „მხედრიონის" შეიარაღებული ბიჭები დადიან. ყველა პარტიას იარაღი აქვს და შეიარაღებული ფორმირება ჰყავს. ედუარდ შევარდნაძის უკან მხოლოდ მისი ავტორიტეტი და მისი პოლიტიკური კაპიტალია.

შეიქმნა სახელმწიფო საბჭო, ნახევრად ლეგიტიმური ორგანო, რომელშიც შევიდნენ პოლიტიკური პარტიების ლიდერები და ინტელიგენციის წარმომადგენლები. საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა **ედუარდ შევარდნაძე,** თანათავმჯდომარეებად **თენგიზ სიგუა, ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი.** თითოეულს გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადების უფლება ჰქონდა. სახელმწიფო საბჭოში მეც მიმიწვიეს წევრად ვახტანგ გოგუაძის რეკომენდაციით.

**14 აგვისტოს გვარდია და ჯარი აფხაზეთში შევიდა. სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება ცალსახად კრძალავდა დასახლებულ პუნქტებთან მიახლოებას. თენგიზ კიტოვანი სოხუმში შევიდა. არძინბას ხელისუფლება გუდაუთაში გაიქცა. დაიწყო ძმათამკვლელი ომი, რომელიც წელიწადი და 3 თვე გრძელდებოდა.**

ამასობაში სახელმწიფო საბჭომ საარჩევნო კანონი მიიღო და არჩევნები **28 ოქტომბერს** დაინიშნა. მოდელი, რომლითაც ხელისუფლება უნდა ჩამოყალიბებულიყო, საკმაოდ უცნაური იყო: ხალხი ირჩევდა საყოველთაო-სახალხო არჩევნებით პარლამენტის თავმჯდომარეს და შემდეგში პარლამენტი ამტკიცებდა მას სახელმწიფოს მეთაურად. პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატი **ედუარდ შევარდნაძე** გახდა. **მე დავინიშნე მთავარ მრჩევლად არჩევნების მომზადების დარგში.** შევარდნაძე საკმაოდ ნერვიულობდა. მახსოვს, 5000 ამომრჩევლის ხმა იყო საჭირო მისი პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატად დარეგისტრირებისთვის. მისი მხარდამჭერების სია ჩემთან გროვდებოდა. ერთ კვირაში 100 000 მხარდამჭერის ხელმოწერა მოგროვდა და პროცესი შევწყვიტე. დაიწყო საარჩევნო კამპანია. მე ბლოკი „მშვიდობიდან" ვიყრიდი კენჭს. ბლოკს ვახტანგ გოგუაძე და ავთანდილ მარგიანი ხელმძღვანელობდნენ. მე, ვახტანგმა და ავთანდილ მარგიანმა მთელი საქართველო მოვიარეთ. ხალხი ძალიან კარგად გვხვდებოდა. **ჩვენი ბლოკი შევარდნაძის ძირითად დასაყრდენად ითვლებოდა და ხალხს დიდი იმედი ჰქონდა, რომ შევარდნაძე ქვეყნის გადარჩენას შეძლებდა.**

ძალიან ბევრი საქმე მქონდა. ფაქტობრივად, შევარდნაძის საარჩევნო კამპანიას მე ვხელმძღვანელობდი. ყველა რაიონში მოვძებნე ორი ადამიანი, რომლებიც რაიონში ავტორიტეტით სარგებლობდნენ და დავნიშნეთ შევარდნაძის ნდობით აღჭურვილ პირებად. ორჯერ მოვაწყვე შევარდნაძის შეხვედრა ამ ადამიანებთან.

**საარჩევნო კამპანია დამთავრდა. შევარდნაძემ საქართველოს მოსახლეობის 87 პროცენტის ნდობა მოიპოვა** (ნიშანდობლივია, რომ იმავე მოსახლეობამ 1991 წლის მაისში უპირობოდ დაუჭირა მხარი ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობას. რას იზამ, დრონი მეფობენ და არა მეფენი).

**ამ არჩევნების პერიოდში ჩემსა და ბატონ ედუარდ შევარდნაძეს შორის ძალიან თბილი და ადამიანური ურთიერთობა ჩამოყალიბდა, ურთიერთობა, რომელსაც მან ერთ ინტერვიუში მეგობრობა უწოდა.**

1992 წელს ბატონმა ედუარდმა მაჩუქა თავისი წიგნი **„ჩემი არჩევანი",** რომელსაც ასეთი წარწერა გაუკეთა: **„ქალბატონო რუსუდან, ღმერთს რომ ჩემთვის მწერლის ნიჭი მოემადლებინა, წიგნს თქვენზე დავწერდი, რამდენი ქარტეხილი გადაიტანეთ, ბედის უკუღმართობას გაუძელით, სულით არ გატყდით და დღეს ახალი საქართველოს ერთ-ერთი აქტიური მშენებელი ხართ.**

მადლობელი ვარ თანამშრომლობისა და თანადგომისათვის.

*ედუარდ შევარდნაძე*

*15.10.92 წელი"*




მერაბ კოსტავას დედა – ოლღა (ოლიკო) დემურია

**ზვიადს არ უნდა ირაკლის და ჩემი სახელი იყოს ნახსენები, ოლიკო ან თვითონ გრძნობს კონიუნქტურას, ან აგრძნობინეს. ყოველ შემთხვევაში, არცერთ ინტერვიუში არ ახსენებს ირაკლის სახელსაც კი, ჩემზე აღარ არის საუბარი!**

მე თვითონ თავს ბედნიერად ვგრძნობ, რომ წლების განმავლობაში ვთანამშრომლობდი ისეთ გამორჩეულ პიროვნებასთან, როგორიც **ბატონი ედუარდ შევარდნაძეა. თანამდებობის თვალუწვდენელი სიმაღლის მიუხედავად** (საქართველოს პრეზიდენტი!), **თანამდებობის წინ ყოველთვის პიროვნება იდგა: ყოვლისმომცველი ქარიზმით, არაჩვეულებრივი ადამიანური ხიბლით, ურთიერთობის დამყარების უბადლო ნიჭით.** მომავლის ისტორიკოსი, რომელსაც ჩვენთან, ამ დროში არ უცხოვრია, ამ დროის ტკივილი და სიმწარე არ უგრძნია, აუცილებლად იტყვის, რომ ამ ეპოქაში უზარმაზარი ნაბიჯი გადაიდგა ქართული სახელმწიფოს ასაშენებლად. **მომავლის ისტორიკოსი ღირსეულ პატივს მიაგებს ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც ამ უმძიმეს წლებში სახელმწიფოს მეთაურის ტვირთი ატარა და ახალ საქართველოს მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა.**

*დასასრული*




რუსუდან ბერიძე და ედუარდ შევარდნაძე



# მიხეილ ცაგარელი:
# ზოდიაქოს ნიშნების მფარველი ანგელოზები და დემონები

*მშვილდოსნის ნიშნით დაბადებულებს ქედმაღალი და ამპარტავნობის დემონი რა დროს აცდუნებს? რა შესაძლებლობები აქვს მშვილდოსნის მფარველ ანგელოზ ადნაქიელს? რა დროს იღვიძებს თხის რქის ნიშნით დაბადებულებში გულგრილობის და სიცილის დემონი და რა დროს უნდა მიმართონ მათ მფარველ ანგელოზ კამბიელს? რა თვისებებს ავლენენ მერწყულები და რას ცდილობს დემონი მათ ცხოვრებაში. რის შერწყმაში ეხმარება მერწყულებს მათი ანგელოზი სახელად კათატიელი? თევზების ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანები რით შეიძლება გაათამამოს სიყვარულის ანგელოზმა და რა დროს დაღუპოს მანკიერებების დემონმა? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

**— დავასრულოთ საუბარი თანავარსკვლავედების მთავარი მფარველი ნათელი ძალებისა და ბნელი ძალების შესახებ. რას გვეტყვით მშვილდოსნის, თხის რქის, მერწყულისა და თევზების ზოდიაქოების და ამ ნიშნით დაბადებულთა მფარველი ანგელოზის და მაცდუნებელი დემონის შესახებ?**

— **8. მშვილდოსნის ნიშნით დაბადებულ ადამიანებს ხშირად აცდუნებს ქედმაღლობისა და ამპარტავნობის დემონი, მაგრამ იცავს სამართლიანობის ანგელოზი.** დემონი ამ ადამიანებში აძლიერებს გადამეტებულ თავდაჯერებულობას, სიამაყეს, განსაკუთრებულობის შეგრძნებას, კრიტიკის მიუღებლობას. ყველაფერი ეს კი გარშემო მყოფებში იწვევს ანტიპათიას, რის გამოც მშვილდოსნები ნელ-ნელა სულ უფრო შორდებიან ადამიანებს. **შინაგანად მშვილდოსნები სამართლიანობისთვის მებრძოლები არიან და ილტვიან სუფთა და ამაღლებულისკენ, მაგრამ, ამავდროულად, მაღალია ამ ყველაფრის ფანატიზმში გადაზრდის ალბათობა. ამ ზოდიაქური ნიშნის წარმომადგენლების მფარველ ანგელოზ ადნაქიელს დიდი შესაძლებლობები აქვს,** ამიტომ შეუძლია, დაეხმაროს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებაში, საქმეებში წარმატების მიღწევასა და კარიერულ ზრდაში.

**9. თხის რქები ამტანობის, გაუტეხლობისა და სიმყარის ანგელოზის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან, მაგრამ მათ აცდუნებს გულგრილობისა და სიცივის დემონი, რომელიც იღვიძებს მაშინ, როდესაც თხის რქებს ჰგონიათ, რომ ისინი დაგმეს სხვა ადამიანებმა, მათ უღალატეს, გამოიყენეს, არ დააფასეს.** ავი სული აიძულებს მათ, დააიგნორონ გარშემო მყოფების თხოვნა და იზრუნონ მხოლოდ საკუთარ თავზე. ამის გამო მათი სული მუქდება, ცხოვრება — უარესდება, ანგელოზი კი შინაგანი ხმის დახმარებით ეხმარება მას, დასძლიოს ცდუნება და გახდეს მეტად სანდო, ერთგული და მზრუნველი. **ახალ და უჩვეულო წამოწყებებში დახმარებისა და მფარველობისათვის უნდა მიმართონ მათ ზოდიაქურ მფარველ ანგელოზ კამბიელს.**

**10. მერწყულების შინაგან ბუნებაში ერთმანეთს უპირისპირდება დემონური ყველაფრისა და ყველასგან განდგომა და ნათელი ჭეშმარიტი მეგობრობა.** ამიტომ ამ ნიშნით დაბადებული ადამიანები, ერთი მხრივ, ავლენენ საოცარ მეგობრულ თვისებებს, ერთგულებას, სითბოსა და თანადგომას თითოეული ადამიანის მიმართ, იბრძვიან პროგრესისა და სამართლიანობისათვის. მეორე მხრივ კი, შეიძლება აბსოლუტურად გულცივები იყვნენ გარშემო მყოფების მიმართ, დიდი წარმოდგენა ჰქონდეთ საკუთარ თავსა და შესაძლებლობებზე. მათი დემონი ცდილობს, ჩამოაშოროს მერწყულებს ყველა ის ადამიანი, ვისაც ისინი უყვარს, ვინც მათზე ზრუნავს და სურს მათთვის სიკეთე. **ამ დემონის დასაძლევად აუცილებელია სიყვარულისა და მეგობრობის დაფასება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მარტონი დარჩნენ. მერწყულები ყველაზე მეტად საჭიროებენ ბუნებასთან ურთიერთობას, რათა აღიდგინონ ძალები და შეივსონ ენერგეტიკული მარაგი. ადამიანებთან, ბუნებასთან და გარშემო სამყაროსთან შერწყმაში კი მას ეხმარება ანგელოზი სახელად კათატიელი.**

**11. თევზების ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანები, ერთი მხრივ, შეიძლება გაათამამოს სიყვარულის ანგელოზმა, მეორე მხრივ კი — დაღუპოს მანკიერებების დემონმა.** ძირითადად, თევზები ურთიერთწინააღმდეგობრივი პიროვნული თვისებებით ხასიათდებიან. ისინი ხან მკვეთრად რეაგირებენ წყენაზე, ხლართავენ ინტრიგებს, აყოლილები არიან სხვადასხვა ცდუნებას. ეძებენ საეჭვო სიამოვნებას ალკოჰოლსა და ნარკოტიკებში, ხან კი უზომო სიყვარულით, თანაგრძნობითა და ქველმოქმედებით არიან გამსჭვალულები. **გარეგანი მიმზიდველობა, მომხიბვლელობა და სილამაზე, სიყვარულსა და კარიერაში წარმატებები მისი ანგელოზის ეჰალმიელის დახმარებით ხდება.** თუმცა, ამ ზოდიაქურ მფარველს თევზებისთვის ბევრად მეტი როგორც ცხოვრებისეული, ისე სულიერი სიკეთის მიცემა შეუძლია.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 15-21 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
მოიმატებს მომხიბვლელობა და საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის უნარი. გაგიჩნდებათ საკუთარი ჯანმრთელობისა და გარეგნობის გაუმჯობესების სურვილი. ადრე დახარჯული შრომა თავის შედეგებს გამოიღებს, რაც სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე აისახება. პირადი ცხოვრების დიდ ნაწილს შეგნებულად დაუმალავთ გარშემო მყოფებს, რისი მეშვეობითაც თავს აარიდებთ მითქმამოთქმას. მოგზაურობა ახალ პერსპექტივებს დაგისახავთ.

**კურო** (21.04-20.05)
უარი თქვით ყოველივე მოძველებულსა და მობეზრებულზე. ახალი მეთოდებით იმოქმედეთ და საფუძველი ჩაუყარეთ ახალ გამარჯვებებს. განმარტოება და ფიქრი ახალ იდეებსა და შემოქმედებითი პოტენციალის აღორძინებას შეუწყობს ხელს. ამ დროს ჩამოყალიბებული იდეები მომავალში ადვილად განხორციელდება. შესაძლოა, მოგიწიოთ სადმე გამგზავრება, რაც სასიკეთოდ შეცვლის თქვენს მსოფლმხედველობას. სასიყვარულო ურთიერთობები კი გაგახარებთ იდილიური სიმშვიდითა და სტაბილურობით.

**ტყუპი** (21.05-22.06)
არაერთ სასიამოვნო მოვლენას ექნება ადგილი, რაც დაუკავშირდება მეგობრებთან, ნათესავებთან, კოლეგებთან შეხვედრებსა და მხიარულებას. გაზრდილი ცნობისმოყვარეობა ყველგან წარმატების მომტანი იქნება. დადებითად ჩაივლის მოგზაურობა, შეხვედრები და მოლაპარაკებები. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში სასურველია, კარდინალურად არაფერი შეცვალოთ, განსაკუთრებით სასიყვარულო ურთიერთობებში.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
მელანქოლიური განწყობა დააქვეითებს მოტივაციასა და საქმიან აქტიურობას. მიუხედავად ამისა, ეს კარგი დროა კაპიტალდაბანდებებისთვის, ახალი საქმის დეტალურად გააზრებისა და იდეების განხორციელებისთვის. სამსახურში გაითვალისწინეთ სხვათა სურვილებიცა და პრეტენზიებიც და ეცადეთ, ყველა ადამიანთან შეინარჩუნოთ ჰარმონიული ურთიერთობა, რათა არაფერმა შეგიშალოთ ხელი დასახული მიზნების მიღწევაში. დრო კარგია ახლო მოგზაურობისთვის.

**ლომი** (23.07-23.08)
ფინანსური მდგომარეობა დამოკიდებული იქნება თქვენს უნარებსა და საქმიანობის სწორად რეკლამირებაზე. ოჯახში ყურადღება დაუთმეთ უფროსი თაობის წარმომადგენლებს. მათ შეიძლება დახმარება დასჭირდეთ. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს, რადგან დიდია გაციებისა და ვირუსით დაავადების ალბათობა. ნებისმიერი საქმიანი ვიზიტი თუ მივლინება სასიკეთოდ ჩაივლის. მიუხედავად ამისა, ეს არახელსაყრელი დროა შორეული მოგზაურობისთვის და ახალი საქმის დაწყებისთვის.

**ქალწული** (24.08-23.09)
გაუმჯობესდება თქვენი ფსიქოსომატური მდგომარეობა და შრომისუნარიანობა. კარგი დროა მოგზაურობისთვის, ახალი კავშირების დამყარებისა და საკუთარი პოზიციების ხმამაღლა დაფიქსირებისთვის. არაა გამორიცხული ახალი, ძალზე სასიამოვნო და კომფორტული სასიყვარულო კავშირის ჩამოყალიბება. მიუხედავად გაზრდილი პოპულარობისა, მოერიდეთ პირადი ცხოვრების გამომზეურებას, რათა თავი დაიზღვიოთ ჭორებისა და ზედმეტი ემოციებისაგან.

## 15-21 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
დაასრულეთ დაწყებული საქმეები, რათა გაიძლიეროთ ავტორიტეტი და მიიღოთ მოგება. ამ პერიოდში მოსალოდნელია ბევრი გადაადგილებები, შეხვედრები და ურთიერთობები. შესაძლოა, მიიღოთ მონაწილეობა სხვადასხვა დებატებში, საზოგადოებრივ პროცესებში. ეს კარგი დროა მოგზაურობისა და ახალი პარტნიორების გასაცნობად. საყვარელი ადამიანი არამარტო სულიერ სიმშვიდეს, არამედ ფინანსურ დახმარებასაც გაგიწევთ. გამძაფრდება თქვენი ყურადღება ჯანმრთელობის საკითხების მიმართაც.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
საქმეების რაოდენობა მოიმატებს. შესაძლოა მნიშვნელოვანი, მაგრამ არასასიამოვნო ან დამღლელი პროექტების განხორციელებაც მოგიწიოთ. მოქმედებისას მოერიდეთ იმპულსურობასა და ემოციურობას, რათა თავი აარიდოთ შეცდომებს. საყვარელ ადამიანთან გულახდილი საუბარი აზრებისა და მიზნების დალაგებაში დაგეხმარებათ. კარგი იქნება, თუ მეტ დროს გაატარებთ ოჯახის წევრებისა და ახლო მეგობრების გარემოცვაში. მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ოპტიმისტური განწყობა და მდგრადი ჯანმრთელობა შემოქმედებითად მუშაობისკენ გიბიძგებთ. მოუფრთხილდით რეპუტაციას და ნუ იკამათებთ თქვენი იდეებისა და აზრების დასამკვიდრებლად. საქმეებში გამოიყენეთ ახალი ტექნოლოგიები და ჯგუფურად იმუშავეთ. მეტი დრო დაუთმეთ განათლებასა და საჭირო კავშირების დამყარებას. ამ პერიოდში დაწყებული სასიყვარულო ურთიერთობა ხანმოკლე იქნება. საქორწინო ურთიერთობებში კი არსებული კონფლიქტები სწრაფად მოგვარდება.

**თხის რქა** (22.12-19.01)
მეტად უსმინეთ შინაგან ხმას და დრო უქმად არ დახარჯოთ. სამსახურის საქმეებში სასიკეთო შესაძლებლობები გამოჩნდება, ოღონდ ნუ გექნებათ სწრაფი წარმატების იმედი. ახალი ნაცნობობა მოგვიანებით კარგ მეგობრობაში გადაიზრდება. მოიმატებს შეხვედრების რაოდენობაც, ხოლო ამ პერიოდში დაწყებული ურთიერთობა შესაძლოა, დიდხანს გაგრძელდეს. კარგი დროა ახალი ნაცნობობისთვის, ქორწინებისთვის და მოგზაურობისთვის.

**მერწყული** (20.01-18.02)
შესაძლოა, მიიღოთ ახალი საქმიანი შემოთავაზებები, თუმცა, საჭირო გახდება კვალიფიკაციის ამაღლება და ცოდნის გაღრმავება. მოერიდეთ კოლეგებთან და ხელმძღვანელ პირებთან კამათს. ადვილად მოგვარდება საოჯახო და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული პრობლემები. რემონტი ყოფას უფრო კომფორტულს გახდის. ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად კარგ შედეგს გამოიღებს ვარჯიში. მოგზაურობა საინტერესოდ ჩაივლის.

**თევზები** (19.02-20.03)
შემოსავალს რამდენიმე წყაროდან მიიღებთ, მაგრამ ხარჯვისას ჯობს, ყველაფერი წინასწარ გადაანაწილოთ. ენერგია საკმარისი გექნებათ, რათა მრავალ საქმეს ერთდროულად გაუმკლავდეთ. თუმცა, ეს საქმეები თქვენთვის ნაცნობი უნდა იყოს. შემოქმედებითი მიდგომით საქმეს არატრადიციული გზით სწრაფად შეასრულებთ და გარშემო მყოფების შექებას დაიმსახურებთ. მოგზაურობისა და დასვენებისას შესაძლოა, ახალ სასიყვარულო ურთიერთობას ჩაეყაროს საფუძველი.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 15,16 და 20 აპრილი

**8 აპრილი — ახალმთვარეობა, მზის სრული დაბნელება; 24 აპრილი — სავსემთვარეობა.**

## ასტროლოგიური კვირა




### 15 აპრილი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.21 საათზე, ჩადის 18.42 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 10.07 საათზე, ჩადის 01.28 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 10.17 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მეტი დრო დაუთმეთ პარტნიორებს, რათა მეტად გაერკვეთ მათ აზრებსა და გრძნობებში. კარგი დღეა დალაგება-დასუფთავებისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, სანტექნიკის, გათბობის სისტემის შეცვლისთვის. პარტნიორულ ურთიერთობაში მეტი ტაქტი, თავშეკავება და დიპლომატია გამოიყენეთ, ნუ აჰყვებით ზედმეტ ემოციებს და ეჭვიანობას. კარგია კბილების, ხერხემლის, ძვლოვანი სისტემის, სახსრების, მუხლების, კანის დაავადებების მკურნალობა. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა, გადაამოწმეთ საბუთები, სანამ ხელს მოაწერთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭ-ნაწლავი, მკერდი, ღვიძლი. **ქვები:** ზურმუხტი, რაუხტოპაზი, მალაქიტი, აქატი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპებისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

### 16 აპრილი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.19 საათზე, ჩადის 18.43 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 11.13 საათზე, ჩადის 02.09 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 11.36 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მეტი დრო დაუთმეთ საოჯახო ტრადიციებს, სახლს. შეამცირეთ საქმიანი კონტაქტები, მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს. დღეს ჩადენილი ცუდი საქციელი შემდგომ უკან დაგიბრუნდებათ. კარგი დღეა თმის შეჭრისა და თავის მოვლისთვის, ავეჯის, ანტიკვარიატის შესაძენად, მშენებლობის დასაწყებად. პარტნიორულ ურთიერთობაში გამახვილდება ეგოიზმი, პრეტენზიულობა, მოვლენების დრამატიზება. შედეგიანია მხედველობის, ნერვული სისტემის, ვენების მკურნალობა. მოერიდეთ ფიზიკურ-ემოციურ გადაღლას, სოლარიუმს, საუნას, ნერვიულობას. ცუდი დღეა ბინის შესაცვლელად, სიმძიმეების ასაწევად, ქორწინებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

### 17 აპრილი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.18 საათზე, ჩადის 18.44 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის12.18 საათზე, ჩადის 02.42 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 12.58 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს მოიმატებს შემოქმედებითი ენერგია. მოსალოდნელია რომანტიკული ნაცნობობა. შედეგიანია მხედველობის, ნერვული სისტემის, ვენების მკურნალობა. მოერიდეთ საუნას, სოლარიუმს, ფიზიკურ-ემოციურ გადაღლას, ნერვიულობას. გაუფრთხილდით გულს. ცუდი დღეა ფინანსური გარიგებებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, ბინის შესაცვლელად, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, ქორწინებისთვის. კარგი დღეა იურიდიული საქმეებისთვის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ანტიკვარიატის, ძვირფასეულობის, ლატარიის ბილეთების შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ტყუპებისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თევზებისთვის.

### 18 აპრილი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.16 საათზე, ჩადის 18.45 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 13.22 საათზე, ჩადის 03.08 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 14.17 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** გამოავლინეთ ხასიათში კეთილშობილება. კარგი დღეა ბავშვთა ზეიმისთვის, საჩუქრების, სახლის აქსესუარების შესაძენად. ახალი კრეატიული პროექტების დასაწყებად. მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს, ნერვულ-ფიზიკურ გადაღლას, სიმძიმეების აწევას, საუნას, სოლარიუმს, გაუფრთხილდით გულს. ნეგატიური დღეა ფინანსური გარიგებისთვის, ხელშეკრულებისთვის, ადგილსამყოფლის შესაცვლელად, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, ქორწინებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულსისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, სარდიონი, ქარვა. **საღამოს** — მალაქიტი, ყვითელი ან მწვანე იასპი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

### 19 აპრილი, პარასკევი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.14 საათზე, ჩადის 18.46 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 14.24 საათზე, ჩადის 03.30 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 15.34 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** კარგი დღეა სოციალური რეფორმებისა და ფინანსური ცვლილებებისთვის. მეტი სიფრთხილე და ყურადღება გმართებთ ნებისმიერი საქმის შესრულებისას. აკონტროლეთ უარყოფითი ემოციები. **მზე დღეიდან 20 მაისამდე გადაინაცვლებს კუროს ზოდიაქოში** და ამ ზეგავლენის შედეგად მეტად განავითარებს ადამიანებში ორგანიზებულობას, დისციპლინას, შეუპოვრობას, მოთმინებას, პრაგმატულობას, სიფრთხილეს, სილამაზის აღქმის უნარს, ერთგულებას, ტრადიცების პატივისცემას, ამავდროულად განავითარებს სიზარმაცეს, ეჭვიანობას, სიჯიუტეს. სიფრთხილე გმართებთ მჭრელი და ბასრი ნივთების მიმართ. პარტნიორულ ურთიერთობაში ნუ იქნებით ზედმეტად მეწვრილმანე და კრიტიკული. ცუდი დღეა ქორწინებისთვის, გამოცდების ჩასაბარებლად, ახალი ნაცნობობისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ქრიზოპრაზი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპებისთვის, ქალწულისთვის.

### 20 აპრილი, შაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.13 საათზე, ჩადის 18.48 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 15.25 საათზე, ჩადის 04.49 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 16.50 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს გადაამოწმეთ ნებისმიერი ინფორმაცია. იკრძალება გაბრაზება, აგრესია, ჩხუბი და წუწუნი. კარგია დალაგება-დასუფთავებისთვის, კარადების მოსაწესრიგებლად. პარტნიორულ ურთიერთობაში შესაძლებელია უნდობლობა და მცირე უთანხმოება. შედეგიანია ღვიძლის, ლიმფური და ნერვული სისტემის, მხედველობის მკურნალობა. რთული დღეა ქორწინებისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის. სასიკეთო დღეა საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, ვაჭრობისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის, აუდიტისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, ზურმუხტი, მალაქიტი, აქატი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

### 21 აპრილი , კვირა

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.11 საათზე, ჩადის 19.49 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 16.26 საათზე, ჩადის 07.17 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 18.04 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ნუ იქნებით ზედმეტად ეჭვიანი, თუმცა, ამავდროულად მიღებული ინფორმაცია გადაამოწმეთ. ნუ აჰყვებით სიზარმაცეს და ცდუნებებს, მიაქციეთ ყურადღება სიზმრებს და სხვადასხვა მინიშნებას. შესაძლებელია ბრძნული რჩევებისა და საიდუმლო ცოდნის მიღება, დიზაინისა და იმიჯის შეცვლა, შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენა, გაწყვეტილი ურთიერთობების აღდგენა, ქორწინება. ნუ მიიღებთ ბევრ სითხეს, ცხარე, მლაშე საკვებს. მეტი ყურადღება გმართებთ საჭესთან, ცეცხლსასროლ იარაღთან და ასაფეთქებელ ნივთებთან. სასიკეთო დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ხელოვნებისა და ხალხური შემოქმედებისთვის. ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, თირკმლები, ენდოკრინული სისტემა. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ქარვა, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, თევზებისთვის.

## საეკლესიო კალენდარი


16 აპრილი – ხსენება ღირსისა იოსებ მგალობელისა

15 აპრილი. ორშაბათი. **ღირსისა გიორგისი, მაწყვერელი ეპისკოპოსისა;** ღირსისა ტიტე სასწაულმოქმედისა; მოწამეთა: ამფიანესი და ედესისა; მოწამისა პოლიკარპესი.

✝ 16 აპრილი. სამშაბათი. **ღირსისა ნიკიტა აღმსარებელისა, მიდიკიის სავანის წინამძღვრისა;** ღირსისა იოსებ მგალობელისა; ქალწულმოწამისა თეოდოსიასი; ღირსისა ილირიკესი; მოწამეთა: ელპიდიფორესი, დიოსი, ბითონისი და გალიკესი.

✝ 17 აპრილი. ოთხშაბათი. **ღირსისა გიორგი მალეიელისა**; ღირსისა ზოსიმესი; მოწამეთა: ფერბუთა ქალწულისა, დისა მისისა და მხევლისა მისისა; მღვდელმოწამისა ნიკიტა ალბანელისა.

✝ 18 აპრილი. ხუთშაბათი. მოწამეთა: აღათოპოდი დიაკონისა, თეოდულე წიგნის მკითხველისა და მათთანათა; ღირსისა პუპლი ეგვიპტელისა; ღირსთა: თეონასი, სვიმეონისა და ფორბინესი; ღირსისა პლატონისა, სტუდიელი აღმსარებელისა; ღირსისა თეოდორა თესალონიკელისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა იობისა, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქისა.

✝ 19 აპრილი. პარასკევი. ევტიქი კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა; მეთოდისა, მორავიელი მთავარეპისკოპოსისა; ღირსისა პლატონიდა ასურისა; ასოცთა სპარსელ მოწამეთა; მოწამეთა: იერემიასი და არქილე ხუცისა; ღირსისა გრიგოლ სინელისა.

✝ 20 აპრილი. შაბათი. **ღვთისმშობლის დაუჯდომლის შაბათი.** ღირსისა გიორგი აღმსარებელისა, მიტილენელი მიტროპოლიტისა; მოწამისა კალიოპესი; მოწამეთა: რუფინე დიაკონისა, აკვილინასი და მათთანა ორასთა მხედართა; ღირსისა სერაპიონ მონაზონისა.

✝ 21 აპრილი. კვირა. **დიდმარხვის მე-5 კვირა. ღირსისა მარიამ მეგვიპტელისა.** მოციქულთა: იროდიონისა, აგაბოსი, ასინკრიტესი, რუფოსი, ფლეგონტისა, ერმისა და სხვათა მათთანათა; მოწამისა პავსილიპესი; კელესტინესი, რომის პაპისა.


## მადლობა მკურნალ ლამარა თოდუას!

თოდუების საგვარეულო მალამოებითა და წამლებით ქალბატონმა ლამარამ ათასობით ადამიანი გამოაჯანმრთელა. ის 100-პროცენტიანი გარანტიით კურნავს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, დარჩენილ ნაწიბურებს, ნაწოლებს, გამაგრებულ ნანემსრებს, თმის ბუდობრივ ცვენას, ბუასილს, დისბაქტერიოზს (შეკრულობას, აშლილობას). მისი მალამოები სწრაფად შეგიხორცებთ დაჩირქებულ ჭრილობებს (დიაბეტიანებს), მოგირჩენთ ჰაიმორიტს (ქრონიკულს), მოგაშორებთ ქერტლს, ტილებს (ერთი პროცედურით). სწრაფად და წარმატებით კურნავს სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან გამონაყარს კანზე, მწერების ნაკბენს, „ტატუებს" აცილებს უმტკივნეულოდ (პირველივე წასმაზე ქრება ქავილიც და სიწითლეც).

**ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52, 230-62-52**





## მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.



ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის
პირველი სტუმრობიდან 57-ე წელია,

## მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!





### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ბუნგალო; 7. პორშე; 12. ნიუმენი; 13. ნიხრი; 14. სირდარი; 15. რანჩო; 16. ბარხანა; 17. თვალი; 18. ოჯალეში; 19. მოენე; 20. ანკლავი; 21. კრუზო; 22. იცინის; 26. დიუმა; 28. ტყე; 30. შივა; 32. მინი; 34. ბიცოლა; 35. კრეტა; 36. როდმანი; 37. რეტი. 38. ქილიკი; 41. დუმფარა; 42. იონიკა; 45. დეცი; 46. ლასკალა; 47. ზოდი; 49. რეაქცია; 50. მარაო; 53. ამოცანა; 57. დოლჩე; 58. ჯილაგი; 61. როდეო; 62. ნეგატივი; 63. როტა; 64. ქინძი; 65. ნარდი; 66. სილიკონი; 67. სადილი.

შვეულად: 1. ბოსტონი; 2. ნარზანი; 3. ანალები; 4. ონიქია; 5. მუტრუკი; 6. დეკანატი; 7. პირამიდა; 8. რანდევუ; 9. ენოთეკა; 10. მხიარული; 11. დირიჟორი; 23. ცვიკი; 24. ნიორი; 25. სტარი; 27. მტევანი; 29. ენდრო; 30. შტატი; 31. ვაიდა; 32. მარადია; 33. ნოტაცია; 35. კიმპო; 38. ქოლგა; 39. ლესკო; 40. კვატა; 42. იარა; 43. ნიაზი; 44. კაცია; 47. ზადი; 48. დალტონი; 50. მერანი; 51. რადარი; 52. ოზონი; 54. მოემი; 55. ცვარი; 56. ნეირო; 58. ჯიქი; 59. ლინი; 60. გვის.

**კაკადუბაიკალიუმიაკირატომარარატინისანიტარი**
**გორილამაზინამუსიკაპასივიკარიბისტროსიმინდი**

| თუთიყუშის სახეობა | ტბა რუსეთში | ესკიმოსების ნავი | რისთვის | სომხეთის საფეხბურთო კლუბი | იაპონური ავტო | რისამე სახელური |
|---|---|---|---|---|---|---|

| ბრაზილი-ელი ფეხბურთელი | პორტი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში | ქიმიური ელემენტი, მეტალი | რეჟისორი ... კუროსავა | მკვრივი ქსოვილის სათავსი | შალის ქსოვილი | მედიცინის უმცროსი მუშაკი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. მსუბუქი ვერანდიანი შენობა ინდოეთში; 7. გერმანული ავტომობილი; 12. ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; 13. ტარიფი; 14. ბარგის მზიდავი ჰიმალაის მთებში; 15. მესაქონლეობის ფერმა აშშ-ის დასავლეთში; 16. სამრეწველო საწარმო; 17. მხედველობის ორგანო; 18. ქართული ყურძნის ჯიში; 19. მეთვალყურე ჯაშუში, ენატანია; 20. ერთი სახელმწიფოს ტერიტორია გარშემორტყმული სხვა სახელმწიფოს სამფლობელოებით; 21. უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრილი დ. დეფოს პერსონაჟი; 22. ვ. ჰიუგოს „კაცი, რომელიც ...“; 26, ფრანგი მწერალი; 28. ხეებით დაფარული ვრცელი ფართობი; 30. ინდუიზმის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება; 32. მოკლე კაბა; 34. ბიძის ცოლი; 35. საბერძნეთის კუნძული; 36. NBA-ის კალათბურთელი; 37. თავბრუ; 38. ხუმარა, ოხუნჯი; 41. წყლის თეთრყვავილიანი მცენარე; 42. საკრავი, ორგანოლა; 45. ათი (ლათ.); 46. მილანის საოპერო თეატრი; 47. გამოდნობით მიღებული ლითონის მთელი ნაჭერი; 49. ინგა გრიგოლიას გადაცემა; 50. ხელით სანიავებელი; 53. საკითხი, რომელიც უნდა ამოიხსნას სათანადო გაანგარიშებით (მათემ.); 57. ნაზად (მუს.); 58. ჯიში, მოდგმა; 61. კოვბოების შოუ; 62. უარყოფითი (ლათ.); 63. კომპოზიტორი ნინო ...; 64. მწვანილი; 65. თამაში კამათლებით; 66. მკერდის საკორექციო პოლიმერი; 67. შუადღის პურის ჭამა.

შვეულად: 1. ვალსის ნაირსახეობა; 2. ნართების წყალი; 3. ისტორიული ჩანაწერები, რომლებსაც აწარმოებენ მემატიანეები; 4. ფრჩხილის ბუდის ანთება; 5. ვირის ნაშიერი, ჩოჩორი; 6. ფაკულტეტის ხელმძღვანელობა დეკანის მეთაურობით; 7. გეომეტრიული სხეული; 8. პაემანი; 9. საცავი, სადაც ინახება ბოთლებში ჩამოსხმული სხვადასხვა მარკის ღვინის კოლექციები; 10. ლ. ხოტივარი — „... რომანი“; 11. ორკესტრის ხელმძღვანელი; 23. ამერიკელი რეჟისორი; 24. ბოსტნეული (საჭმლის შესაკაზმი); 25. „ბითლზის“ წევრი; 27. ყურძნის ყვავილედი; 29. კვერცხის შესაღები მცენარე; 30. აშშ-ის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული; 31. პოლონელი რეჟისორი; 32. მარიტას ბებია („ნატვრის ხე“); 33. ჭკუის სწავლება, დარიგება; 35. აეროპორტი ტოკიოში; 38. მზისა და წვიმისგან დამცავი საგანი; 39. შევალიე დეგრიეს სატრფო მანონ ...; 40. იხვი; 42. ღია ჭრილობა; 43. ტაჯიკი პოეტი; 44. ი. ჭავჭავაძე „... ადამიანი?!“; 47. ნაკლი; 48. ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი; 50. ტატოს ლექსი; 51. რადიოლოკატორის შემოკლებული სახელი; 52. დამახასიათებელი სუნის მქონე გაზი (ჟანგბადის 3 ატომი); 54. ინგლისელი მწერალი; 55. ნამი; 56. რთული სიტყვის ნაწილი, ნიშნავს ნერვულს; 58. კატისებრთა ოჯახის გარეული ცხოველი; 59. გერმანელი რეჟისორი; 60. „ახალი ცოცხი კარგად ...“ (ანდაზა).

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| მაიმუნის სახეობა | იტალიელი მსახიობი ქალი | ხელოვნების დარგი | წარმოების ვალების ერთობლიობა | ფილმი – „... ზღვის მეკობრეები“ | გვარლი | მარცვლეულის დაფქვის საზღაური |
|---|---|---|---|---|---|---|

| ქალაქი ქართლში | გი დე მოპასანი – „... მეგობარი“ | სინდისი | ავი, ანჩხლი | არქიელის თანაშემწე ეკლესიაში | „სწრაფი“ კაფე | მარცვლოვანი კულტურა |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზღვარგადასული

ასავალ დასავალი

2024 წლის 15 – 21 აპრილი №17 (1535)

გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

2009882637296

